

სახის მოვე /VEN

რედაქტორი № 9
ფასი 5 ლარი



ნანუკა ხუსკივაძე
ოლეგ მიხეევი
რუსულან ლორთებივანიძე

ახალი სირიალი

ჩინელი ანუ ინაჭრე რამე

სახ-პროდაკში:
ოთარ იორსელიანის
„ბალაზი შემოფგომით“

სახ-პროდაკში:
ისრაელი

დამატება
არაიდეპურა და მშენებლობა

ახალგაზრდა შემოქადთა კონცერსი

PANTENE



ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი

ახალი კოლექცია
ხშირი
და ძლიერი

ხელს უწყობს თხელი და
დასუსტებული თმის ვაძლიერებას.
თმა უფრო ხშირი ხდება.

100% განვითარებული

PANTENE PRO-V
Luminous
Shampoo
Gloss & Shine
Tone + Renew



ეს არ არის წამახალისებელი აქცია ეს KLM-ის ახალი რეგულარული ფასებია:

ეპონომიური კლასი

ბიზნეს კლასი

ეგროპა

\$ 379*-დან

ეგროპა

\$ 1199*-დან

ჩრ. ამერიკა

\$ 599*-დან

ჩრ. ამერიკა

\$ 2599*-დან



KLM-ის საუკეთესო ფასების მისაღებად
ყოველთვის შეამოწმეთ www.klm.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუბაფშირდით თქმენს
სამოგზაურო სააგენტოს ან
აფიაკომპანია KLM-ის სათაო თვიქსს:
(995 32) 920079, 920023

ელ-ფოსტა: reservations@klm.com.ge

*ფასები არ შეიცავს აეროპორტტეს მოსაგრებელის

AIR FRANCE KLM



ვაკის საცურაო აუზი და ფიზიკური-კლიმატი



25 25 75

ი. ჭავჭავაძის გამზირი №49ბ

www.vakefitness.ge



LAVAZZA
ITALY'S FAVOURITE COFFEE

„ბბ კომპანია“, კოსტავას 26, ტელ.: 98 40 24

www.lavazza.com



შეკვეთ
გოლდინ

6 არმოგილები

ეტატეტ

ახალგაზრდა გამოქველთა კონკურსი



- კონკურსი მონაცილება შეუძლიათ 20-იდან 35 წლის შემოქმედებას
 - საკონკურსო ნამუშევრები მიიღობა **10** ნომრადლი
 - ფარატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ აცხეტა, რომელიც თან ახლავს ზურნალს
- ან ვებ გვერდი www.shokoladi.ge



ანარლობა
თოვოვრენტი

ულუსატენის


www.shokoladi.ge



გააკათი შენი ნახებომი

რუსელან ლორთიფანიძე
არქიტექტორი რექტორი
ავტორი: თამარ ბაბუაძე

16



ოლეგ მიხეივი
ფოტოგრაფი
ავტორი: ანა კორძანა-საადაშვილი

30



სპეც-პროექტი:
ოთარ იორელიძე
ავტორი: სალომე კიკალაშვილი

42



ოქტომბერი

№ 09

სერიალი

ავტორი: ანა კორძანა-საადაშვილი
ხორცი ფოტო: ნიკო ბახიაშვილი

ჩინელი ანუ ინაზრი რამა

გ3.160



სპეც-პროექტი:
ისრაელი

76



რედაქტორი შორენა შავერდაშვილი

რედაქტორის თანამემდევ ნატა ფედოსეევა
არჭ რედაქტორი ლიზა ასათიანი

ფოტო დავით მესხი

ლევან ხერხეულიძე

ნიკო ტარიელაშვილი

სტილისტი გაგა ლომიძე

ილუსტრატორი მაია სუმბაძე / გიორგი მარი

დიზაინი დავით თეთრიძე

მიხეილ დგებუაძე

დისტრიბუტორი მიხეილ მამუჩიშვილი

ნაცუკა ხუსკივაძე ბარაზაშვილი	58
---------------------------------	----




სთივენ ბრაუნი მენეჯერი ოპერატორი	69
-------------------------------------	----



ეტერ კერეტი ავტორი: შორენა გავრდული	88
--	----




ლოვერ კოსაშვილი ავტორი: შორენა გავრდული	102
--	-----



ფოტო ესეები ავტორები: დავით დაეგორი დავით მასაში	112
--	-----



შიმონ პერესი ავტორი: შორენა გავრდული	132
---	-----



ნომერზე მუშაობდეთ:
ანა კორძაია-სამადაშვილი თამარ ბაბუაძე სალომე კიკალეიშვილი დათო ტურაშვილი გიორგი გვახარია ეტერ კერეტი

 ga m o m p u b l i s h i n g გამომცემელი შპს „ემ ფაბლიმინგი“ მისამართი: თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108 ტელ./ფაქსი: 23 37 31 ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
 ga m o m p u b l i s h i n g გამომცემელი შპს „ემ ფაბლიმინგი“ მისამართი: თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108 ტელ./ფაქსი: 23 37 31 ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია.
ურნალში გამოვევენებული მასალების ნაწილობრივი
ან მოლისი გამოყენება აკრძალულია.

რეკლამის განთავსება შპს „მსა თბილისი“ მისამართი: ფალაშვილის ქ. 108 ტელ./ფაქსი: 23 37 31 ელ-ფოსტა: msa@msa.ge	
<hr/> სტამპა შპს „სეზანი“ მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140 ტელ.: 35 70 02 ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com	



???????



ჭიგნი, უურნალი, ბროშურა, მოსაწვევი, პლაკატი




...15 წუთში იქნება მზად

დეგაპრინტი
თბილისი, ვირსალაძის 8
ტელ.: 99 50 07, 99 88 43
ფაქსი: 99 56 81

ელ-ფოსტა: degaprint@caucasus.net

რედაქტორისგან



მიხარია, რომ შემოდგომა დადგა და „ცხელი შოკოლადის“ ახალი ნომრისათვის კვლავაც ვწერ „რედაქტორის სვეტს“. ამ ნომრის სპეც-პროექტზე მე მომიწია მუშაობა და გულწრფელად გეტყვით, რედაქტორობაზე სასიამოვნო „ცხელი შოკოლადისთვის“ წერილების წერა ყოფილა. კარგი იქნება, თუ თქვენც სიამოვნებით წაიკითხავთ ჩანაწერებს ისრაელზე, მწერალ ეტგარ კერეტზე, რეჟისორ დოვერ კოსაშვილზე, პოლიტიკოს შიმონ პერესზე და, რაც მთავარია, დაათვალიერებთ ფოტო ესეებს იერუსალიმზე. დავიდ დექტორი უკვე 30 წელია იერუსალიმში ცხოვრობს და თითქმის ყოველდღე იღებს ფოტოებს. მესხი და მე კი მხოლოდ ორი დღით ვესტუმრეთ იერუსალიმს და მისი ფოტოები მისივე სიზმრების გაგრძელებას ჰგავს. მოკლედ, ეს ყველაფერი თავად უნდა ნახოთ.

ოთარ იოსელიანის ახალი ფილმის სამთვიანი გადაღებებიდან, როგორც იქნა, დაგვიპრუნდნენ ნიკო ტარიელაშვილი და გადაღებების „ოფიციალური დამკვირვებელი“ სალომე კიკალეიშვილი. ნიკოს, სალომეს და „ცხელი შოკოლადს“ აქვთ პატივი წარმოგიდგინონ იოსელიანის ახალი ფილმის (რომლის პრემიერაც, სავარაუდოდ, ზაფხულში შედგება) „ბალები შემოდგომით“ ექსკლუზიური ფოტო-პრემიერა!

თამარ ბაბუძე რომ „love story“-ების დიდოსტატი იყო, ეს „ცხელი შოკოლადის“ მკითხველმა ალბათ უკვე იცოდა. მაგრამ უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძესაც თუ გაახსენებდა თავის შეყვარებულობის ხანას, ამას ნამდვილად არ მოველოდით.

ყველაზე სახალისო სიახლე ჩვენს უურნალში ანა კორძაია-სამადაშვილის ახალი საუურნალე სერიალია. „ჩინელი ანუ ინატრე რამე“ ერთი ამოსუთქვით იკითხება და მისი პერსონაჟები შეიძლება გეცნოთ კიდეც. წესტან ნიუარაძე, იგივე ლიზა, რეალურ ცხოვრებაში ფოტოგრაფი და უურნალისტია, ჩვენს სერიალში კი სიმდიდრის მაძიებელი, არცთუ ისე დაზუსტებული პროფესიის ქალი. ზურა ალავერდაშვილი, ოპერატორი და ფრიად წარმოსადეგი ყმაწვილი, ანამ ქალების წარუმატებელ მუსუსად და პესიმისტად აქცია. სერიალში სხვა პრსონაჟებიც არიან, მაგრამ აბა, ყველაფერს წინასწარ ხომ ვერ მოგიყვებით!

ბოლოსთვის შემოვიტოვე „ცხელი შოკოლადის“ ყველაზე სერიოზული სიახლე.

ეცხოცები ახალგაზრდა შემოქმედთა კონკურსია და მისი მიზანი ახალი, საინტერესო ავტორების წარმოჩენაა. კონკურსის სამ კატეგორიაში (მწერლობა, ფოტოგრაფია და ილუსტრაცია) უკვე ვიწყებთ კონკურსანტთა ნამუშევრების მიღებას. გამარჯვებულები ფულად პრემიებთან ერთად, „ცხელი შოკოლადის“ სამუშაო კონტრაქტებსაც მიიღებენ. ჩვენი პარტნიორები – ტელეკომპანია „იმედი“ და რადიო „უცნობი“ განსაკუთრებულ პრემიებსაც დააწესებენ. დაჯილდოების ცერემონიალი 25 დეკემბერს, ზუსტად „ცხელი შოკოლადის“ დაბადების დღეს გაიმართება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დამატებითი ინფორმაციისათვის უურნალის გადაფურცვლა ან ჩვენი ახალი (ჯერ კიდევ დაუმთავრებელი) ვებ გვერდის (www.shokoladi.ge) მონახულება მოუწევთ.

„ცხელ შოკოლადს“ იხილავთ თბილისის მეექვსე საერთაშორისო კინოფესტივალზეც, რომელიც 4 ოქტომბერს იხსნება.

მოკლედ, თავს აღარ მოგანატრებთ და ახალი ნომრის გამოსვლამდე, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით.

ქარის ჭავჭავაძე

ჩვენი ავტორები



სალომე კიკალეიშვილი

კარგია დასვენება. თან, კარგი დასვენება. მით უმეტეს, თუ ეს ხან-გრძლივი სამუშაო პერიოდის შემდეგ ხდება. თან, რაც შეიძლება საინტერესო ადგილას, მრავალფეროვანი შთაბეჭდილებების და ემოციის ფონზე. მაგალითად... პარიზში; მაგალითად... გადაღებებზე. ოთარ იოსელიანის გადაღებებზე. ხოლო თუ ეპიზოდურ როლშიც ამოჰყავი თავი, ხომ... ნუ, იტყვი, ერთი რუსული გამოთქმისა არ იყოს, «приятное с полезным»-ო, ზუსტად ისე ყოფილა შენი საქმე.

ანუ, საინტერესო ამბები ნახე? ნახე. კინოში გამოჩნდები წამით? (რა თქმა უნდა, თუ რეჟისორის მოქნეულ მაკრატელს არ შეეწირე) ალბათ გამოჩნდები. და უურნალისთვის მასალასაც ჩამოიტან. თან როგორს? ექსკლუზიურს. მეტი რაღა უნდა ინატროს კაცმა? სრული ბეჭნიერებისთვის ესეც საკმარისია.

გადაღებები ყოველთვის საინტერესო და ძალიან „ცოცხალი“ პროცესია. მთელი თავისი სირთულეებით, პრობლემებით და საინტერესო იმპროვიზაციებით. მით უმეტეს, როცა საინტერესო რეჟისორთან, საინტერესო ქვეყანაში აღმოჩნდები. ზიხარ შენთვის, განმარტოებით (რადგან იქ, როგორც წესი, ყველა თავის საქმეშია ჩაფლული) და აკვირდები ყველაფერს: როგორ აწყობენ საჭირო დეკორაციას, როგორ მუშაობს რეჟისორი მსახიობებთან; როგორ დგას საწყალი ხმის ასისტენტი ანტუანი უზარმაზარი, მძიმე ჯოხით, რომელსაც ბოლოში ვეებერთელა ბუსუსა მიკროფონი აქვს ჩამოცმული; რას აკეთებს ხმის რეჟისორი ჟერომი, რომელსაც ძალიან არ უყვარს ემირ კუსტურიცასთან ბოლო ფილმზე მუშაობის შესახებ საუბარი (თავისი მიზეზები აქვს კაცა!)...

მოკლედ, მოსაყოლს რა გამოლევს?!... ხომ გითხარით, ემოციებით და შთაბეჭდილებებით დახუნძლული ვარ-მეტე. მთავარია, არაფერი არ დამავიწყდეს და მოგიყვეთ, თორებ...



ანა კორძაია-სამალაშვილი

ერთ მანანნალას ჰქითხეს:

- არა გრცხვენია, ასეთი ჭუჭყიანი პერანგი რომ გაცვია?
- გაისვარა და რა ვქნა? - უპასუხა მანანნალამ.
- გარეცხე! - მიუგეს მას.
- მერე კიდევ გაისვრება, - უპასუხა მანანნალამ.
- მერე კიდევ გარეცხავ, - დაარიგეს კეთილისმსურველებმა.

მანანნალას გაეცინა:

- ნუთუ გგონიათ, რომ ღმერთმა ამქვეყნად იმისთვის გამაჩინა, რომ პერანგი ვრცხოო?

ჩემი ძეირფასებო! ნუთუ გგონიათ, რომ ამქვეყნად იმისთვის ვართ გაჩენილი, რომ ვიმუშაოთ და ვისაც არ დაეზარება, ყველამ ნერვები გვიშალოს? არა და არა! ჩვენ უნდა გავერთოთ და ვიხალისოთ, და სერიალად წოდებული დაუმატვრებელი ამბავი ამის საუკეთესო სამუალებაა. ის გონიერი დაძაბვას არ ითხოვს, მის კითხვას ცოტა დრო მიაქვს, - სამაგიეროდ, ბლომად საჭორაო მასალას იძლევა. და, რაც მთავარია, “ჩინელი” მუდამ სიხარულით აგივსებთ გულს, რადგან დანამდვილებით ვიცი: სხვისი სისულელე ყოველთვის გვახარებს, თუნდაც იმ პრინციპით, რომ თავი ნაკლებად სულელები გვგონია.

მე კი ისიც ძალიან გამეხარდება, თუ მკითხველი თავადაც ინატრებს რამეს. თავად ნახავთ – ჩემს საყვარელ, ბრიყვ გმირებსაც კი ყველა სურვილი უსრულდებათ. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ მათაც, ჩვენი არ იყოს, ვერ გაუგიათ, რა უნდათ...



გიორგი ბვახარია

კბილი როცა მტკიცა, სულ მიქელან-ჯელო მახსენდება ხოლმე.

14 წლის მიქელანჯელო ბუონაროტიმ, მო-

ქანდაკე ბერტოლდოს მონაფე, მასნავლებლის ეზოში ბებერი ფავნუსის თავი დაინახა და გადაწყვი- ტა, მარმარილოს ასლი შეესრულებინა. როგორც კი სამუ- შაო დაასრულა, სახელოსნოში ლორენცო ბრწყინვალემ შემოიარა, შეხედა მიქელანჯელოს ასლს და უთხრა, ფა- ვნუსი კი დააბერე, მაგრამ დაგავინწყდა, რომ ბებერებს ასეთი ლამაზი კბილები არ აქვთო. მიქელანჯელო არ დაიბნა, ამოუგდო თავის ფავნუს ერთი ზედა კბილი, ღრძილში კი დიდი ნახვრეტი გაუკეთა.

ჩვენს რედაქტორზე ვფიქრობდი. ნეტა უყვარს მიქე- ლანჯელო? თუ უყვარს, გაუგია, ალბათ, მისი სიტყვე- ბი - ადამიანის ფეხი ბევრად უფრო კეთილშობილურად გამოიყურება, ვიდრე ჩექმაო... რაც იმას ნიშნავს, რომ ნახატი, თუ გნებავთ უბრალო ხაზი, ყველაზე კეთილშ- ობილურია ხელოვნებაში - უფრო ლამაზი, ვიდრე ფერა- დი სურათი; უფრო წარმტაცი, ვიდრე დასრულებული და გრანდიოზული ტაძარი.

რაც იმას ნიშნავს, რომ ესკიზი - ხელოვნების მეფეა, ნონ ფინიტო კი - კულტურის არსი.

ჰოდა, რატომ არ შეიძლება ესკიზები, დაუსრულებელი სტატიები ვწეროთ “შოკოლადისთვის”? რა საჭიროა ორ- ნამენტები, ჩახვეული ფრაზები, დეკადენტური ჩუქურთ- მები? რატომ უნდა დავკარგოთ დრო? მით უმეტეს, როცა ისე გტკივა კბილი, რომ ლამის თვითონ გაიკეთო ღრძილ- ში ნახვრეტი.

თვითონ გაიხვრიტო ღრძილი, რადგან შვილი არ გყავს ჯოგების მფარველად, ფავნუსად რომ გაქციოს.

თვითონ გაიხვრიტო, რადგან ექიმთანაც ვერ მიდიხარ - არ გცალია, სტატია უნდა დაწერო “შოკოლადისთვის”!



თამარ ბაბუაძე

სარედაქტო Brainstorming-ის დრო რომ დგება, საშინელი ნევროზი მიპყრობს. ვნერვიულობ, რომ დამიმთავრ- დებიან — ერთხელაც იქნება და ადამიანები ამომერურება, ველარავიზე ველარ დავწერ; იმი- ტომ, რომ ალარავინ დარჩება საინტერესო. ამ ნერვული შეტევის საფუძველს ხშირად თვითონ ჩვენს ქალაქში ვპოულობ. და როცა ამ ქალაქის წარმოდგენას მოვინ- დომებ ხოლმე, თვალებს დავხუჭავ და მეტების და ვახ- ტანგ გორგასლის ძეგლის ნაცვლად, ვხედავ უბრალო წრეს, რომელზეც ქრონიკულ რეუმში მოძრაობენ ადა- მიანები. ისინი იცვლიან ერთმანეთს, იცვლიან პოზებს, ფრაზებს, ტანსაცმელს, და ერთხელაც არ უჩნდებათ მიმართულების/ტენდენციის გამოცვლის სურვილი.

როცა დახუჭული თვალების სიბნელეში ამ წრე-ქა- ლაქს ვხედავ, ფეხებითაც რომ ჩამომკიდონ, არავისზე დაწერის სურვილი არ მიჩნდება.

ახლაც ასე იყო. მაგრამ კიდევ კარგი, ნერვული შე- ტევის საღამოსვე ვაჟას კვარტლებში, ერთ აივანზე აღ- მოვჩნდი, წითელ ჭიქაში ჩასხმული შავი ღვინით. სამი გოგო სამ ისტორიას ყვებოდა - ყველაზე ბანალურ სა- თქმელს სიტყვებით, ყველაზე უთქმელს - ჭიქის ტუჩ- თან მიტანით და თითო ყლუპი ღვინით. კვარტლებში შუქი ენთო და ფანჯრები მიღმა, ადამიანები თავიანთ ისტორიებში თავიანთ როლებს თამაშობდნენ. ჩუმ ღა- მეში ყონსვას იმდენი საინტერესო ამბის სუნი სცემ- და, რომ ახლა, ამ წამს, გადაღწყვიტე ცოტა რამ მაინც ვთქვა იმ საღამოს გაფიქრებულიდან:

მიხარია, რომ:

ნევროზი მართლა ნევროზი ყოფილა და თბილისში მაინც რჩებიან ადამიანები, რომელთაც გეომეტრიული ფიგურები საერთოდ არ უყვართ, თბილისურ წრეზე სიარული ხომ - საერთოდ.

საინტერესო ადამიანებს ამქვეყნად არაფერი დალე- ვს.

განწყობის თეორია მაგარია!

რელაქსი - კიდევ უკეთესი!

ნიუ იორკი და კუს მთის რეზერვაცია - საერთოდ! თუმცა, ეს ზედმეტი იყო, ამაზე ცოტა მოგვიანებით, ორიოდე “ცხელი შოკოლადის” შემდეგ. საინტერესო ის- ტორიების და ადამიანების კასკადი მერე (წა)იკითხეთ.

ვინ თქვა, გათავდებიანოო?



ავტორი: თამარ გაგუაძე

ფოტო: ლევან ხერხეულიძე / რკახის პირალი არქივი

ტექსტში გამოყენებულია ფრაგმენტები გოგა ბერიძის ნამუშევრიდან



არქიტექტორი რეაქტორი



რომში არის ერთი უბანი, სახელად პარიოლი. ის თბილისური ვაკესავით ექსკულუზიურ დასახლებად არის ჩაფიქრებული. პარიოლის განსაკუთრებით დიპლომატები და ფინანსურად წარმატებული რომაელები წყალობენ. სასტუმრო “ლორდი ბაირონი” - უბნის ერთ-ერთი მშვენება კი ტურისტებს ასეთი ფრაზით იზიდავს ხოლმე: თქვენ რამდენიმე ნაბიჯი გაშორებთ ბორგეზეს მუზეუმსა და ბორგეზეს პარკს. აქვეა ესპანეთის მოედანიც. მოკლედ, ცენტრში ხართ, მაგრამ თან ქალაქის ხმაურისგანაც დაცულად გრძნობთ თავს.

პარიოლიმი ბევრი ლამაზი პიაცა და მყუდრო ქუჩაც შედის. ერთ-ერთი მათგანია ქუჩა, სახელად ლიმა, იგივე ვია ლიმა. მოქმედება, რომელზეც ქვევით გიამბობთ, სწორედ ვია ლიმას შვიდ ნომერში მდებარე სახლში მოხდა.

ლამის 11 საათი იყო. სასტუმრო ოთახის ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა. ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებდა. შვილიშვილებს უკვე ეძინათ. ბარგი თითქმის ჩალაგებული ჰქონდათ. სამ დღეში ელჩს დიპლომატიური მოღვაწეობის ვადა ეწურებოდა და თბილისში ბრუნდებოდა. ამ უკვე ძილისკენ გადახრილ დროს, მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. გაბმული ზარი საერთაშორისოს ჰგავდა. “ვინ უნდა იყოს? თბილისში პირველი საათია”. ზურაბ უვანია რეკავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ელჩმა ყურმილი დაკიდა და დაბნეულმა თქვა, “ზვალ დილას თბილისში უნდა ვიყო, ჩემს კანდიდატურას უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე წარადგენენ”.

რუსუდან ლორთქიფანიძისგან ინტერვიუების აღება იმ დილიდან დაიწყეს. მისი ერთ-ერთი პირველი ფრაზა “არაფერი ვიცი, გუშინ ლამით დამირეკეს, და დღეს დილას ჩამოვედი” - ბევრისთვის, უბრალოდ, უცნაურად, ბევრისთვის კი, სენსაციურადაც ჟღერდა. ამავე ფრაზითა და ერთბაშად დაბნეული, მშრალი, მაგრამ თავაზიანი ლიმილით გახდა რუსუდან ლორთქიფანიძე ცნობილი სახე.



L'ambasciata della Georgia - Palazzo Pierret

Roma

ის არის:

სტატუსით - რექტორი;
აზროვნების ფორმით - არქიტექტორი.


მისი სამსახურეობრივი გარემო: უნივერსიტეტი, რომლის კარგი დროც იყო – სავსე აუდიტორიები, ცხელი რადიატორები და მასტიკიანი ნახერხით ჭუჭყიანი ფეხსაცმლისგან დაცული იატაკი;

უნივერსიტეტი, რომლის აწმყოც არის: შინაგანი და გარეგანი რემონტი.

მიკროგარემო: კაბინეტი ტყავაკრული ორმაგი კარით, მასიური ხის მაგიდითა და მასიური ხის სავარძლით. რა თქმა უნდა, ეს არ მოსწონს - ღამის დეკორაციებულ ძალაუფლებას და საამისოდ შექმნილ განზრას დამთრგუნველ ინტერიერს ვერ იტანს. თავის ძლიერებას დემოკრატიაში ხედავს, კომფორტსა – თანამედროვეობაში. ამიტომ, ზუსტად იცის, როგორ კაბინეტში იმუშავებდა სიამოვნებით. კაბინეტის პროექტის შესახებ ყველასთან დიდი ხალისით ვერ საუბრობს, მაგრამ ხვდება, უცხოელები მშვენივრად გაუგებენ და რამდენიმე ხნის წინ, ამერიკელ სტუმარს დეტალურად აუნერა საკუთარი ჩანაფიქრი. ეს პროექტი რა დაჯდებაო, დაინტერესდა ამერიკელი, სულ ცოტა - 25 ათასი, – უპასუხა. მაგრამ სამუშაო ოთახს ჯერ ვერ განაახლებს - “უნივერსიტეტში იმდენი რამეა შესაცვლელი, კაბინეტით ვერ დავიწყებ”.

ოჯახური გარემო: ცხოვრობს ბაბუის აშენებულ სახლში მეუღლესთან, ასევე არქიტექტორ გოგა ბერიძესთან ერთად, უფროსი შვილი, ეკა ოჯახთან ერთად იტალიაში ცხოვრობს, სანდრო ოჯახთან ერთად - თბილისში.

რექტორის სახლს სიძველე გამოფენილ ნივთებსა და ფოტოებზეც ეტყობა. ეს გარემოა, რომელიც უყვარს და დიდ პატივს სცემს, თორემ ნარსულის რელიქვიებს განგებ არას-



დროს ინახავს, ყოველთვის წინ იყურება, ან დღევანდელი დღით ცხოვრობს.

ოჯახის განსაზღვრება: “თუ არქიტექტურული ტერმინოლოგიით გნებავთ, ჩემი ოჯახი მონოლითურია. ჩვენ ერთმანეთთან საერთო ინტერესები გვაკვშირებს; არა ყოველ-დღიური, არამედ ცხოვრებისეული ინტერესები, რაც არის ხელოვნება, კარგი წიგნების კითხვა, საინტერესო ხალხთან ურთიერთობა. ამით ყოველთვის განებივრებულები ვართ.

+9,00 +11,25 BERAKADA



11:500

8/08/05

წარმოიდგინეთ იმ სახლისა და ოჯახის სიმყარე, რომლის საძირკვლის ჩაყრაზეც ერთბაშად ორმა არქიტექტორმა იმუშავა - რუსუდან ლორთქიფანიძემ და გოგა ბერიძემ.

ახლა ისინი გოგას სახელოსნოში სხედან, ორიგინალში მწვანე, დღეს კი დაძველებული და დაფხაჭნილი სამუშაო მაგიდის გარშემო. სხედან და ჩართული დიქტოფონის გასაგონად, ერთად განვლილი ცხოვრებიდან ისეთი რაღაცების გახსენებას აპირებენ, რომ როგორმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის love story დამაწერინონ.

არადა, სიყვარულამდე შორია, გზად ისევ ის სიტყვა - არქიტექტურა გვეღობება. მხსნელად გოგა ბერიძე გვევლინება: "რუსიკო, სულ თემიდან უხვევ. ამ დიქტოფონს შენი ცხოვრება აინტერესებს".

რუსუდანი: "აჲ, მართლა, რა გაინტერესებდათ?"

გოგა: "მაგ ამშის ჩვენ-ჩვენი ვერსიები გვაქვს. ჩვენ-ჩვენ ვერსიას მოგიყვებით, თუ გნებავთ".

Recording (სტუდენტობა)


რუსიკო: ჩვენ ერთად ვსწავლობდით. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კორპუსი ხომ გახსოვთ, აი, გარედან მომრგვალებული და შემინული რომ არის? შენობის ეს მრგვალი ნაწილი მეზუთე-მექევსე სართულებს ემთხვევა. ეს ჩვენი, არქიტექტორების ტერიტორია იყო. გაერთიანებული ორი სართულის უზარმაზარ ჭერსა და უზარმაზარ სივრცეს მხოლოდ ანტრესოლები ჰყოფდა. ამ არასტანდარტულ გარემოს, არქიტექტურის ფაკულტეტის საპროექტო ერქვა. იქ, სამუშაო მაგიდებზე, სტუდენტები თავისუფლად ტოვებდნენ სამუშაო იარაღს - საქალალდებს, ტუშებს, სახაზავებს, ფანქრებს, თავს ისე გრძნობდნენ, როგორც შემოქმედებით სახელოსნოში. ირაკლი ციციშვილი უნიკალურ გარემოს გვიქმნიდა. საბჭოთა კავშირის გარეთ ნანახი ძეგლების შესახებ მაქსიმალურ ინფორმაციას გვაწვდიდა, მოსკოვიდან დაბრუნებული პედაგოგებიც ნოვაციებით მოდიოდნენ. თან, ჩვენი ჯგუფები პატარა, მაქსიმუმ 15-კაციანი იყო. იცით, არქიტექტურა რაღაცნაირად ინდივიდუალურ სწავლებას მოითხოვს, ჩვენ ეს გვქონდა."

გოგა: "ისევ გადაუხვიე. მოკლედ, წარმოიდგინეთ, 60-იანი წლები იყო, 60-იანები იწყებდნენ მოღვაწეობას, ახალი ტენდენციები იკვეთებოდა, სხვანაირი კინო კეთდებოდა... და რადგან არქიტექტურაც ხელოვნების ნაწილია, ეს სიახლეები ჩვენთანაც იგრძნობოდა.

ჩვენს ოჯახში ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი გვაქვს. ვერ ვიტან, როცა მშობლები შვილებში თავიანთ არარეალიზებულ ოცნებებს დებენ. შვილს, ცხადია, ბევრი რამ უნდა მისცე, მაგრამ არჩევანის საშუალება უნდა დაუტოვო".

დღეს ამ მონოლითური ოჯახის სტუმრები ვართ. სახლში სიხალვათეა. მათ თბილისურ ცხოვრებას შვილები "აცდენენ". შინ რექტორს მეულლე ელოდება ხოლმე. "ოჲ, მოხვედი, რუსიკო?" - ეს ფრაზა გადებულ კართან, ხშირ შემთხვევაში, გვიან საღამოს გაისმის. რექტორი შინ შებინდებისას ბრუნდება. მაგრამ ამში არაფერია უცხო. დღევანდელ რექტორს ყოველთვის ჰქონდა თავისი საქმე. მცირენლოვან ბავშვებთან დარჩენას ხშირად ქმარი კისრულობდა, ცოლი იტალიური არქიტექტურის საკვლევად რომს თვეობით სტუმრობდა, მანამდე კი ასპირანტურის კურსებს მოსკოვში გადიოდა. ეს ყოველთვის შეთანხმებულად ხდებოდა, ოჯახური სკანდალების და მინიმალური გაღიზიანების გარეშეც.

როგორც ჩანს, ცხოვრების ასე ანყობაში ცოლ-ქმარს პროფესია დაეხმარა; პროფესია, რომელიც მათთვის აზროვნების ფორმად იქცა (კორბუზიეს ამ ფრაზას რუსუდან ლორთქიფანიძე ყველაზე ხშირად იმეორებს ხოლმე). და რადგან რექტორიც და მისი მეულლეც კარგი არქიტექტორები არიან,



როგორც რუსიერმა ვითხრათ, გარემოც სრულიად განსხვავებული გახდათ. დიდი დარბაზი ექვს ნაწილად იყო დატიხრული. მე თუ ლექციაზე ხმაშილა დაუინუებდი ლაპარაკს, ტიხრის მეორე მხრიდან მაჩუმებდნენ: "გოგა, სმადაბლა!" - ძალიან გულითადი დამოკიდებულება გვქონდა. უფროსი არიტექტორები უმცროსებს ეწესმარებოდით. ახლა ყველაფერი კომპიუტერით კეთდება და იხაზება, მაშინ ხელით ვხაზავდით, ფერებს ვაზავებდით, ვლებავდით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. "კა ხელს". მე "კა ხელი" მქონდა და ბევრ სტუდენტს ვეხმარებოდი. აა, ამ სოუსში თუ ბულიონმი მოვიდა ეს ქალბატონი ჩვენთან.

ჩემს კურსზე ოთხი-ხუთი მაღალი ბიჭი სწავლოდდა, კალათბურთელები, ვმეგობრობდით. თან, არც მე ვიყვავი პატარა. ეს ჩვენი ჯგუფი გოგოების ყურადღებას სულ იქცევდა. მე ვიტიქობ, რომ რუსიკ მჩანგლავდა, თვითთმომ გეტყვით, რომ მე ვწანგლავდი.

რუსიკ: "საერთოდ, ასეა. რომ გვინია, ის შენი აღმოჩენაა, შეიძლება პირიეით იყოს; შეიძლება, პირველმა თვითონ შეგამჩნია. მე მოსვლის-თანავე ვიცოდი, რომ უფროს კურსზე იყო ერთი გოგა ბერიძე, რომელ-საც კარგი ხელი ჰქონდა და ნიჭიერი სტუდენტი იყო ერთხელ რაღაც პროექტი გავაკეთე, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვუმებნე ანტურაჟი. გოგამ ძალიან ლამაზი ბაობაბის ხე ადამიტატა. როცა განხილვის დრო დადგა და პროექტი ირაკლი ციციშვილს ვაჩვენე, ერთი შეათვალიერა ნახაზი და მკითხა: "ააიდან არის ეს, იმ თვის ი ერთ ნიშანი, იმ გიგანტის გარეშე?" მე აღარ დავუმალე და უვასუნებ: "Из последней".

„ჩემს კურსზე ოთხი-ხუთი მაღალი ტენი სხვადასხვადა, კალათბურთელები. ვართობრობდით. თან, არც მე ვიყვავი პატარა. ეს ჩვენი ჯგუფი გოგოების ყურადღებას სულ იქცევდა. მე ვიტიქობ, რომ რუსიკ მჩანგლავდა, თვითთმომ გეტყვით, რომ მე ვწანგლავდი. აა, ამ სოუსში თუ ბულიონმი მოვიდა ეს ქალბატონი ჩვენთან.“

„ააიდან არის ეს, იმ თვის ი ერთ ნიშანი, იმ გიგანტის გარეშე?“ მე აღარ დავუმალე და უვასუნებ: „Из последней“.



გოგა: “მოქლედ, ჩვენი ურთიერთობა იქ დაიწყო. საერთო ექსკურსიებზე დავდიოდით, ძეგლებს ვათვალიერებდით, ინსტიტუტში მისულები, ნინა საღამოს ნანახ ფილმებზე ვმსჯელობდით.

მაშინ ამას “პრასმოტრს” ეძახდნენ. მე კინოსტუდიის ეზოში უცხოერობდი და “გრიმიორშა” მეზობელი მყავდა. მივიღოდა მასთან ლეილა აბაშიძე და ლაშარქვში დაუდევრად ეტყოდა: “Сегодня будет просмотр”. მორჩია, ეს ამბავი მისი ნასვლისთანავე ყველამ იცოდა. კინოსტუდიის ეზოს ერთ ნანიდში გრისაძი გვექმნდა გადაღუნელი. ჭოქრათ, იმ საღამოს “რვანახევარს” აჩვენებდნენ. დრო რომ დგებოდა, გალუნულ ლობეში ვძვრებოდთ და შეკდიოდთ. პირველად რომ რუსული იქ ვნახე, მესიამოვნა. გონებაში პლუსი დავუწერე – “ა, ესე იგი, აეაც დადის”. მეორე “პრასმოტრზე” კი, ცხადია, უფრო დიდი ხალისით წავედი. ფილმის ნახვის შემდეგ იწყებოდა მსჯელობა, კამათი.”

რუსიკო: “ჩვენი ურთიერთობის საფუძველი სწორედ ეს იყო. შეხედულების თანხვედრა, საერთო მიტერესები, ბევრი სასაუბრო თემა, ბევრი საერთო. კინოსტუდიის ჩვენებებს არც შე ვაცლებდი. თუმცა, სხვებთან შედარებით, პრივალუგირებული აღმოვჩნდი და ამ ფილმების უმრავლესობა უკვე ნანახი მქონდა. საემე ის გახლავთ, რომ 16 წლის ვიყავი, როცა ჩემი და რუს დიპლომატზე გათხოვდა და საცხოვრებლად პრალაში გადავიდა. 17 წლისამ დაბადების დღე იქ გადავიხდე და პრალა ჩემი ზაფულების განუყოფელი ნაწილი გახდა. ასე რომ, საზღვარგარეთი ჩემთვის უცხო არასოდეს

ყოფილა. მუდამ ჩამომეონდა დისკები, წიგნები.

გოგა: “არადა, როგორი აკრძალული იყო? რუსკოს სიძეს პირდაპირ ეკითხებოდნენ ხოლმე: “Вы Набокова не везете?” ის დამაჯერებელი სახით პასუხობდა, რომ არა. არადა, ჩანთაში ედო.”

რუსიკო: “შინაგანადაც თავისუფალი ვიყავი. ამიტომ, ერთხელ ჩემს დასთან აგარაკზე, ჰამაკში სოლუსიონის გადაშლილი წიგნი დამრჩია. ქალაქში რომ დავბრუნდით, ეს მერე ვთქვი. ჩემი და შემჯობება, მისი მეუღლე ხომ დიპლომატი იყო და სოლუსიონი ჰამაკში - ნაძლევილად არ შეიძლებოდა. მახსოვს, სასწრაფოდ ტაქსი გამოვიძახეთ, ჩაჯდა და წიგნის წამოსალებად წავიდა.”

გოგა: “კინოსტუდიაში ხომ ვუწერდი პლუსებს, მერე გავიგე, რომ ერთი მომღერლის სიმღერები უყვარდა ძალაბან.”

რუსიკო: “ნეთ ქინგ ქოულის.”

გოგა: “ხო, მეც მახსოვდა, ნეთ ქინგ ქოული. მოკლედ, ჩავიწერე კასეტაზე, მეგობარს პატარა მაგნიტოფონი გამოვართვი და უნივერსატეტში წავილე. დარბაზში ჩავრთე, ყველგან გაისმა - ანტრესოლებში, ტიხოებში, რუსიკომ რომ გაიგო, მაშინვე გარეთ გამოვიდა და მე შეკრჩი. მერე სულ ახე იყო - ვრთავდი ქოულს, რუსიკო გამოდიოდა აუდიტორიიდან და კინოში მივდიოდით, ეგ იყო ჩვენი პაროლი.”

რუსიკო: “მეორე კურსიდან ვმეგობრობდით. მშობლები ამას გაგებით ხვდებოდნენ. სადაც ვისვენებდი; გოგა ყოველთვის იქ ჩამოდიოდა ხოლმე.”

გოგა: “რატომაც არა. რა, მარტო თევენია ლიკანი?”




“ამ ნაბიჯის გადაღება მართლა ქალიან გამიშირდა. ბოლოს მაცხ იმიტომ გადავწყვიშე, რომ მივხვდი, გოგა ჩემს თავისუფლებას პატივს სჭედა. თავილანი, ბავშვობილანი ასე მჯეროდა, რომ თავისუფლებისთვის ვიყავი დაბალებული. ამის წართხვის უფლება არავის ჰქონდა. გოგას ეს არასდროს უცდია. ის ზოველთვის პატივს სჭედა ჩემს გადაწყვეტილებებს.”



რუსიკო: “არა, რატომ, მეც ხომ ჩამოვდიოდი ბათუმში.”

გოგა: “ერთხელ უარესიც გავაკეთე. მაშინ რუსიკოს და იყო ჩამოსული მეუღლესთან ერთად რამდენიმე დღით. ყაზბეგში წასულა მოინდომა. მთელი ოჯახი წავიდა. საგზაო სამინისტროში ვმუშაობდი, ვიტრიალე, ვიტრიალე, მაგრამ ამაოდ - სამსახურს ვერ გავაცდენდი, ყაზბეგშიც უმიზებოდ ხომ ვერ ჩავიდოდი. უცებ ფასანაურში გამოჩნდა საქმე. მინისტრის მოადგილემ, გოგი ჩახავამ რაღაც პროექტის წახვა მოინდომა. წავედით. გზაში მძლოლს ვთხოვე, რამენაირად ყაზბეგში ვერ ამიყვან-მეთქი? შეიცხადა, ყაზბეგამდე იცი მაინც, რა გზაა დარჩენილი? მაგრამ იქნებ, რამე ვქნათო. იდეა წამოვიდა,



რუსიკო: “ამ მხრივ ყოველთვის თავისუფლებას ვგრძნობდი. ჩემი და ძალიან ლამაზი იყო და ოჯახი მის მოვლა-პატრონობაზე ზრუნავდა. მე თითქმის არ მზღვდავდნენ.”

გოგა: “ბოლოს, ჩვენი მეგობრობა ქორწინებით დასრულდა. სახლში მივედი და ხელი ვთხოვე. თუმცა, მანამდე იყო საინტერესო - გათხოვება არ უნდოდა.”


რუსიკო: “ამ წაბიჯის გადადგმა მართლა ძალიან გამიჭირდა. ბოლოს მაინც იმიტომ გადავწყვიტე, რომ მივხვდი, გოგა ჩემს თავისუფლებას პატივს სცემდა. თავიდანვე, ბავშვობიდანვე ასე მჯეროდა, რომ თავისუფლებისთვის ვიყავი დაბადებული. ამის წართმევის უფლება არავის ჰქონდა. გოგას ეს არასდროს უცდია. ის ყოველთვის პატივს სცემდა ჩემს გადაწყვეტილებებს.”

Recording (ჩჩალი)

გადაწყვეტილებები კი ყოველთვის რადიკალური იყო და ხშირად ფრენას უკავშირდებოდა. არქიტექტურა - აზროვნების ფორმაც იყო და ცხოვრების წესიც - მის გარეშე ვერც იჯახური ცხოვრება წარმოედგინა. ეს ქმარმა იცოდა. ამიტომ “ოჯახის უზენაესმა საბჭომ” დადებითი დასკვნა გამოიტანა: 1 წლის ეკა თბილისში მამასთან, ბებიასთან და ბაბუასთან ერთად დარჩა და დედა მოსკოვში, ასპირანტურაში სასწავლებლად გაუშვა.

რუსიკო: “70-იანი წლები საერთოდ ფენომენი იყო. თავისუფლების პირველი ნიშნები მაშინ გაჩნდა, თავისუფალი აზრის მასობრივად გამოთქმაც მაშინ გახდა შესაძლებელი. მახსოვეს, ჩემი სიძის მოტანილი საშვებით, დასთან ერთად, მოსკოვში აბსტრაქციონიზმის გამოფენაზე წავედი. პირველი ასეთი გამოფენა ტრაქტორებით გადათელეს, მერე მაინც დაუშვეს - ვითომ არ ებრძოდნენ სიახლეს და ექსპოზიციის გამართვის უფლება მხატვრებს მეფუტკრეობის პავილიონში მისცეს. გარეთ -35 გრადუსი ყინვა იყო და საათნახევრიანი რიგი. დაცვის ჯარისკაცებს ჩვენზე თბილად ეცვათ, ჩვენ კი

გუდაურისკენ გავისეირნოთო. ჩავედით, გავჩერეთ, გადავიხედეთ, გეგმებზე ვისაუპრეთ. გოგიმ თქვა, იქნებ სადმე ვისადილოთ კიდეცო. და ამ დროს საქმეში მძლოლი ჩაერთო, აქვე მაგარი ხინკალი ვიციო. ეს “აქვე” ყაზბეგი იყო. ბოლოს ჩავედით კიდეც. გოგი ჩახავა და რუსუდანის მამა ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, ჩვენი დანახვა კი გაუკვირდათ, მაგრამ კარგად მიგვიღეს. იმ საღამოს კონიაკით დავთვერი და რუსუდანის მამამ აღარ გამომიშვა, სასტუმროში დამტოვა. შეიძლება, ხვდებოდა კიდეც რაღაცას, მაგრამ არაფერი მაგრძნობინა.”



გმირულად ვიდექით, ვკანკალებდით და ველოდით, როდის მოგვიწევდა გამოფენაზე შესვლის დრო. დაცვა კი დაგვცინდა: “Любители искусства”.

უამრავი სასიამოვნო შთაბეჭდილებით ვარ სავსე. საერთოდ, ამ მხრივ, “ლაქი” მეტქმის. არ ვიცი, ასეთ ბედნიერ წუთებს ვიმსახურებ ხოლმე, თუ ავანსად მეძლევა და მერე უნდა დაგამტკიცო დაკისრებული პასუხისმგებლობის პირნათლად შესრულებით...“

გოგა: რუსიკოს მოსკოვში ყოფნისას, ბავშვებთან მე ვიყავი. რუსიკოს სახლში ვცხოვრობდი. ბატონი რეზო, რუსიკოს მამა ჩემთვის მაგალითი იყო. თავდაუზოგავი კაცი გახლდათ და მისი ეს თავდადება ჩემზეც გადმოდიოდა. ეკას და სანდროს ყურადღებას არ აკლებდა, დილას ადრე დგებოდა, არაფერი ეზარებოდა. ასეთ გარემოში ბავშვების გაზრდა, ცხადია, რთული არ იყო”.

“დემოკრატი ვარ, ამიტომ ვერ ვიტან, როცა თავისუფლებას მიზღუდავენ” - ცხადია ამ ფრაზის ავტორისთვის არც იტალიაში წასვლა დაუშლია ვინმეს.

პედაგოგების გაცვლითი პროგრამის შესახებ 1980 წელს გაიგეს. ისე არასერიოზულად მოეკიდა საკითხს, რომ იტალიური ენის საფუძვლიანად შესწავლაზე არც უფიქრია. ეგონა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ასარჩევ პედაგოგებს შორის ვერ მოხვდებოდა. არადა, მეორე ტურში გავიდა. გასაუბრებისთვის ერევანში გამოიძახეს. მეულლეც თან გაჰყვა, მანქანით წავიდნენ, გზად ლირსშესანიშნავი ძეგლებიც მოინახულეს და პატარა მოგზაურობასავით გამოუვიდათ.

ერევანში რუსუდანის გადაბირება სცადეს: რატომ მიდიხართ იტალიაში, იაპონიაში რატომ არ გინდათ - იაპონია ხომ თანამედროვე არქიტექტურის შესასწავლად საუკეთესო ადგილია. მის დაბნევას ცდილობდნენ, რომ როგორმე პროგრამიდანაც მოეხსნათ. ბოლოს, “ემრის კოზირი” გამოიყენეს. ნამდვილად გიშვებთო? - დაეჭვებით ჰეითხეს. ერთ-ერთმა არქიტექტორმა მთავარ ინტერვიუერს მოახსენა, როგორ არა, უშვებს, გარეთ დგას და გულშემატკივრობსო. მან კი არ დაიჯერა, შემოიყვანეთო. “Кто тут Беридзе?” - გააკითხეს ქმარს, შეიყვანეს და დაჟინებით გაუმეორეს: “Да вы точно подпишете, точно отпустайте?”. მაშინ ეკა და სანდრო 11 და 9 წლის იყვნენ.

რუსიკო: “იტალიაში მარტო ყოფნის პერიოდს როცა ვიხსენებ, ტარკოვსკის “ნოსტალგიის” ერთი მომენტი მახსენდება. მთავარი გმირი იტალიაში ბაბუის კვალის მოსაძენად ჩადის - ჩაეჭილი სიერციდან თავისუფალ სამყაროში გადის, ხვდება ადამიანებს, იკვლევს წარსულს, ეძებს პასუხებს, თან მშვენიერი თარჯიმანი ქალი დაჟყვება, რომელიც გარემოს ათვალიერებინებს. ერთხელ ქალი ტრიკანას მხარეში, რომელილაც პატარა ეკლესიაში შევა, მაგრამ მთავარი გმირი არ შეჰყვება, ის თავისთვის ამბობს: “Как мне надоела смотреть на этой красоте в одиночестве”. მეც დავდიოდი და სულ ეს განცდა მდევდა თან. ყველაზე მეტად მინდოდა, ამ ადგილების ნახვის სიამოვნება ოჯახის წევრებთან ერთად განმეცადა”.

გოგა: “პირველ ცდაზე ვერა, მაგრამ რუსუდანთან შემდეგ მეც ჩავედი. მზადება იყო ძალიან სასაკილო. აეროპორტში რუსიკო უნდა დამხვედროდა, მაგრამ ვაი და, გზაში ამცდენოდა - იტალიაში ხშირად იფიცებიან ხოლმე მძღოლები. მოძრაობის მთელი სქემა შევმუშავეთ. ვისნავლე, როგორ უნდა მიგსულიყავი სასტუმრომდე და იქ რუსიკო მეკითხა. იტალიური არ ვიცოდი და ამიტომ ტექსტი თან დავიმახსოვრე, თან ფურცელზე დავიწერე: “გამარჯობა, მე რუსუდან



თქვენის მოწვევასთან კომფორტი
და გლობალური გარეობრის სირთულე



AXIS PALACE

აპარატების

თბილისი, 0179,
ჭავჭავაძის #25
Tbilisi, Georgia
25 Petriashvili, 0179
გვვ / Tel. 995 32 253434
info@axis.ge



„მა, პირადად, რუსიკოს ელჩობამდე პერიოდი უფრო მიყვარდა. ელჩობის პერიოდა თითქოს იმის ილუზია შეგვიძენა, რომ იქაურები ვიყავით. თითქოს ამ ქალაქში შენ რაღაც გეკუთვნის, აქაური ხარ. არადა, როგორ უდა იცხოვოთ ქალაქში, რომელის არცერთი „სკვაზნი პალიაზი“ არ იცი.“

ლორთქიფანიძის ქმარი ვარ“. მეგობრები მაცილებდნენ, ერთ-ერთმა მკითხა, რუსუდანი რომ ვერ იპოვო აეროპორტში, მერე რას შვრებიო. როგორ თუ რას ვშვრები-მეთქი და ჯიბიდან საგულდაგულოდ შენახული ფურცელი ამოვილე და წავიკითხე - Ciao, sono un marito di Rusiko Lortkifanidze. ეგ რას ნიშნავსო. რას და “გამარჯობა, მე რუსუდან ლორთქიფანიძის ქმარი ვარ”-მეთქი. ბევრი იცინეს - წარმოიდგინეს რომის აეროპორტში დაკარგული კაცი, რომელმაც არ იცის იტალიური, ვერ ხვდება სად მიდის და როგორ. სამაგიეროდ ახსოვს, რომ რუსუდან ლორთქიფანიძის ქმარია.“

რუსიკო: “კიდევ კარგი, არაფერი მომხდარა. მშვიდობიანად ჩამოვიდა. აეროპორტში შევხვდი, იმ საღამოს ერთ ლამაზ მოედანზე, პატარა რესტორანში ვივაბშეთ. ორი-სამი დღის შემდეგ, კიდევ მოვხვდით იმ მოედანზე და გოგა აღფრთოვანდა, რატომ აქამდე არ მომიყვანე აქ, ეს რომის უმშვენიერესი ადგილი ყოფილაო.“

გოგა: “უცხო ქალაქმა ასე იცის. რაც არ უნდა ზეპირად იცოდე მისი არქიტექტურა, რაც არ უნდა მდიდარი წარმოსახვის უნარი გქონდეს, ქალაქთან პირველი შესვედრა მაინც დამაპნეველია. პირველი დღეები თითქმის არავის ახსო-

ეს. გაივლი რაღაც ადგილს, გაატარებ გონებაში, რამდენიმე დღის შემდეგ დაუბრუნდები და გგონია, რომ პირველად ხედავ. ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ძალიან ბევრია ტეინისთვის. თუმცა, რუსუდანი მოსვენებას არ გვაძლევდა. საშინელი გრაფიკი ჰქონდა შედგენილი, ვგზავრობდით მატარებლით, ავტობუსით. საგანგებოდ ვყიდულობდით ე.წ. კილომეტრულ ბილეთებს, ვთქვათ, რომიდან პალერმოში მივდივართ, გზად რაღაც ლამაზ, პატარა ქალაქს შევნიშნავთ, ჩამოვალთ, დავათვალიერებთ, და ისევ გზას ვაგრძელებთ შემდეგი მატარებლით. ზუსტად ეს მიყვარს - როცა ქალაქს ჩემით აღმოვაჩინ. არასოდეს არ დამავიზუდება ვენეციაში ჩასვლა. იქ ჯვეუფთან ერთად ჩავედი, მაგრამ მათთან ერთად კი არა, მარტომ ვიხეტიალე და მარტომ აღმოვაჩინე ქალაქი.“

რუსიკო: “ცალკე თემაა ჩემი იტალიური კვლევაც - თანამედროვე არქიტექტურა, რადგან მის ნიმუშებს რომში უიშვიათესად თუ შეხვდები. ხუმრობაც იყო ასეთი: სტუდენტს ეკითხებიან - რით ხართ დაკავებული? პასუხობს: თანამედროვე არქიტექტურას ვსწავლობ. კონტრ-კითხვა - და სად იპოვეთ აქ ეგეთი? მართლაც ასეა. ნიუ იორჯში ყველაზე

დიდი სიძეველე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის შენობებია, 30-იან წლებში აშენებული ცათამბრჯენებია, რომში კი მართლა სანთლით არის საძებნი ახალი ფასადები. მაგალითად, ბოლო თანამედროვე შენობა იქ 1963 წელს აშენდა და ეს იყო ნაგებობა საინჟინრო ფაკულტეტის ეზოში. ამიტომ, რომში თანამედროვე არქიტექტურის კვლევა, თანამედროვე არქიტექტორებთან ურთიერთობის გარეშე, წარმოუდგენელია. იქ ის კი არაა მთავარი, შენობა როგორ გამოიყერება, უფრო მნიშვნელოვანია, რისი გაკეთება უნდოდა ავტორს, რას ფიქრობდა კეთების პროცესში - სწორედ ეს, მთლიანობაში არის ამ ერთი კონკრეტული შენობის გენეზისი. მე კი ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, რადგან შემეძლო ვმჯდარიყავი იმ ოთახში, სადაც ეს დიდი არქიტექტორები მუშაობდნენ. მაგალითად, მუშაობდა ალდო როსი, მე კი იქვე ვიჯექი, ვკითხულობდი წიგნებს, მივმართავდი რჩევისთვის. თან, ეს ცნობილი არქიტექტორები ყოველთვის გულისხმერები არიან მკვლევარების მიმართ; იციან, რომ ჩვენ მათი ხელოვნების მთავარი შემფასებლები ვართ და ამიტომ დახმარებას მაქსიმალურად ცდილობენ. ერთმანეთსაც პატივისცემით ეპურობიან და ურთიერთობის თავისებური წესები აქვთ. მაგალითად, ალდო როსი და გუიდო კანელა არაფრით არ მიიღებდნენ ერთი და იმავე კონკურსში მონაწილეობას.

მე მათთან ეს მჭიდრო და საინტერესო ურთიერთობა უდიდეს ბედნიერებას მანიქებდა. საერთოდ, ბედნიერება უცნ-


აური სიტყვაა, ეშინიათ ხოლმე მისი ხსენება. მე არ მეშინია. როცა ეს გრძნობა მოდის, ყოველთვის ხმამალლა ვამბობ.


გოგა: “ისევ თემიდან უხვევ.”

რუსიკო: “რატომ? ესეც ხომ ჩემი ცხოვრებაა. ჩვენ ხომ არქიტექტურა გვაკავშირებს და მისდამი სიყვარული. სადაც არ უნდა ვიშუშაო და რაც არ უნდა ვაკეთო, მაინც არქიტექტორად ვრჩები. ეს ჩვენი ცხოვრების წესია, ჩვენი ხედვა - ჩემიც და შენიც.”

გოგა: “ისე, მართალია, პროფესია შეიძლება ცხოვრების და აზროვნების წესად გექცეს.

და ისიც შეიძლება, რომ რომელიმე კონკრეტული ქვეყანა დაგებედოს. მაგალითად, იტალიასთან ჩვენ რაღაც უცნაური ბედი გვაკავშირებს. როცა რუსიკო იტალიაში პირველად ჩავიდა, ეკაზე იყო ფეხმძიმედ. მაშინ დასთან ერთად წავიდა, ტურისტული საგზური დის ქმარმა უშოვა, მაგრამ ჯგუფის ხელმძღვანელს დაუმალა, რომ ფეხმძიმედ იყო, თორებ არ გაუმვებდნენ. კარგად მახსოვს ერთი ფოტო - რუსიკო რომის ქუჩაში დგას, წითელი ლაბადა აცვია, მუცელში კი ეკა ჰყავს, ანუ გამოდის, რომ ეკა იტალიაში დაბადებამდე იყო. შემდეგ გავიდა წლები, ჩვენ იტალიაში ვცხოვრობთ და საშობაოდ ფეხმძიმე ეკა ჩამოვიდა - ანუ მისი სალომეც დაბადებამდე ესტუმრა ამ ქვეყანას. მახსოვს, პეტრეს ტაძარში საშობაო წირვას დავესწარით. ეკა ცუდად გახდა, გამოვედით, ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ერთი დანჯლრეული ტაქსი





გავაჩირეთ და იმით წავედით შინ. მერე მესამე შემთხვევა მოხდა. რუსიკომ რომინის კურორტზე საგზურები აიღო, ჩვენთვის, სანდროსთვის და სანდროს ცოლიათვის. საოცარი ადგილი იყო, შეუაღმეოდე გაღებული მაღაზიებით, ქუჩაში მოფუსფუსა ტურისტებით, რუსულ ენაზე მოლაპარაკე ვაჭრებით. სანდროს ცოლმა იქ, რომინიში გააჩინა ჩვენი მეოთხე შევილიშვილი, პატარა გიორგი ბერიძე.”

რუსიკო: “იტალია მართლაც განსაკუთრებული თავია ჩემს ბიოგრაფიამი.”

გოგა: “თუმცა, მე, პირადად, რუსიკოს ელჩიობამდე პერიოდი უფრო მიყვარდა. ელჩიობის პერიოდმა კი, თითქოს იმის ილუზია შეგვიერნა, რომ იქაურები ვიყვავით, რაც მართალი არ იყო. თითქოს გყავს მანქანა, გაქვს სახლი, თითქოს ამ ქალაქში შენ რაღაც გეკუთვნის, აქაური ხარ. არადა, ხშირად ვეუმრობ ხოლმე, როგორ უნდა იცხოვორო ქალაქში, რომლის არცერთი “სკაზნი პადიზი” არ იცი; როცა არასდროს გცოდნა, რა არის ამ შენობის უკან, ვინ ცხოვრობს იქ. სულ სხვაა, როცა მკვლევარის სტატუსი გაქვს და ახალ ქალაქს, უბრალოდ, აკვირდები; როცა მის დეტალებს იძიებ. რუსიკომ ეს შესანიშნავად გაავეთა. ყოველ ჩამოსვლაზე, შინ უამრავი წიგნით ბრუნდებოდა, ერთხელ 13 ყუთი წიგნი მოგვეონდა. გამოცემები სად აღარ გვეწყო - ყველის, კარაქის კოლოფებში, თოკებით გაღაფერილ ყუთებში. მოსკოვამდე უპრობლემოდ ჩამოვედით - თანხა ზედმეტ წონაზე არ გადაგვასდევინეს. მოსკოვში კი მდგომარეობა გართულდა, მაგრამ რუსიკომ ისარჯევა. ბატონზ მაიორო, - თქვა პრიზცისულად, - იტალიიდან ჩემი კვლევის შედეგი მომაქვს. შემიძლია, ეს კველაფერი თქვენთან დავტოვო, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ აქედან პირდაპირ განათლების სამინისტროში წავალ, პირველ განცოდილებაში, იქედან კი დაგირევავენ და პასუხს მოგთხოვენ. ამიტომ, გთხოვთ, თქვენი ტელეფონის ნომერი და სახელი მითხარით... უსიტყვოდ გაგვიშვეს თბილისში.”

რუსიკო: ჩემთვის კი ელჩიობის პერიოდიც მნიშვნელოვანი იყო. მიყვარდა შენობაც, სადაც მამინ საქართველოს საელჩო იყო განთავსებული. ეს მშენებირ ადგილი ჩემი ჩასვლისთვის უკვე არსებობდა. ესპანეთის მოედანზე, პალაცო პიერუტი ზუსტად ის გარემო იყო, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოს შეეფერებოდა. ჩვენ არ გვეონდა რუსეთისხელა ამბიციები - მათი საელჩო 34 პეტარზე გადაჭიმული, ვატრიკანს ესაზღვრება, რომლის ტერიტორიაც, თავის მხრივ, 38 ჰექტარს ითვლის, და, ფაქტობრივად, სახელმწიფო ვატრიკანსა და რუსეთის საელჩოს თითქმის თანაბარი ფართობი უჭირა-

ვთ. ჩვენ კი ასეთი ძვირფასი შენობა არაფერში გვჭირდებოდა, საქართველოსთვის საკურისი იყო პატარა, ელეგანტური და გემოცნებიანი - რაც გვეონდა კილეც.”

იტალიური მოგლენებები რუსულან ლორთქიფანიძის ბიოგრაფიამი არასდროს იღევა ისევე, როგორც იწყება და არასდროს იღევა თემა - არქიტექტურა. ამიტომ, ჯობია, გოგა ბერიძის პრინციპი გამოვიყენოთ: - “ეპ, ისევ თემიდან უუსვევთ”. ისევ იმ საღამოს დავუბრუნდეთ, როცა ვია ლიმას შვიდნომერში, საღამოს 11 საათზე მოულოდნელი ზარი გაისამა და ქალბატონ ელჩის ახალი ბიოგრაფიული თავის დაწყება ამცნ.

იმ დილიდან რუსუდან ლორთქიფანიძე ცნობილი სახე გახდა, მალე - რექტორი. “ზოგიერთმა ბელადი რექტორის სტატუსი მომაკერა. არადა, ასეთი არ უარ. ძლიერება ჩემთვის ძალა არ არის. ძლიერება დემოკრატიაშია, როცა ადამიანის ვალდებულებები ლოგიკურად ნაწილდება საჭირო ხალხზე”. მისთვის მონოლითური ოჯახიც კომფორტია, მაგრამ კომფორტს ეკლექტიკაშიც ხედავს. “ეკლექტიკა, როგორც პერიოდი, ძალიან მომწონს. ეს იმის ხელაბალი გადამუშავებაა, რაც საუკუნის დასაწყისში იყო. როცა გააზრებული გაქვა, რომ მარტო ის კი არ არის შენი, რაც მშობლებმა დაგიტოვეა, არამედ შენია ყველაფერი ის, რაც მსოფლიოში მეტყვიდრების სახითაა მიმოფანტული. წარსულის რელიეფებს არ ვაგროვებ, რადგან ვფიქრობ, რომ ჩემი დროის ადამიანი ვარ, თანამედროვე.”

სუა თუ ისე, აზროვნების ფორმით არქიტექტორი რეეტორი დღეს უნივერსიტეტის კაბინეტში ზის, მეულლე კი დროდადრო საყვედლურობს ხოლმე: “ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთად მუშაობა”. იგულისხმება პროექტები, რომელთაც გოგა ბერიძე ახლა დამოკიდებლად ადგებს.

მას არც მდიდარი ბიბლიოთეკის ბეჭი ანალექციებს. წაბოლარა შვილიშვილმა, პატარა გოგა ბერიძე არქიტექტორის სურვილი უკვე გამოიტვება. განსაკუთრებით მოსწონს სახაზავი მაგიდა ბაბუას სახელმისმამი. ასე რომ...

ასე რომ, ქმრის ხმაში სევდა არ იგრძნობა, როცა თავის დიდ და დაუაწესებულ ოჯახსა და საემიან რექტორ მეუდლებზე საუბრობს; და ამიტომ სევდიანი, როცა შვილიშვილები იტალიაში ჰყავს; როცა ნაადრევად აციფდა, მოსაღამოდა და ლორთქიფანიძეების დელ სახლში ტელეფონი რეკავს:

“რუსიკო? არ გახლავთ, ბატონო, თბილისში არაა”.

“სად და ბოლონიაში. ბოლონიის პროცესს აკვირდება”.

“კვირის ბოლოს დარეკეთ. უმჯობესია, გვიან საღამოს”.

8 - 10



საქართველოს ინფრასტრუქტურის
TELECOM GEORGIA



რესპონსურის გამზ. 31
ტელ: (995 32) 44 19 19
ფაქს: (995 32) 44 29 29

www.telecom.ge

ოლებ მიხევი, ფოტოგრაფი

ავტორი: ანა კორპაია-საბალაშვილი
ფოტოსურათის გამოქვეყნებულია ოლებ მიხევის ხებართვით





თბილისი მოქადაგება და რელიგიური მონასტრები თბილის თავისებურობის ფოტო



ოდესმე, – ვიმედოვნებ, ასი წლის მერე, – სასტიკი სამსჯავროს წინაშე რომ წარვდგები და ნაირ-ნაირი ან-გელოზები რომ მკითხავენ, კარგი რა გიქნიაო, ვიტყვი, ოლეგ მიხეევი აბრე-შუმის ფაბრიკაში მივიყვანე-მეთქი. სწორედ აბრეშუმის ფაბრიკაში გახდა აგვისტოს ცხელ დღეებში თბილისში დარჩენილი საზოგადოება იმის მოწმე, თუ როგორ იღებდა სახელგანთქმული ფოტოგრაფი ორასი წლის წინათ შეკე-რილ-მოქარგულ ხევსურულ კაბებში გამოწყობილ თინათინ გორდელაძეს.

ოლეგ მიხეევი *Commercial Break* 2000-ის, ანუ პროფესიონალ ფოტო-გრაფთა უურნალისა და FUJI-ს პრო-ფესიონალთა ჯილდოს მფლობელია. 2001 წელს მან კოდაკის ოქროს პრემია დაიმსახურა, იმავე წელს ის ბრიტანე-თის საუკეთესო პორტრეტისტი ფოტო-გრაფად აღიარეს. ერთი წლის შემდეგ, ოლეგ მიხეევს FUJI-ს მოდის ფოტო-გრაფის ჯილდო გადაეცა.

გახსოვთ, რეკლამა იყო ასეთი: ტა-ლახში ჩაგდებულ ჩოგბურთის ბურთს გოგონას ნაზი ხელი დასწვდა. გოგონა სასონარკევეთილი თამაშობს, გოგონას სათამაშო მოედანი ბადითა და გისო-სებითაა შემოლობილი. ო, საბრალო გოგონა! როგორ მამაცურად ურტყამს ჩოგანს! ო, რა ტანკვაა ბადეებისა და გისოსების გარღვევა!

მერე რა, რომ ამ გოგონას მოგებული სერიოზული თამაში არავის არასოდეს უნახავს. სამაგიეროდ, კონტა სხეული აქვს, ტაკოზე ისე ლამაზად ადგას „ადი-დასის“ ფორმა! სამაგიეროდ, ტალახი-დან ამოძვრა – საბჭოთა კავშირიდან!

ეს გულისამრევი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალა-ქეების მიერ – ამ შემთხვევაში ანა კურ-ნიკოვას აღარ ვგულისხმობ, მშვენი-ვრად მოახერხა ამ თემით სპეკულირება, – ისეთ დიდოსტატზეც გავრცელდა, როგორიც ოლეგ მიხეევია. ოლეგის თქმით, ის, რასაც ის უურნალებში კი-თხულობს ხოლმე და რასაც ავტორები მის ბიოგრაფიას უწოდებდნენ, არანაი-რად არაა მის ცხოვრებასთან დაკავში-რებული – ის სულაც არ თვლის, რომ ტანკვა-ვაებით მიაღწია წარმატებას. ბევრი იმუშავა – ეს მართალია, მაგრამ დანარჩენი...

გადამოწვევული მონაცემები თბილი მიხევის ნარჩენის შესახებ >>>

თავისთავად, უცნაური მოვლენა კია – მაგადანელი ლონ-დონელი. მისი დაბადების ადგილი, „სტალინისეული შორეული ალმოსავლენის ბეთლემი“, ჩემთვის ქვეყნის დასალიერია, სხვა სამყარო, შამანებისა და გულთმისნების სამყოფელი, სადაც, ერთი ძელი საბჭოთა სიმღერა რომ გავიხსენოთ, „თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი – ზაფხული“. დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ოლეგ მიხევი კი ფრიად რესპექტა-ბელური ფოტოგრაფია, რომლის ნამუშევრებიც ძვირფასი მოდის უურნალების – *Vogue, Vanity Fair, GQ, Harper's Bazaar, ID, The Face, L'Officiel, Elle, Jalouse, L'Opium, Ocean Drive, Oyster, Shoo Magazine, Hint Magazine, Gloss, The Sunday Times Style magazine* გარეკანებს ამშვენებს. ის, თავის ცოლ-შვილთან ერთად, ლონდონში ცხოვრობს, დღემდე რუსეთის მოქალაქეა და მთელს მსოფლიოში მოგზაურობს.

1985-დან 1994 წლამდე ოლეგ მიხევი ეკატერინბურგსა და ტოლიატიში ცხოვრობდა და ურალის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ „ვაზ“-ში მუშაობდა დიზაინერად. ერთ დღეს მან ლონდონის სამეცნ სამხატვრო კოლეჯში სწავლა გადაწყვიტა და ამ საქმის გასარევევად მოსკოვში მყოფმა, ბრიტანეთის საბჭოს მიაკითხა, სადაც კარგა ხანს უხსნიდნენ,

– დიახ, – მიუგო ოლეგმა.

გოგონამ რაღაც კარზე მიუთითა. იქ, კაბინეტის მისაღებ-ში, აუხსნეს, ბატონ ამას და ამას ჯერ მნახველი ჰყავს, და-ელოდეო, და სანამ ელოდა, ვიღაც მამაკაცი დაადგა თავზე, უცვლელი კითხვით: „რისთვის მოხვედი?“

ოლეგმა თავისი ამბავი უაბო – რა ენაღვლებოდა, და ლონდონიდან გამოგზავნილი წერილიც აჩვენა.

– წამო, – უთხრა კაცმა და ოლეგი კაბინეტში შეიყვანა. იქ, კარისკენ ზურგშექცევით, კაცი იყო დახრილი, სანერი მაგიდის ქვედა უჯრაში რაღაცას ექებდა. – ვადიმ, – დაუ-ძახა ოლეგის გამცილებელმა. კაცი გაიმართა და ოლეგმა ის უმაღვე იცნო.

ეს კაცი სუკელი გახლდათ, რომელმაც ოდესლაც „ვაზის“ ხელმძღვანელობას ოლეგ მიხევთან დაკავშირებით მითითე-ბები მისცა. ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ ოლეგი უცხოელებს თარჯიმნის დახმარების გარეშე ესაუბრებოდა, ანუ კაცმა არ იცის, რას. მაშინ ამ ამბავმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ სუკ-ის ბუა, სახელად ვადიმი, ოლეგს არა-სოდეს დავიწყებია – და აი, ისიც, ამხანაგი ვადიმი. მან ოლე-გი, ცხადია, ვერ იცნო, ასეთი ალბათ ბევრი ჰყავდა ცხოვრე-ბაში ნანახ-ჩაშვებული.

– ფული გჭირდება? – ჰყითხა მან. – რამდენი?

ბანკში მისვლამდე ოლეგს კარგად ჰქონდა შესწავლილი

„პირველად ლოდონში მაკო კიკალეიშვილი-აჩაშიძე რომ გავიცანი, ოთვალი ვერ მოვწყვითა, ისეთი მშვენიერი იყო... ვერ გავიგე, რატომ ერჩია თბილისალი ქალები თავისათ გარებობას, რატომ ცდილობა, სხვა ქალებს დაემსგავსო – ისინი ხომ უჩვეულო, განსაკუთრებულად ლამაზები არიან...“

ეგეთი არაფერი გაგვიგია, რას გვიყვებიო. მერე, როგორც იქნა, ინფორმაცია მოიპოვა და თავისი მონაცემები და ნამუ-შევრები ლონდონში გაგზავნა. უნდა ითქვას, რომ უზარმაზა-რი კონკურსი იყო – 34 ადამიანი ერთ ადგილზე.

მერე?

კარგა ხანს იორქოფა, რომ მოგიყვე, დაწერო. მე ვუთხარი, აუცილებლად დავწერ-მეთქი. ხელი ჩაიქნია და განაგრძო.

შემდეგი ეტაპი იყო გასაუბრება, რომელიც ლონდონში უნდა გამართულიყო, იქ ჩასვლა კი, მოგეხსენებათ, არცთუ იოლია, სხვა თუ არაფერი, ფულია საჭირო. ოლეგს ფული არ ჰქონდა. მან გადაწყვიტა, ერთი ბანკისთვის მიემართა, რომელიც მხოლოდ იმ პრინციპით აირჩია, რომ იქ ნაცნობე-ბი ჰყავდა და თუ ფულს არ მისცემდნენ, მარტის ცივ დღეს ჩაის მაინც დააღვინებდნენ. ჩინურ ბუმბულის ქურთულში გამოწყობილი, ის ბანკის კარს მიადგა – და იქ საოცრებები დაიწყო.

კარში აღმართულმა ავტომატიანმა ყარაულმა ჰყითხა:

- რისთვის მოხვედი?
- ფულისთვის, – მიუგო ოლეგმა.
- შედი.

შესასვლელში მჯდომარეობა გოგონამ ოლეგს უსმინა, უსმინა, ვერაფერი გაიგო და დაასკვნა:

- ა, საერთაშორისო ურთიერთობები?


ნიგნი „როგორ ვიცხოვროთ ინგლისში“, უკვე დაეთვალა, რისთვის რამდენი დასჭირდებოდა და გირვანქა სტერლინ-გებში დაასახელა თანხა. ამხანაგმა ვადიმმა ის დოლარებში გადაიყვანა და ფული ოლეგს ჩაუთვალა. პირდაპირ ჩაუთვალა, ჯიბიდან.

მას მერე ერთმანეთი არასოდეს უნახავთ, მიუხედავად იმი-სა, რომ ოლეგი მისთვის ფულის დაპრუნებას ეცადა. ამხანაგი ვადიმმი, უბრალოდ, გაქრა. მერე ოლეგს უთხრეს, რა ხანია, რუსეთიდან წავიდა და შვეიცარიაში საკუთარი ბანკი აქვსო, შენ მაგისტრის ათასი დოლარის დაბრუნებაზე ნუ იდარდებო...

– აი, ასე გამოვიდა, რომ მთლად სუკ-ის ხარჯით ჩავე-დი ლონდონში, – ჰყვება ოლეგი. მართალია, ემიგრანტებთან ამაზე ლაპარაკს ერიდება, მეტისმეტად უცნაური ამბავია და თავის დროზე რეაგირება გაქცეულ ხალხს, შეიძლება უსია-მოვნოდ მოხვდეთო გულზე.

სასწავლებელში, გასაუბრებამდე, ოლეგს მოუწოდეს, ჯერ ცოტა ხანს გაიარ-ვამოიარეო. იქ ერთი გოგოა, ლიზა, იმან რუ-სული იცის და ხმის გამცემი და გამცილებელიც გეყოლებაო.

კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ოლეგმა ერთი ფოტოლაბო-რატორის კარი გააღი. იქ ძალიან შავკანიანი გოგო იჯდა, რაღაც სასაცილო ქუდით – ლიზა. ის ისეთ რუსულს ლაპა-რაკობდა, ყურები დაგიჭენებოდათ, ყოველ მეორე სიტყვას





არცოლდ შვარცენეგის შემდეგ, ავსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი

იმპორტი ის იყო. ბარდა იმისა, რომ კარმან კროიცერი უზომოდ მიმდიდვები
ქალია, ქალიან მაგრამ მუშაობს.

გინებას აყოლებდა. გოგონა ნახევრად უკრაინელი ყოფილა და მხოლოდ დედასთან უწევდა რუსულად ლაპარაკი, დედა კი, როგორც ჩანს, ტკბილისიტყვაობით არ გამოირჩეოდა.

– გიკვირს, რომ ასეთი შავი გამოვედი? – გაუცინა ლიზამ.
– დედა უკრაინელი მყავს, მამა – კუბელი, აღმოსავლეთ გერმანიაში დავიძადე...

გოგონამ ოლეგს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია. მან აუხსნა, რომ გასაუბრების დროს, უამრავ რამეს ჰკითხავდნენ, მაგრამ სინამდვილეში კომისიის წევრებს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ: ვინ გადაიხდის? გოგონამ ოლეგს ურჩია, დიდი ტყუილი თქვი, რომ მდიდარი ბაბუა გყავს ან რამე ეგეთი, შექლებისდაგვარად დამაჯერებელი.

მართლაც, გასაუბრების დროს, მუხანათური კითხვა დაისვა და ოლეგმა დიდებული ტყუილი თქვა: რომ სორისის ფონდის პროგრამაში, რომელიც ხელოვნური ქალაქების მცხოვრებთა კულტურულ განვითარებას გულისხმობს, ტოლიატის ხელშეწყობაცაა დაგეგმილი, ის კი ტოლიატელია, თან ხელოვანი.

– რაღაც საშინელებას ვლაპარაკობდი, იმათ კი ერთმანეთს გადახედეს და ერთმა პროფესორმა თქვა: ჰო, არის რაღაცა ასეთი, ჯორჯი სწორედ გუშინ მიყვებოდა. ვიფიქრე: ღმერთო ჩემო, ესენი ყველანი ერთმანეთს იცნობენ...

დღეს ოლეგიც ყველას იცნობს, და თავისი ნაცნობ-მეგობარი ლორდებისა თუ უკანონი ემიგრანტების, სუპერმოდელების თუ დიდი გაქანების აფერისტების შესახებ, უამრავ ამბავს ჟყვება. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე, ფოტოგრაფიისა არ იყოს, შესანიშნავად გამოდის.

ქალები, სულ ნაირ-ნაირები >>

– არის ვინმე, ვისი გადაღებაც ძალიან გინდა?
– ძალიან-ძალიან-მეთქი, ვერ ვიტყვი. მაგრამ ისე – რა თქმა უნდა. ახლა, საქართველოდან რომ წავალ, ლიზა ჯაგერთან უნდა ვიმუშაო, რაც, თავისთავად, ძალიან კარგია. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, თუ საქმე მიკ ჯაგერის მოდგმაზე მიდგა, მე ჯეიდის გადაღება მერჩივნა, უფრო თავხედია და უფრო საინტერესო. ადრე ლიზას დედასთან, ჯერი ჰოლთანაც მომინია მუშაობა, მოხიბლული დავრჩი. ლიზა კი ლამაზი გოგოა, ეგაა და ევ.

საერთოდ, თუ დაკვირვებიხარ, როკ-ვარსკვლავების ქალიშვილები სამოდელო ბიზნესში ხშირად მიდიან. თან, როგორც წესი, კარგები არიან. ასე, ჯეიდ პარფედი, „სტატუს ქვოს“ პარფედის გოგო – სულ სხვა დონეა, გონიერი ქალი, ძალიან მომენტონა. ინდია უოთერსი, „პინკ ფლოიდის“ უოთერსის ქალიშვილი, მამამისს ძალიან ჰყავს და ერთი შეხედვით, სამოქალაქო ომივით საშინელია, მაგრამ ასეთი შესანიშნავი მოდელი იშვიათად შემხვედრია.

საერთოდ, ცნება „ლამაზი“ დღემდე გაუგებარია ჩემთვის. გინახავს კარმენ კროიცერი? „ფენდის“ სახე. უგამხდრესია, გაძვალტყავებული, მკერდი საერთოდ არა აქვს, მაგრამ ამბობენ, რომ არნოლდ შვარცენეგერის შემდეგ, ავსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი იმპორტი ის იყო. გარდა იმისა, რომ უზომოდ მიმზიდველი ქალია, ძალიან მაგრად მუშაობს.

ამ სერიას როცა ვიღებდით, ულტრაისფერი განათებით, მისი თვალების ამბავი მედარდებოდა. სათვალე როცა ეკეთა, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ მერე უნდა მოეხსნა და მეშინოდა, რომ თვალებს დაინვავდა. გადავწყვიტეთ, რომ ჯერ თვალდახუჭული იდგებოდა და ჩემს დაძახებაზე წამით გაახელდა ხოლმე. ასეც ვქენით და ერთხელაც არ ამცდარა, საუკეთესოდ მუშაობდა.

სუპერმოდელებს მე არ ვირჩევ. მოდელის დონე იმ უურნალის დონეს გააჩნია, რომლისთვისაც უნდა გადავილო, უურნალზეა დამოკიდებული, იგივე კარმენ კროიცერი იქნება თუ ვინმე ნაკლებად ცნობილი მოდელი. მაგრამ არიან მოდელები, რომლებთან მუშაობაც ცალსახად არ მინდა. ვთქვათ, ნაომი კემპბელი. დედამისი სხვა საქმეა, პოდიუმზეც მინახავს და მასთან მიმუშავია კიდეც, ნაომი კი არ შემიძლია – მაგის კაპრიზების და ისტერიკების თავი არა მაქვს. თუ საქმე შავკანიან მოდელზე მიდგა, ერთხელ მიუნხებში ალეკ ვეკი უნდა გადამეღო და არ გამომივიდა – მე ხომ რუსული პასპორტი მაქვს და გერმანიის საელჩოში ძალიან გამამარება, ვიზა დროზე არ ჩამირტყეს და ჩემს ნაცვლად, ალეკთან სხვამ იმუშავა. როცა ნაომი ვიღაცებს რასიზმში სდებს ხოლმე ბრალს, სულ ალეკი მაგონდება: ის ნამდვილი შავია, მთლად რომელილაცა ტომიდან, თავის ქალაც უჩვეულო აქვს, მაგრამ ნაომისთანა სისულელები არასოდეს უთქვამს.

სამაგიეროდ, ოლეგი მუდამ მზადაა, ჯოდი კიდთან ითანამდებობს, ისევე, როგორც ჯოდია მუდამ მზად, მიხევთან ჰქონდეს საქმე. რა ნიშნით ჰყავს ეს მოდელი ამოჩემებული?

– ერთხელ, მახსოვს, დიდ თავყრილობაზე ვიყავით, ჯოდის ვიღაც ვიზაუისტები დასტრიალებდნენ. „რა ხანია, ერთად ალარ გვიმუშავია!“ – მომაძახა ჯოდიმ. „ვქნათ რამე, ჰო!“ – გულწრფელად გამეხარდა.

როგორც წესი, ჯოდისგან ყველა რაღაცის გაკეთებას ცდილობს, ძირითადად, უცხოპლანეტელის ან მიბნედილი ლამაზმანისა. არადა, არაჩვეულებრივი გოგოა, მხიარული ადამიანი. თან ძალიან მუშაა და ზუსტად ესმის, რა უნდა გააკეთოს. შეიძლება ვიღაცას ტელეფონით აგინძდეს, ბოლო სიტყვებით, და მერე ბოდიში მოგიხადოს და „აბა, თქვი, რა გინდა?“ – და ზუსტად ის გააკეთოს, რასაც სთხოვდი. როცა ვიღებდი, საშინლად გაერთო და გახალისდა. პროფესიონალი მოდელია, ნამდვილი პროფესიონალი, მასთან მუშაობა მხოლოდ სიამოვნებაა. ჩვენ ვამხანაგობდით და ვცდილობ-

დი, ჯოდი სწორედ ისეთი გადამელო, როგორიცაა – ლამაზი ქალი, მაგრამ, პირველ რიგში, კარგი გოგო.

ერთხელ, მახსოვეს, სტუდიაში შევდიოდი და კარში მითხოვს, აქ ჯოდი იქნება და გადაღება არ შეიძლება. უცებ ჯოდი გამოვარდა, ტიტლიკანა, და დასძახა, ამისთვის ყველაფერი შეიძლებაო...

გამოფენაზე, რომელიც „არსის“ საგამოფენო დარბაზში გაიმართა, მრავალნაირი ჯოდი კიდი ვიზილეთ: ქარაფშუტა გოგოც და სვაროვსკის ქვებით შემკული ზღაპრული მზეთუნახავიც...

ბეილიანი>>

– ეს პალომა ბეილია, დევიდ ბეილის ქალიშვილი – ხომ იცი დევიდ ბეილი?

დევიდ ბეილის საუკეთესო ფოტოგრაფების ხანაში მოუწია

შეხვედრა დათქმული.

– სულ არ უნდოდა რამის გაკეთება. თავის არაბ ბოიფრენდთან ერთად მოვიდა, არა მგონია, მამამისი ძალიან კმაყოფილი ყოფილიყო. ეძინებოდა, ამთქანებდა, ვერაფერს შეაგნებინებდი.

საბოლოოდ, ოლეგმა სხვა გზას მიმართა: პალომასთვის რამის ახსნაზე ხელი აიღო და უბრალოდ უთვალთვალებდა, და გამოვიდა!

– კატასავით იყო. რაც არ უნდა ელაპარაკო, კატას ვერაფერს გააგებინებ, მხოლოდ ის შეგიძლია, რომ დააკვირდე...

ფოტოსურათების გამოქვეყნების შემდეგ, ოლეგს დევიდ ბეილის ასისტენტმა დაურეკა, მამა ძალიან კმაყოფილი დაგირჩა.

ოლეგის კომენტარი:

– პირადად არაფერი უთქვამს, მაგრამ მაინც დიდი მადლობა...

„სულ არ უდღოდა რამის გაკეთება. ეძინებოდა, ამთქანებდა, ვერაფერს შეაგნებინებდი. კატასავით იყო. რაც არ უნდა ელაპარაკო, კატას ვერაფერს გააგებინებ, მხოლოდ ის შეგიძლია, რომ დააკვირდე... განკუთხების და გამოვიდა, და გამოვიდა! მამა ძალიან კმაყოფილი დაგირჩა.“

მოღვაწეობა, რომლებიც არამარტო თავისინთი შემოქმედებით, არამედ ცხოვრების წესითაც იზიდავდნენ საზოგადოების ყურადღებას. ჯერ მარტო ისტენდელი ენტონი არმსტრონგ-ჯოუნსი რად ლირს: იმდენი იქროლა მოტოციკლეტით პრინცესა მარგარეტთან ერთად, სანამ ეს უკანასკნელი ცოლად არ ითხოვა და ლორდ სწორები არ გახდა – უნდა ითქვას, რომ ამით მის ხელოვნებას არაფერი დაკლებია, კვლავ შესანიშნავ ფოტოგრაფად დარჩა.

და მაინც: თუ დევიდ ბეილის არ იცნობთ, 60-იანი წლების მოდის ფოტოგრაფიისა არაფერი გცოდნათ და, როგორც ჩანს, დიდად არც როგის ტრფიალი ბრძანდებით. ის „ვოგის-თვის“ ჯინ შრიმპტონს, ტვიგის და თავის ყოფილ მეუღლეს, კატრინ დენეეს იღებდა; ითვლება, რომ მოდის ფოტოგრაფიაში სექსის ელემენტები სწორედ მან შეიტანა. ბეილი იღებდა თავის დროის უდიდეს მუსიკოსებს, ალბომიც არსებობს ასეთი – „დევიდ ბეილის როკ-ენ-როლის გმირები“.

გახსოვთ „Blow up“? ცისფერი ლია როლს-როლის და მსგავსები: ამ გმირის პროტოტიპი სწორედ დევიდ ბეილი გახლავთ. დღეს უკვე სამოცს გადაცილებულ ბეილის ულამაზესი ცოლები ჰყავდა – როზმარი ბრამბლი, კატრინ დენეე, მერი ჰელვინი, კეტრინ დაიერი (ეს უკანასკნელი ორმოცი წლისამ ითხოვა ცოლად, კეტრინი მაშინ თვრამეტისა იყო), და მისი საყვარელი მოდელების რაოდენობამ სამას სულს გადაჭარბა, რა უბედურება! დევიდი თავის გენიალობაში მტკიცედაა დარწმუნებული – ვერ ვიტყვით, რომ მთლად უსაფუძვლოდ.

აი, ასეთი კაცის შვილია პალომა ბეილი, რომელთან მუშაობაც არაერთ ფოტოგრაფს უცდია, მათ შორის თავის დიდ მამასაც და პოლ მაკარტნის ნახევრად ასულ მერისაც. ერთ დილას მას ჩევნს გმირთან, ოლეგ მიხევთან ჰქონდა

ნამუშევარი და შემოქმედება>>

ოლეგმა ამიხსნა, რომ ის, რასაც მე „არსის“ დარბაზში, ბრიტანულ-ქართული კულტურის პლატფორმის მიერ გამართულ გამოფენაზე ვხედავდი, მისი შემოქმედება კი არა, ნამუშევრებია – რუტინა. კარგი, რა! ოლეგს თავისი მეგობარი გაახსნდა, რომელმაც უთხრა, ეცადე, შენს პორტფოლიოს შეესაბამებოდეო.

– ეს ჩემი ნამუშევრებია და არა შემოქმედება, – თავი იმართლა ოლეგმა. – სინამდვილეში, სულ სხვანაირად ვიღებ. მე ქალების გადალება დიდად არ მინდა. ნაცურმორტები მიყვარს. მაგრამ რა ვქნა – დიდ ბრიტანეთში ძალიან ვიწრო სპეციალიზაცია არსებობს: თუ ერთხელ გაბრიუდი და მაცივარი კარგად გადაიღე, გადაწყდება, რომ მაცივრების ფოტოგრაფი ხარ.

სამაგიეროდ, პორტრეტებში ძალიან მიმართებს: ჯესი ნორმანიც მყავს გადალებული, მაიკლ ნაიმანიც, მინიმალისტი კომპოზიტორი. მახსოვეს, როცა ჩემთან იყო, იან ტერსენი ჩავურთე, მუსიკა „ამელიდან“, და მთხოვა, გამორთე, ნერვები მეშლებაო. თურმე, მანამდე მას შესთავაზეს ამ ფილმისთვის მუსიკის დაწერა და ჰონორარი მეტისმეტად დიდად რომ ეჩვენათ, ახალგაზრდა კომპოზიტორს მიმართეს, ტერსენს, და იმან ამ ერთი ფილმით გაითქვა სახელი.

ისე, ნაიმანს ჩემი ვალი აქვს – დამპირდა, უერარ დეპარტების გაგაცნობო, და დღემდე არ გაუცვნია. როცა საქმე საქმეზე მიდგა, დეპარტების შვილს უბედურება შეემთხვა, ფეხი დაკარგა და რა დროს ფოტოსურათები იყო. არადა, სულ ორი მსახიობის გადალება მინდონდა ცხოვრებაში: მისი და კაზი კავაძისა. ახლა კი აქ, თბილისში, კაზი კავაძე გადავიდე –



ფოტოგრაფია ერთს ცხვირი გაუჩინა, მეორეს – ლავილის ქვალი, მასამის ხელი მოამზორია, მეოთხეა კი თავს უშველა და გაიცხა. უდა ითქვას, რომ, საერთოდ, დონოვანი უცყინერი კაცი იყო, ყველაფერთან ერთად, ბუღიზმით გატაცებული; უბრალოდ, როგორს ჩანს, მეტისხეზად ცყინერი, რომ ვიღაც ბრიუვები დლისით-მზისით გაძარცვას უბელავლენ. ჰყვებოდენ, ძურა გამარჯვებულს ალტაცებით უკრავლაო ტაშს.

დაუჯერებელია! მანქანიდან რომ გადმოვიდა, ალარ ვიცოდი, რა მეტევა, ხომ არ ვეტყოდი, ჩემთვის ყველა დროის ყველაზე კარგი მსახიობი ხართ-მეტქი! შეხვედრამდეც საშინლად ვლელავდი და წარმოიდგინე, დანახვაზე რა მომივიდოდა!

– მაგრამ მაინც ყველაზე მეტად მოდელებს იღებ. ოლეგ მიხევი – მოდის ფოტოგრაფი.

კი. საერთოდ, მოდას არაფერს ვერჩი, პირიქით. სასწავლებელში ვთვლიდით, რომ დიზაინერი, რომელსაც თავისი არაფერი აცვია, არაფრად ვარგა. ასე, დიპლომის დაცვისას, ორი პრობლემა ჰქონდა ყველას: რას დაიცავს და რაში, ანუ რა ეცმევა. მეც განიერი შარვალი შევიკერე, ტყავის ჰალსტუხი...

ის შარვალიც, რომელსაც გულმოდგინედ ვუდიმოდი – რა იცი ეშმაკებისა, იქნებ გული აუჩუყდეს და მაჩუქოს-მეტქი, – ოლეგის შეკერილი ალმოჩნდა, პატარა „ბერნინაზე“.

მანც ვიჩუქებ იმ შარვალს! ნახავს ოლეგი „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერს, უთარგმნიან, შიგ რაც წერია, და იქნებ გამომიგზავნოს.

და ბოლოს: ამავე, რომელსაც ვერ მოლაპა გაუგო რამ და ვერ მა >>>

ერთხელ ტერენს დონოვანი იტალიაში იყო გადასაღებად ნასული. ქუჩაში მას დანებით შეიარაღებულმა ოთხმა მამაკაცმა შეუტია – ჩვეულებრივი ყაჩაღები იყვნენ, ქუჩის ნაძირლები. ფოტოგრაფმა ერთს ცხვირი გაუტეხა, მეორეს – ლავინის ძვალი, მესამეს ხელი მოამტვრია, მეოთხემ კი თავს უშველა და გაიქცა. უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, დონოვანი უწყინარი კაცი იყო, ყველაფერთან ერთად, ბუღიზმით გატაცებული; უბრალოდ, როგორც ჩანს, მეტისმეტად ეწყინა, რომ ვიღაც ბრიყვები დღისით-მზისით გაძარცვას უბედავდნენ. ჰყვებოდნენ, ქუჩა გამარჯვებულს აღტაცებით უკრავდაო ტაშს...

სულ მალე კი მათ, ვისაც ტერენს დონოვანი უყვარდა და საერთოდ, ფოტოგრაფია უყვართ, მედიამ ერთობ უსიამოვნო და უცნაური ამბავი აუწყა: ოსტატმა, რომელსაც ორმოცი წლის განმავლობაში მილიონამდე ფოტოსურათი

ჰქონდა გადაღებული, რომელიც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფოტოგრაფად იყო აღიარებული, თავი მოიკლა. ყოველ შემთხვევაში, მისი მეუღლე გამნარებით ამტკიცებდა, სწორედ ასე იყო – გადაღების ადგილიდან უცებ წავიდა, თავის სტუდიაში დაბრუნდა და თავი ჩამოიხრჩო, იმიტომ რომ ასთმა ჰქონდა და წამლებს იღებდა, და იმ წამლებმა იცის ასეთებიო.

– ძალიან ძნელი დასაჯერებელია, – მიყვებოდა ოლეგი. – ტერენსს საამისო არაფერი ეტყობოდა. მაგრამ რას გაიგებ...

„რას გაიგებ“ – ოლეგის მიერ მოყოლილი მრავალი ამბის დასკვნად გამოდგება.

...ოლეგს ავუხესენი, რომ ქუჩის ძაღლებისა ძალიან მეშინა. აი, ის ნაგვის გროვაც ძაღლად მომეჩვენა და კინაღამ ბოძზე ავძვერი.

– ეკატერინბურგში უსქელესი მეტოვე ქალი ძალაყინით ლენავდა ყინულს. გარშემო ერთი ციდა ძაღლი უტრიალებდა. რომ ჩავუარე, თითქოს მეხი დამეცა ფეხში: მოცუნცულებულა ეს ცხოველი, საშინლად უკბენია და ისევ წაცუნცულებულა. ეტყობა, გიუ იყო. მეტოვე კი თავისას განაგრძობდა, ურტყამდა და ურტყამდა ძალაყინს.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და დიდად არ მინაღვლია, არც ნემსის გაკეთება მომსვლია აზრად. ახლა ვფიქრობ, რომ სულ იმ ძაღლის ბრალია, რომ ასეთი დავდექი. ვერ იყო ის ძაღლი ჯანმრთელად.

ნეტა ჩემთვისაც ეკბინა ასეთ გოშიას. რა იცი, როგორ წავიდოდა ჩემი საქმე.

P.S. ოლეგ მიხევის გაცნობისთვის, ფოტოგადაღებებზე დასწრების უფლებისთვის და გამოფენის ორგანიზებისთვის მადლობას უცხდით საქართველოს ეროვნული გალერეის გენერალურ დირექტორს, ქალბატონ ქეთევან კორძახიას.



ავტორი: სალომე კიკალაშვილი

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

S i l e n c e ! M o t e u r ! B i p !

ფრაგმენტები გადაღების რამდენიმე დღიდან.

პიერ გრიზის პროდუქცია

„პალები შემოდგომით“

ოთარ იოსელიანის ფილმი

გადაღება: 11/07/2005–02/09/2005

რეჟისორი: ოთარ იოსელიანი

ასისტენტები: პაოლო ტროტა, მარი ობერი

ოპერატორი: უილიამ ლუბჩანსკი

ასისტენტები: ირინა ლუბჩანსკი, ნიკო ტარიელაშვილი

განათება: ჯიმ ჰოუ

ასისტენტები: ნიკოლას ბლამპაინი, რაფაელ ვან სიტერენი

ხმა: უერომ ტიონ

ასისტენტი: ანტუან მერსიე

დეკორაცია: მანუ დე შავინი

ასისტენტები: ივ ბროვერი, არნო როტი

კოსტიუმი: მაირა რამედან-ლევი, ადელაიდ გოსლინი

მთავარი მემონტაჟე: ოთარ იოსელინი

ასისტენტი: ევა ლენკიევიჩი

მუსიკა: ნიკო ზურაბიშვილი

გმირები და შემსრულებლები:

ვინსენტი - სევრან ბლანშე

არნო - ოთარ იოსელიანი

მატილდა - ლილი ლავინა

მარი - მიშელ პიკოლი....



სპეც-პროექტი:
ოთარ იოსელიანი ილეას ახალ ფილმს



▲ გადაღები. მარსალორი: უილიამ ლუბჩინსკი, რეჟისორი ოთარ იოსელიანი, რეჟისორი ზული ბარბურიაშვილი





▲ კალი ფილმისა. მსახიობი ლილი ლავინა

ოთარ იოსელიანი ახალი ფილმის გადაღებას იწყებს. „პალეში შემოდგომით“ – სასცენარო სახელი ასეთია, და მარე ვნახოთ... უიძლესა შეიცვალოს კიდევ. გადასაღები ადგილები შეაჩერავია. ფილმი მონაცელეობის მისაღებად, მსახიობები და არამსახიობები, ყველა მოცემულია. გმირების ფოტოები სამუშაო კაბინეტში, ზუსტად საცერი მაგიდის პირდაპირ, დიდ დაჭახება გამოკრული. კუთხები, ფურცლები დაჩატულ “რასკადროვებისან” ერთად, სცენარის რამდენიმე ვარიაციი დევს. აქ ყოველი კადრი, კამერის დეტალები მოძრაობა და მსახიობის გადააღილებაც კი სპრუჟულოზურად არის გადამცემული. ერთი სიტყვით, გზის ნაწილი გავლილია. მაგრამ ახლა, კიდევ უფრო რთული იცყება – გ ა ღ ა ღ ე პ ე პ ი.



▲ კამრი ფილმიდან





ბალალებები. როთარ იოსელიანი, სევრან ბლანშ, გაიმუნა 6'400





გადალებები. ოთარ იოსელიანი და მარჯო შავიჩი

გადალებები. პარიზი. 2005 წელი.

ჯერ არ გათენებულა. რიურახია. მთელ ძალ-ღონეს ვიკრებ, რომ სწრაფად ავდგე, თვალები რაც შეიძლება ფართოდ გა- ვახილო და დიდი ხანი გავჩერდე ასე – ექსტაზში შესული აფრიკელი გურუსავით. იქნებ ასე მაინც გამოვფხიზლდე. უნდა გამოგვიარონ. 15 წუთი და უკვე ქვემოთ ვართ. მარი იპერი, როგორც ყოველთვის, წარბებშეჭმუხული ზის საჭესთან, პაოლო ტროტა კი შეუდარებელი იტალიური აქცენტით იწყებს ფრანგულად მოსალმებას:

- ça vas?

- ça vas.

ორჯერ გადაკოცნა. მანქანის დაქოქვის ხმა და წავედით. ამაზე მეტის თქმის თავი არავის გვაქვს. ყველანი ძალით და ჩქარ- ჩქარა ვაფახულებთ თვალებს. ჯერ კიდევ გამოფხიზლების პრობლემა გვაქვს.

ადგილზე მისულებს, გადამდები ჯგუფის თითქმის ყველა წევრი გვხვდება. ça vas? ça vas – ისმის გაუთავებლად. წესის მიხედვით, ყველა ორ-ორჯერ კოცნის ერთმანეთს; ყვებიან, რა კარგად ეძინათ გუშინ, ან როგორ სტკიოდა უული ბერტუჩელის ზურგი, რომელიც დოკუმენტურ კინოს იღებს ამ გადაღებებზე და კამერით გამუდმებით თან დაჰყვება ბატონ ოთარს; განა- თების ასისტენტები აქეთ-იქით დააძუნდულებენ უშველებელ ნათურებს, 3 კაცი აწყობს კამერას და მეოთხე ე.წ. ბილიკს, ანუ „დაროუკას“ აგებს. რეჟისორის ერთი ასისტენტი – აი ის, შექმუხული წარბებით რომ დადიოდა, „მასოვკის“ ხალხს უხსნის, ვინ სად უნდა დადგეს, ვინ ვის პარალელურად უნდა დაჯდეს; იტალიელი პაოლო წინასწარ მომზადებული „რასკადროვებით“ დარბის... ყველა ერთმანეთში ირევა, აგებენ, ამაგრებენ, აწყობენ... მერე, ხსნიან და თავიდან აგებენ, ამაგრებენ, აწყობენ... რეჟისორი, ოპერატორი, გამნათებელი, დეპორატორი თავ-თავიანთი ჯგუფებით. ერთი მე ვარ რაღაც გაურკვეველ დაჯგუფე- ბაში. არა, საერთოდ არ ვარ ჯგუფში. მარტო ვარ, ჩემთვის.



გალალებები. პროფისიული მართვის მარინისაჲი და ოთარ იოსელიანი

დღეს ხიდის ქვეშ იღებენ. საერთო ხედით: ბომშებს, კლოშარებს, შავკანიანებს და გალატაკებულ მდიდრებს. დეკორაცია დიდად საჭირო არაა, რადგან ეს ნამდვილად კლოშარების ბუდეა. უი, უკაცრავად, სახლი – მუყაოს ყუთებით, დიდლაქებიანი საბნებით და ჭუჭყიანი ქვაბებით. რა თქმა უნდა, წინასწარვე შეუთანხმდნენ “მეპატრონეებს”. ამიტომაც, “სახლი” ცარიელი დაგვხვდა. მაგრამ არა, მოიცადეთ, ერთ-ერთი ჯერ კიდევ აქაა. სანამ ოთარ იოსელიანი, ფილმის ოპერატორი უილიამ ლუბჩინსკი და გამნათებელი ჯიმ ჰოუ, ფურცლებით ხელში, დინჯად დააბიჯებენ და მსჯელობენ, ხოლო ფონად, ბევრი ასისტენტი ენერგიულად აწყობს გადალებისათვის საჭირო ტექნიკას, “სახლის” მეპატრონე ცალი თვალით გვათვალიერებს. ასისტენტების არ იყოს, ისიც ენერგიულად აკეთებს თავის საქმეს. დგას მზის სხივებარეკლილ სენასთან და აშკარად კმაყოფილი ფიზიონომიით, კბილებს იხეხავს. დინჯად იცვამს პიჯავს და არისტოკრატის გამომეტყველებით, ველოსიპედზე ჯდება. პატრონის სტვენის გაგონებაზე, უცებ რეაგირებს ყუთში ჩამალული ძალი. ძვრება ძუნდგლიანი ყუთიდან, ერთი-ორს კარგად შეირჩევა და წითელ წიგნში შეტანილი უიშვიათესი სამეფო ჯიშის საუცხოო ძალის მიხვრა-მოხვრით, ორივენი წამში ტოვებენ გადასაღებ მოედანს. ვერაფერს იტყვი, ასეთ იდეალურ წყვილს, იშვიათად თუ შეხვდება ადამიანი.

ცოტა არ იყოს, თემიდან გადავუხვიე, მაგრამ... იმდენი ხანი გრძელდება მომზადების პროცესი, რომ სხვა არაფერი გრჩება: ან უაზრო კითხვებით უნდა შეაწუხოვ ვინმე (რაც ნამდვილად არ ღირს), ან ზემოთ აიხედო და იმ ცნობისმოყვარე ტურისტთა ობიექტივში მოხვდე, ხიდს ზემოთ რომ დგანან და უთენია, ბედნიერი შეძახილებით, ფოტოაპარატებს აჩხაუნებენ – აქაოდა, პარიზი ხომ ვნახეთ, ვნახეთ, და გადაღებებსაც დავესწარითო...



▼ კალის ფილმიდან. შოსან ჩაკეტი, კომარზიაზორი ნიკო ზურაბიშვილი და სევან გლეხვე





▲ Համեմատական գործությունը պահանջվում է այս ժամանակ



„ნაციონალური“ კინო

— რა, მათხოვარი უნდა ითამაშო ფილმში? ოო, არა, რა! — გაისმა ერთ დღესაც ოპერატორ უილიამ ლუბჩანსკის სახლში. კარგი, — დათანხმდა რეჟისორი, — მაშინ შენ იქნები პასპორტდაკარგული პრინცი. აი, ასე გახდა ფილმის ოპერატორი ლუბჩანსკი უპასპორტო პრინცი, ხოლო ოთარ იოსელიანი, რომელსაც, როგორც ჩანს, არც არავინ გაუწია წინააღმდეგობა, ერთი უბრალო, ჩვეულებრივი მათხოვარი: გაუპარსავი წვერით, გაღეღილი პერანგით და ერთი ბოთლი წითელი ღვინით.

ფილმზე, როგორც ყოველთვის, ყველა „ძველი და თავისიანი“ მუშაობს: ოპერატორი, გამნათებელი, ხმა და, ბოლოს და ბოლოს, მსახიობებიც — წითელთმიანი ექსცენტრული ლილი ლავინა, დეკორატორი მანუ დე შავინი, მოდილიანის ნახატივით, ჭიაყლასავით ახორილი, გამხდარი, გრძელებისერა კარპანტიე, კიდევ... კიდევ ბევრი ნაცნობი სახე. ოო, ეს უკანასკნელი კი, რომ იტყვიან, დელიკატესად მოვიტოვე — მ ი შ ე ლ პ ი კ ო ლ ი. მართალია, უკვე დაბერებული მუსიე პიკოლი სულ რამდენიმე დღე ბრძანდებოდა გადაღებებზე, მაგრამ ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მთელ ჯგუფს მისთვის ფოტო გადაეღო და გამჭოლი მზერით, ათასჯერ მაინც კარგად აეთვალიერებინა მსახიობი. ისე, ვნახოთ, თუ იცნობთ ფილმში პიკოლის. რატომ? რა ვიცი... თუ არა და... კარგი, ხო, თავიდან გადაათვალიერეთ შემსრულებელთა სია და მიხვდებით.

ქადრი ფილმიდან



ქადრი №

დილიდან აქ ვართ, საავადმყოფოში. ვინრო დერეფანში ყველა ერთმანეთს ეჯახება და სუფთა ჰასასუნთქად, გარეთ გარბის. წვიმს, მაგრამ ზედ მონათებულ პროჟექტორის სიმხურვალეს და საავადმყოფოს სუნს მაინც სჯობია. ჩემს უკან რამდენიმე ხანშიშესული ადამიანი დგას. რეჟისორს ელოდებიან. რამდენიმე დუბლის შემდეგ, მორიგი შესვენება დაიწყო, 5 წუთიანი – ერთს მოვწევ და მოვალ. გასასვლელში ძველი მეგობრები ხვდებიან

– ოთარ, აი, ჩვენც მოვედით. ისე, რა უნდა გავაკეთოთ?

– არაფერი ისეთი, მერე გეტყვი...

ეს კითხვა და პასუხი გადალებებზე თითქმის იმდენჯერ გაისმა, რამდენი გადასაღები დღეც იყო. ასეთი დღე სულ 40 იყო. ანუ მიხვდით, რომ ძალიან ბევრჯერ.

თეორი კია და ჯადოსნერი სასტვენი ან „ბალიგი შემოსტომით“

გადალებები თავისი ტემპით და ფრანგებს რომ უყვართ, ისეთი ordre-ით ანუ წესით მიმდინარეობს. ყოველდღე რამდენიმე „რასკადროვკა“ უკულმა იდება საწერ მაგიდაზე. ეს გადალებულია. ზოგიერთი ეპიზოდის გარდა, ყველაფერს პარიზში იღებენ. ამიტომ, გადალებაზე მისვლა დღის ნებისმიერ დროს შეიძლება. ხელში რუკა, ზედ გულდასმით დახატულ-აღწერილი მისამართი და მორჩა. კიდევ ფერადი ისრები, რომელიც გადასაღებ მოედანთან მიახლოებისას, ბოძებზე შემოხვეული გხვდებოდა: „Pierre Grise Productions“. არ დაიკარგები. ფერადი ისრები ხან ძველი არქივის შენობასთან დაგხვდებოდა, ხან ზოოპარკთან, ხან მეტროსთან, ანდა ვენსანის ტყესთან...

კადრი ფილმიდან





▲ Հայուս Պոլտական





▲ პატი ფილმიდან. სევრან ბლანში

გადაღებისას, არავითარი ხმამაღალი ან უხეში სიტყვა, მაშინაც კი, როცა ასჯერ ნათქვამს მსახიობი პირიქით აკეთებს. ერთადერთი, რამაც შეიძლება გადაღებას ხელი შეუშალოს – ამინდია.

თეთრი კეპი და სასტვენი ის ნივთებია, რაც მთელი გადაღების მანძილზე, მუდმივად თან აქვს. “ხომ ხედავ, ერთს დაუსტვენ და ყველა ადგილზეა” – მითხრა სასტვენის მორიგი, ყურისწამლები სტვენის შემდეგ. არავითარი ვოქითოქები, რაცა, ან რაღაც ამდაგვარი. ერთი უბრალო სასტვენი, ძლიერი ჩაბერვა და მორჩა. ჯერ კიდევ ტუჩებთან მიტანილი არ ჰქონდა ხოლმე, რომ მთელი ჯგუფი, ყურებზე ხელებაფარებული და თვალებმორჭუტული, გასუსული ელოდებოდნენ სტვენას. ცნობისთვის: სტვენა ორნაირია. ერთი წყვეტილი, – მოემზადეთ, ვიღებთ; და მეორე გაბმული – სიჩუმე, ვიღებთ.

დღეს, რაც დაგეგმილი იყო, ყველაფერი გადაიღეს. უბრალოდ, ბევრი სხვადასხვა სცენა გადაიღეს და... ძალიან დავიღალეთ. დაქანცული, ყველა ნელ-ნელა ლაგდებოდა, რომ რომიდან დაბრუნებულმა ვატო ანდლულაძემ ჩანთიდან ლიმონის და ვაშლის ლიქიორები ამოაცურა. ამის დანახვაზე, მთელი გადამლები ჯგუფი, ერთჯერადი ჭიქებით ხელში, გრძელ რიგში იდგა. თავისთავად, ამ კონკრეტულ პროცესს შედეგიც მოჰყვა, და მაქსიმუმ 5 წუთში, ხის გადამამუშავებელი ცენტრი შესასვლელ-თან, ხმამაღალი სიცილი და ზედმეტად აუიტირებული მოძრაობები შეინიშნებოდა.



▼ გადალიგები. რეზისორი მთარ იმსელიანი და რარატორი უილიამ ლუპჩავეი





▲ კადრი ფილმიდან. კარპანტი



კადრი №

ბოლო დღეა. „ხლაპუშკა“ წარწერით: „ბალები შემოდგომით“. 2005 წელი. რეჟისორი ოთარ იოსელიანი, – დღეს ბოლოჯერ დატკაცუნდა. როული დღე იყო. კადრში ბევრი ადამიანია და ყველა ზუსტად გაანგარიშებულ დროში უნდა ამოძრავდეს. ერთმა ზუსტად ამ წამს უნდა გაიაროს, რომ მეორემ ფეხზე წამოდგომა მოასწროს; მესამე ამ ყველაფერს კარგად უნდა და-აკვირდეს, რომ კამერის პანორამულ ბრუნვას გაჰყვეს და ამა და ამ წამში უნდა მოასწროს სადღაც შერბენ-გამორბენა... ამ ყველაფერს მარი და პაოლო აკონტროლებენ. აი, რატომაა მარი მუდამ წარბებშეჭმულული!

მზე ჩადის. ეს კადრი კი არ ვარგა. გადამდებ ჯგუფს შორიდან მომზირალი თვალები გაოცებით უყურებენ. ვერ გაიგეს, რატომ აწყობენ ყველაფერს, ერთს გადაიღებენ, მერე დაშლიან, გაირბენენ 20-40 მეტრს და ისევ დააწყობენ, იგივეს გადაიღებენ... მზე ჩადის-მეთქი და ბოლო კადრი არც ისე კარგი იყო. ხომ იცით, ერთადერთი, რამაც შეიძლება გადაღება შეაფერხოს – ამინდია.

გადაიღეს. მორჩა. დამთავრდა. გრძელი აპლოდისმენტები.

P.S. წინ კიდევ – მონტაჟია.

კადრი ფილმიდან



ბ ა რ ა ბ ა შ კ ა

ავტორი: სალომე კიკალაშვილი
ფოტო: დავით მასაში

„ხომ იში, თეატრს ბევრი “ბარაბაშვა” ჰყავს. ყველაზე
მნიშვნელოვანი “ბარაბაშვილი” კი არტისტის შვილები
არიან. ისინი ისეთ რაღაცებს ხელავენ და ამჩნევენ,
რასაც ლილები ვერასდროს დაინახავთ“.

ყველა თეატრს, თავისი “ბარაბაშვა” ჰყავს.

თეატრის “ბარაბაშვა”?

ჰო, ჰო, თეატრის “ბარაბაშვა”.

ჩემი დღევანდელი მასპინძელიც “ბარაბაშვაა”. ოღონდ, არა ზოგადად თეატრის, არამედ კონკრეტულად – ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის. რად გვინდა ასე კონსერვატორულად, უბრალოდ – რუსთაველის თეატრის და მორჩა.

ჩემს “ბარაბაშვას” ძალიან სევდიანი თვალები აქვს. დიდი, სევდიანი თვალები. ასე გვინია, მსოფლიო სევდას დაატარებსო. ვინ იცის? იქნებ ასეც არის, რადგან “ბარაბაშვები” ხომ ბევრს არ ლაპარაკობენ. აი, დღეს გამოგვიდა, თორემ... „ზოგჯერ ისეთი რაღაცები მემართება, რომ... ხმასაც ვერ ამომაღებინებ. ნუ, არა და მორჩა.“

როგორც წესი, ყველა “ბარაბაშვას” თავისი ისტორია აქვს;

პირადი ისტორია, რომელიც მისია, მხოლოდ და მხოლოდ მისი. შენ კი, თუ ძალიან მოგინდა მის ცხოვრებაში ქექვა, ჩაგახედებს, ოღონდ ცოტათი. მინიმალური სიღრმის მაჩვენებელ სქელ, წითელ ხაზთან კი... სტოპ, სტოპ. ნურას უკაცრავად. “ბარაბაშვებს” ეს არ უყვართ!

და მაიცს:

ისტორია მრგვალი ბალიდან იწყება, სადაც აღმართზე დღესაც დგას ორსართულიანი აგურის სახლი. აქ, ბებიის სახლში, დეიდაშვილებთან ერთად იზრდებოდა. ყველაფერი ძველი და საგვარეულოა: ხის ბუფეტი, სკამები, დიდი მაგიდა... “გუვერნანტების” აღზრდილი ფრანგი ბებიის, ვარვარა მუსხელიშვილი-ზაგიუს მკაცრი დისციპლინა: პუშკინის კითხვით, აუცილებელი საზეპიროებით და კარნასების წერით. კიდევ, ფრანგული პასეანსებით. ეს ყველაფერი კი რუსულად, რადგან ბებიამ ქართული არ იცოდა, ფრანგული კი ბავშვებისათვის არასდროს უსწავლებია. რა იცი, რა გექნება მათგან საიდუმლოდ სათქმელი, ყველაფერი ხომ არ უნდა გაიგონ?!

საუზმე თავისი წესებით: პირველი, მეორე, ცივი, ცხელი





და ა.შ. სადილიც ასევე, ვახშამიც... გვერდზე ოთახში, მუხის ყდაში ჩადებული სქელი ნიგნი დევს – საგვარეულო შტოს შესახებ, თუ როგორ ეპარება სუფთა სისხლის ფრანგულ გენეალოგიას ქართველი მუსხელიშვილების გენეტიკა.

მშობლების დაშორება არ ახსოვს. არც არავითარი ტრაგედია არ ყოფილა. მამასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. თუმცა, ერთად არასდროს უცხოვრიათ. მოდიოდა, სასეირნოდ მიყავდა... ისე, როგორც ხდება ხოლმე. უბრა-

ლოდ, „ჩემი მეხსიერებით, მე დედას და კახოს ოჯახში დავიბადე. ეს ყოველთვის ასე იყო. ეს იყო ჩემი ერთი დედის და ორი მამის ამბავი.“

მართალია, ამ ისტორიაში ტრაგედია არც არავის დაუნახავს, ან რატომ უნდა დაენახა ის, რაც არასდროს ყოფილა?! მაგრამ, რაც არ უნდა ვთქვათ, ამ ისტორიით ერთი ადამიანი მაინც „დაზარალდა“. მორალურად „დაზარალდა“, რადგან ვერაფრით გაიგო, დიდების ახნა-განმარტება ერთ, მისთვის



ყოვლად გაუგებარ საკითხზე. ნანუკას 4 წლით პატარა ძმა ირაკლი კაცაძე ყოველ ცისმარე დღეს, ერთი და იგივე კითხვით იღვიძებდა – „კაცო, რატომ დაათრევს ყოველდღე ჩემი და ნანუკა, ვიღაც ხუსკივაძის რვეულებს?“ რა ექნა? ვერაფერი გაეგო ამ ისტორიაში და... პასუხი მეასეჯერაც იგივე იყო – იმიტომ, რომ ნანუკა გვარად ხუსკივაძე, სხვა მამა პყავს და ა.შ. არა, მაინც არა! რას ჰქვია სხვა მამა?! მამა ხომ კახოა!!! და ის ერთია!!! ბოლოს, როცა მიხვდნენ, რომ სხვა

„იცი როდის ალმოვაჩინე ჩემთვის
ეს პროფესია? როცა მივხვდი, რომ
რეალური ცხოვრება არ მიყოფოდა
ცხოვრებისათვის!... სხვაზე ისეთ
რაღაცებებს ალმოვაჩინ საკუთარ თავში,
რასაც აქამდე ვერ ამჩნევდი. შეა
ზღვაში გაგიცურია გარტო? იგივეა.“

გზა არ იყო, ნანუკა „დანებდა“ და – „კაი, ჩემი რვეულები არაა, კლასელისაა, მთხოვა წამომიღეო და...“

ლირიკული გადახვევა:

ინტერიერი. შავ-თეთრი კადრი. საოცრად ლამაზი ქალი როიალზე უკრავს და მღერის. ყველა განაბული უქმენს – ფარდსა ამოფარებული ბოროტმოქმედი, სკამზე ჩამომჯდარი ფოსტალიონი და ტელევიზორის ეკრანის შემყურე მაყურებელიც. ნაზი, ქალური, საოცრად დახვეწილი – ასეთი ახსოვს ყველას დედა – ბელა მირიანაშვილი, კინოსა და თეატრის მსახიობი. რუსთაველის თეატრის მსახიობი.

„რატომ დავიწყე ფრანგულ ძირებზე ლაპარაკი? იმიტომ, რომ ჩემს გვარში, ყველა ძალიან ჯიშიანი ადამიანი იყო. ეტყობა, ხდება ხოლმე და... ჩემზე დაისვენა ბუნებამ. სულ სხვანაირი ვარ... არასდროს ვყოფილვარ ნაზი გოგო... ძალიან მიყვარდა ბიჭებთან თამაში, ისინიც გიუდებოდნენ ჩემზე... სულ ბიჭურად ვიქცეოდი, ბიჭებსა და გოგოებს ვაკავშირებდი. სკოლაში ძალიან მოწესრიგებული ადამიანი ვიყავი. მართალია, სულ ხუთებზე ესწავლობდი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მომწონდა ფიზიკა ან ქიმია. არა! უბრალოდ, წარმოუდგენლად მიმაჩნდა დაფასთან გასვლა და – მასწ, არ ვიცი გაკვეთილი... თან, ამ დროს, საშინელი ამრევი ვიყავი. მძაფრად მახსოვს ეს შეგრძნება, როგორ ვისხედით სულ მრგვალ ბალში, რომელიც რაღაც სახლივით იყო ჩვენთვის. ვიჯექი არა სკამზე, არამედ საზურგეზე, ფეხები დასაჯდომზე მედო – როგორც ბიჭებს. გოგოები კი ნაზად ისხდნენ ხოლმე სკამზე.

მეორე ფრაგმენტი, რაც მახსენდება, ალბათ, უფრო რიტუალი იყო – 55-ე სკოლიდან სახლში წამოსასვლელი გზა. ჯგუფ-ჯგუფად დავდიოდით, ვიღაცა ბორდიურზე მოდიოდა, ვიღაცა ვიღაცის ჩანთას მოათრევდა, ვიღაც ორი ნაბიჯით წინ მიდიოდა, წყვილად; დანარჩენები – უკან, ჯგროდ. იყო საქმეების გარჩევა... მერე ნელ-ნელა ვცოტავდებოდით, სახლებში ადიოდნენ.“

არ იფიქროთ, რომ რამე მოგეჩენათ, თუ ერთ დღესაც



მრგვალ ბალთან ჩაივლით და იქ, სკამის საზურგებზე ჩამომჯდარი ნაწუკა დაგხვდებათ. იცოდეთ, რომ არაფერი მოგჩვენებიათ, იმიტომ, რომ დღესაც მიდის ხოლმე და ჩუმად, ისე, რომ არავინ დაინახოს, ისევ ისე, ბიჭურად ჯდება ხოლმე საზურგებზე.

არსებობს რაღაც, სახელიად ნოსტალგია. აგურის ძველი სახლის, სკოლასთან ჩავლის, ძველი ბუფეტის თუ მრგვალი ბალის სკამების... არა, გარემოსი, უფრო სწორად.

„გარემო, ბავშვობა... სწორედ ამან ჩამომაყალიბა – მოწერიგებული, პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგრამ თან ისეთი, როგორიც არ უნდა იყოს არტისტი! სითამარე არასდროს მექნება. მაქსიმალურად ვერიდები რაღაც შეკრებებს იმიტომ, რომ იქ ჩემს ფუნქციას არ ვგრძნობ. მირჩევნია შინ დავრჩე, ან მეგობრები მოვინახულო. თამამად ვერაფერს ვაკეთებდი! საშინლად მორცხვი ვიყავი, მუდამ. უბრალოდ, ახლა რაღაც გამოსავალი მოვძებნე, რაღაცები ვისწავლე...

ყველაზე თავისუფალი მაინც სცენაზე ვარ. იცი, როდის ალმოვაჩინე ჩემთვის ეს პროფესია? როცა მივხვდი, რომ ცხოვრებისათვის რეალური ცხოვრება არ მეყოფიდა! მბეზრდება რეალობა – იყო მხოლოდ დასახლისი, იარო მხოლოდ მეგობრებთან... სცენაზე ისეთ რაღაცებს აღმოაჩენ საკუთარ თავში, რასაც აქამდე ვერ ამჩნევდი. შუა ზღვაში გაგიცურია მარტოს? იგივეა.”

„ხომ იცი, თეატრს ბევრი “ბარაბაშკა” ჰყავს. ყველაზე მნიშვნელოვანი “ბარაბაშკები” კი არტისტების შვილები არიან. ისინი ისეთ რაღაცებს ხედავენ, ამჩნევენ, რასაც დიდები

ვერასდროს დაინახავენ”.

P.S. ვაა, ესე იგი, მეც ცოტათი “ბარაბაშკა” ვყოფილვარ. მომწოდონს.

არ ახსოვს, როდის მოხვდა აქ პირველად. ისე, საიდან უნდა ახსოვდეს? მაშინ ხომ ძალიან პატარა იყო. და თან ეს, პირველი შეხება, თითქოს არც დამთავრებულა. დღემდე გრძელდება. განვრცობითია, ნამდვილი continuous-ი.

სკოლიდან მოსვლა, გაკვეთილები, და უცებ რუსთაველის თეატრი. ბელა და კახო ხომ სულ იქ იყვნენ. გულის ბათქაბუთქი, კუთხეში გასუსული დგომა და სცენას მიშტერებული “ბარაბაშკას” სევდიანი თვალები.

ამიტომაც, როცა ჯერი პროფესიის არჩევაზე მიდგა... არა, არჩევამდე საქმე არც მისულა. არჩევანი, ხომ იმას ნიშნავს, როცა ირჩევ რაღაცას და რაღაცას შორის? ჰო. ჰოდა, მაშინ გამოდის, რომ არც არაფერი აურჩევია. წავიდა იქ, სადაც უნდა წასულიყო. „როგორც ერთ დღეს, როცა ბავშვი ამბობს – იცი, მე დღეს მარტო წავალ სკოლაში. და მიდის.“

მითი, რომ ყველა მსახიობის ოჯახში გაზრდილი ბავშვი მსახიობი ხდება, 90% მართლდება. მაგრამ ის, რომ ყველა მსახიობი ამის საშინელი წინააღმდეგია და შვილები აუცილებლად ჩუმად აბარებენ ინსტიტუტში, ამ კონკრეტულ შემთხვევას ნამდვილად არ შეეფერება.

„დედა ბევრს არასდროს ლაპარაკობდა. მარტო იმას ამბობდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. როცა ვიკითხე – აბა, როდის შეგვაქვს საბუთები-მეთქი, ორად ორი რამ მითხრეს: თუ ჩააბარებ, ჩააბარებ ახლა, იმიტომ, რომ მერე





რუსთაველზე ხილკავით ორნი მოდიან. ქალი და მამაკაცი. გამვლელის
დაცახვაზე, უახლოვდებიან „მსხვერებლს“. მამაკაცი, მისალებების ნიშნად, თავს
უხრის გამვლელს და უპველებელ მლაკას ისღის, საიდანაც ჭოლას ძირა
ქოჩორზე დამაგრიგული ნათურა მოჩანს...



ალარ ჩააბარებო. საუკეთესო პედაგოგს, გიზო ქორდანიას იმ წელს აყავდა ჯგუფი. მკაცრი მოთხოვნაც სწორედ ამის გამო უღერდა კატეგორიულად. და მეორე, იცოდე, რომ ძალიან გეტკინებაო. აქ ცოტა ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს. ამას მერე იგებ, როცა სულ გტკივა, გტკივა სპექტაკლის დაწყების, პრემიერის ნინ, ნარუმატებლობაზე ხომ ალარ ვლაპარაკობ. მსახიობები ხომ თხელკანიანი ხალხია, რომელთაც ერთნაირად შეუძლიათ ალფრთოვანდნენ რაღაცით, თუნდაც საკუთარი შესრულებით, და ასეთივე ემოციით შეუძლიათ გული გაუსადეთ.”

რას იფიქრებდა, რომ სწორედ აქ გამოადგებოდა პასუხისმგებლობის და მოწესრიგებულობის გრძნობით აღსავს ადამიანს, ხუთოსნის დიპლომი! როცა გამოცდაზე გავიდა, მანცდამანც მაშინ გაიღვიძა მიძინებულმა ცუდმა თვისებამ – საშინელმა სიმორცხვემ და... ვერაფერიც ველარ ჰქნა. „ალარც მახსოვს, რას ვაკეთებდი. ერთი გავიგე – ეი, ნუ ბარბაცებო! ალბათ ვქანაობდი. პრაქტიკულად, ჩემმა ატესტატმა გადამარჩინა, რომელსაც მაშინ ყურადღება ექცეოდა. არაჩვეულებრივი შერჩევა გააკეთა გიზომ. დღეს თუ ვინმე კარგად აკეთებს თავის საქმეს, სულ ჩვენი ჯგუფია: ჭოლა, გოჩა კაპანაძე, ლევან ბერიკაშვილი, ნინო თარხან-მოურავი, ნანა შონია, მერაბ ნინიძე...“

მთლად ხატოვანი გამოთქმა არ გეგონოთ, ზუსტად ასე იყო – ოთხი წელი სახლში არ ყოფილა. აბა, როდისლა უნდა ყოფილიყო, როცა დილის 9 საათზე დაწყებული ლექციები, ლამის პირველ საათამდე გრძელდებოდა? მერე კი ყველა ერთად, რომელიმეს სახლში მიდიოდა, გათენებამდე ურიამულობდნენ, დილის 9 საათზე ცივ წყალს სახეზე შეისხამდნენ და ისევ ლექციაზე მიდიოდნენ.

ახლა კი, გაააქტიურეთ წარმოსახვის უნარი; თუ გნებავთ, ცოტაოდენი ფანტაზიაც მიუმატეთ და წარმოიდგინეთ სცენა. უფრო სწორად, ეტიუდი, ქუჩაში გათამაშებული ეტიუდი. მთავარ როლებში: ნანუკა სუსკივაძე და ლევან წულაძე (ჭოლა).

რუსთაველზე ხელკავით ორნი მოდიან. ძალიან სერიოზული გამომეტყველებით. ქალი და მამაკაცი. გამვლელის დანახვაზე, „მსხვერპლს“ უახლოვდებიან. მამაკაცი, მისალმების ნიშნად, თავს უხრის გამვლელს და უშველებელ შლაპას იხდის. უცებ ჭოლას ქრა ქოჩორზე დამაგრებული ნათურა (რატომ?) მოჩანს, რომელიც დამონტაჟებულია მისსავე ხელზე განთავსებულ ლილაკთან. მოუღლოდნელად, ნანუკა მას ხელს აჭერს. ნათურა ინთება და... მომყენებით? მერე ისევ იხურავს შლაპას, და, მორიგი „მსხვერპლის“ მოლოდინში, დინჯად აგრძელებენ გზას. ოღონდ, ძალიან სერიოზულად.

სულ მალე, მათი ძლიერი ჯგუფი რუსთაველის თეატრმა მიიწვია და „მცირე დარბაზიც“ დაუთმო. თეატრის მოყვარულებს მალე ახალი საყვარელი ადგილი გაუჩნდათ. ხალხმა მათ „მცირე დასი“ დაარქვა.

„მცირე დასი“ საქართველოს კუთხეებშიც ბევრს მოგზაურობდა და ევროპაშიც. დრო გადიოდა. ზემოხსენებული „სისულეები“ კიდევ უფრო მეტი და მრავალფეროვანი ხდებოდა. ამასობაში, მოვიდა დრო, როცა „პატარები“ „დიდებმა“ დაპატიჟეს და რუსთაველის თეატრის ორივე დასი ძირითადი და მცირე, ერთად წავიდა გასტროლებზე.

„რა გითხრა, ჩვენი „სისულეების“ კეთებისთვის რაც უფრო შორს ვიყავით, მით უფრო კარგი იყო. ესე იგი, ქუჩაში დეიდა და დედას მეგობარი არ შეგვედებოდა. მაგრამ, როცა ძირითად დასთან ერთად დავდიოდით, მაშინ მოკრძალებუ-

„ყველაფერში საშინელი მაქსიმალისტი ვარ, ბოლომდე ვისარჯები, როგორს დრაკონი, რომელიც ჯერ დაიფერფლება გაერთა და ჰოპ, უცხალ ისევ გაჩნდება, მაც ეგრე ვარ. დრაკონის წელიცალში ვარ დაბადებული.“

ლად ვიქცეოდით. უხერხული იყო, მკაცრად გვიყურებდნენ და შენიშვნებს გვაძლევდნენ... მაგრამ მაინც ხშირად ყოფილა, რომ შუა გასტროლისას, დირექციას საგანგებო კრება გაუმართავს – როგორც კი თბილისში დავბრუნდებით, ვერც ერთი მათგანი ველარ შემოვა თეატრში. დერეფნებში დაჭრობანას ვთამაშობდით, მთელი დასი ერთ ოთახში ვიკეტებოდით... კარგი იყო... მაგრამ რა არის, იცი? თანდათან ნელდება ხოლმე ეს ვნებათაღელვა იმიტომ, რომ ადამიანები ყოფით პრობლემებში იძირებიან. ეს კარგი ნამდგილად არ არის, მაგრამ კანონზომიერია. ყველაზე მაგარი კი ისაა, როცა რაღაც ჩარჩოში ექცევი, მაგრამ ისე, რომ ინარჩუნებ იმ სიგიურს, ოღონდ სახეცვლილს; როცა თვალებში მაინც დარბიან ეშმაკები.

– ?

– მე ასეთ რაღაცებს ხშირად ვაკეთებ, სალომე!

რეზინა.

დღე ოჯახური რუტინით იწყება. ნანუკა, კახო და შვილი აკა. რეპეტიციები დილით ადრე იწყება. ამიტომ უნდა მოასწოროს საჭმლის მომზადება, სახლის მილაგება და ა.შ. – “არ მიყვარს ყოფითი საქმეების ჩამოთვლაო.

მერე გავრბივარ. ეს კარგია, რომ გავრბივარ. ესე იგი, საქმე მაქვს. როცა ასე არ არის, მაშინ ეს ძალიან მძიმე შემთხვევაა. ასეთ დროს, ოჯახურ საქმეს, რომელიც მიყვარს, ველარ ვიტან. რჩები სახლში. ესე იგი, რაღაცების კეთება გინევს... საშინლად არ მიყვარს, როცა რაღაცას იძულებით ვაკეთებ. დრო იხარჯება ყოფაზე, რომელსაც შედეგი არ აქვს. ზედმე-

ტად სახლის დალაგება? არა!

ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ვარ. ყოველთვის იმაზე მეტს ვაკეთებ, ვიდრე შემიძლია. რამდენჯერ მითქვამს – აი, ახლა ავტოპილოტზე ვირთვებითი... და ვირთვები. აღარ შემიძლია, მაგრამ უნდა გავაკეთო. ესეც ალბათ იმიტომ, რომ ყველა-ფერში საშინელი მაქსიმალისტი ვარ, ბოლომდე ვისარჯები, როგორც დრაკონი, რომელიც ჯერ დაიფერფლება, გაქრება და ჰოპ, უცბად ისევ გაჩნდება, მეც ეგრე ვარ. დრაკონის წელინადში ვარ დაბადებული.

ის, რაზეც ჯერ არ გვილაპარაკია. მაგრამ ვიცი, რომ გაიცემოს საბოლოო.

„აკას მამა ჩემი კლასელი იყო (გახსოვთ, სკოლიდან წამოსვლის რიტუალი, წყვილ-წყვილად დაწყობილი კლასი?). ერთ დღესაც ბაკურიანში გავიპარეთ. მერე დაიბადა აკა. მერე რაღაც აირია, როგორც ხდება ხოლმე. შეულებისთვის კარგი ასაკი იყო, მაგრამ ყოფა ზოგჯერ ისე გახრჩიბს, რომ შეიძლება რაღაც მოხდეს. აქაც მოხდა და დავშორდით. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ ვიცი. არ ვიცი, როგორ იქნებოდა უკეთესი, მაგრამ რაც არის, ეს კარგია. ახლა მას ოჯახი ჰყავს, აკას კი – ორი მშვენიერი და. ისე, აკა 21 წლისაა და იმ დროს შემეძინა, როცა მე თვითონ ვიწყებდი ცხოვრების აღქმას. შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ. ზოგჯერ ჩემი კლასელიც კი მგონია.

ამას მეორე ქორწინება მოჰყავა, მაგრამ ამაზე არასდროს ვლაპარაკობ, საზოგადო განხილვის თემად არ მიმარინა.

ცხოვრებაში ყველაფერი იყო, მაგრამ მაინც არაფერს შევცვლიდი. მხოლოდ დადებითი ემოციებით ცხოვრება შეუძლებელია. დავტოვებდი ტკივილებს, თავგადასავლებს... უბრალოდ, არის რაღაცები, რაც არ მიყვარს და პროტესტის გრძნობას აღმიძრავს. ის მხოლოდ სათაურის სახითაა ჩემს ცხოვრებაში და დანარჩენს, ანუ შინაარსს ვაგდებ; ოღონდ ისე, რომ თუ მკითხავ, იცნობ თუ არაო, შეიძლება დავფიქრდე. ესეც ჩემი მაქსიმალისტური ხასიათის ბრალია.”

ერთადერთი, რასაც „ბარბაშა“ არასდროს გაპატივებს – გულგრილობაა. ღალატი? არა, ღალატის შემთხვევაში ურთიერთობას წერტილს დაუსვამს და მორჩა. თან, ღალატს ხომ ყოველთვის აქვს თავისი მიზეზი. აი, გულგრილობა კი... „ეს უფრო დროში განელილი ღალატია, რომელიც არასდროს მთავრდება.“

კინო?

ალბათ, ცუდი არ იქნებოდა, კინოში რომ უფრო მეტი მე-მუშავა, მაგრამ მოგატყუებ, თუ გეტყვი, ამის ნაკლებობას განვიცდი-მეტქი. სულ ოთხ ფილმში მივიღე მონაწილეობა. კინოს რეჟისორებისათვის სანატრელი არტისტი არასდროს ვყოფილვარ. ამას სულ ვგრძნობდი და ალბათ ამიტომაც, არც მე მენატრება.

P.S. ნანუკ, ვინ ან რა იქნებოდი წინა ცხოვრებაში?

– არ ვიცი. იმიტომ კი არა, რომ არ მიიღირია. არა. უბრალოდ, არ ვიცი, რა მიმართულებით უნდა ვიფიქრო.



ერისონის, ბერის და გურიაშვილის მოსამავის შემთხვევაში თქვენ გავთ სამარტინოს უსილოსობას

მისი მიზანი საკითხომისამართის დაცვის გარე

"საქართველოს მონარქია და
მონარქიული ცუცუების
უმაღლესობის"

ათი წლის მანავის
ერისონის დაცვის მიზანი

ცაჰამბეგი
PRESENTS

BORJOMI



გორგოლი

GG&MW Co.N.V.
საქართველოს მთელი და
მოსკოვის ტერიტორიაზე მოვალეობა

TBILISI STATE CONCERT HALL

7 - 10 XI

2005

საქართველოს სახალხო
საკურთხეო დაწყები



აქცია
მასალა

24 სასტური

The Messenger



LE PLUS SPECTACULAIRE
VOYAGE MUSICAL

ERISIONI



ერისონი

ერისონი ჩაი და მარცვალი (საფინანსებლი)

გერმანიის განვითარების სამინისტრო

ცენტრალური სამსახური

ცენტრალური სამსახური

უმაღლესობის მიზანის დაცვის მიზანი

უმაღლესობის მიზანის დაცვის მიზანი

უმაღლესობის მიზანის დაცვის მიზანი

უმაღლესობის მიზანის დაცვის მიზანი

FOR MORE INFORMATION CALL : 99 00 99

WWW.EASTERNPROMOTION.COM



მენაჯერი ოპერაში >>>



METRO-კოლექტის MAN-ეჯერი

ლინკოლნ ცენტრის კარს უკვე ისე ავტომატურად აღებს, რომ ადარც ვაგნერის “ნიბელუნგების ბეჭედი” ჩაესმის და აღარც ჩაიკოცავი. სარეპეტიციო ოთახებიდან დერეფენიში ექლებად დალექილი საყვარელი არიები სთივენ ბრაუნის-თვის მწოლოდ ყოველდღიური რუტინის ფონია. ამ ფონზე, მეტროპოლიტენ თეატრის მეტეჯერი გაცილებით უფრო პროზაულ, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საკითხებს აგვარებს. ადმინისტრაციულ კურირებას უწევს ოპერის 6 დეპარტამენტს, რომელიც, თავის მხრივ, 400-მდე შემსრულებელს და სცენის მუშავა ემსახურება; ადგენს გადატვირთული საოცერო სეზონის სრულ კალენდარს — კერძაში 5 წარმოდგენა და დღეში 11-მდე ნარმოდგენის რეპეტიცია; ხელმძღვანელობს მხატვრული ადმინისტრაციის 30-მდე წევრს, რომელმათან ერთადაც კონრდინაციას უწევს დაგეგმვის პროცესს, თათბირებს, სეზონის ამსახველი მასალის შეგროვებს პროცედურებს; ორ სხვა ადმინისტრატორთან ერთად, პასუხს ავებს გასტროლების ორგანიზებაზე, ადმინისტრირებასა და კოლრდინირებაზე ამერიკაში, ევროპასა და იაპონიაში კომპანიის 460-მდე წევრისთვის, 2-4 კერძის განხალიბაში; განკარგავს საშემსრულებლო ჯგუფების ყოველწლიურ საოპერაციო ბიუჯეტს, რაც ერთი წლის განმავლობაში, 20 მილიონი დოლარის მოგებას უდინის. ამდენი კონტრაქტის, დოკუმენტის, სატელეფონო ზარის, საბაზო ჩეკის და ვიზა ბარათის ქაოსში კე ხანდახან ისიც ავინიშება, რომ ამ ყველაფერს საყვარელი მუსიკის — კლასიკური მუსიკის გამოაკეთებს.

მეტროპოლიტენ თეატრის მეტეჯერს სთივენ ბრაუნს საქართველოში, ცხადია, მოვლენათა ასეთი დინამიკა არ უგრძებია. მისთ 18-დღიანი ვაზიტის განმავლობაში, თეატრის მთავარი შესასვლელი მჭიდროდ იყო დაგრძნელი, გვერდითა კარსაც ურდელი ედო. ახალი სეზონის გახსნამდე, თეატრაში სიცოცხლე აშკარად თვლემდა. თუმცა, ეს პასიური გარემო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ კულტურულ ელჩიდ გამოგზავნილი საოცერო მეტეჯერისთვის სამუშაოდ იდეალური დრო აღმოჩნდა.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ისიც, რაც პროგრამის შემდგნლებს გეგმით არ გაუთვალისწინებიათ: სთივენ ბრაუნს თბილისმა ის უნიკალური განწყობა დაუბრუნა, რომელსაც ნიუ იორკულ რუტინაში ჩაფლული, ხმირად ველარ განიცდის ხოლმე. თბილისის ოპერის მძიმე და ძველი ურდფულით გადაკეტილი კარის შელებაში ის იმ სამყაროში გადაიყვანა, რომელსაც სავიზიტო ბარათები, საბაზო ჩეკები და ხელმისაწერი დოკუმენტები მხოლოდ ფონად აქცევს. აյ, ოცერის ვიზრაულებრივი ამბავი გამოდა, დიდ ხელოვანთან, რეზონ გაბრიაძესთან ხელოვნებაზე საუბარი კი — ცრემლის-მომენტები სიამოვნება.

სთივენ ბრაუნი — მეტეჯერი ოპერაში:

ინგლისური ტერმინის პირდაპირ თარგმანში თქვენი თანამდებობა ქართულად ასე ულერს — “სცენის მენეჯერი”. ეს ტერმინი ქართული სმენისთვის იმდენად უცხოა, რომ ყურს მჭახედ ხვდება და, აქედან გამომდინარე, მსგავსი საგანი არც ისწავლება.

თავიდან მეც მეგონა, რომ ჩემი ადგილი სცენაზე იყო და არა კულობებში. “სცენის მენეჯერი” — ამ თანამდებობის ნაცვლად, მომღერლიბაზე ვლკრნებობდი. ამიტომაც შევედილონდნის მუსიკალურ სკოლაში. მყავდა ძალიან კარგი პედაგოგი, რომელიც ძალიან გულწრფელი და კარგი ადამიანიც იყო. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს, პირდაპირ განმოცხადა, რომ ჩემგან ნარმატებული მომღერალი არ დადგებოდა. ეს სამინელი მოსასმენი იყო. სინამდვილესთან შეგუება გამოქიდდა, მაგრამ ახლა ეხევდები, რომ ამის დროულად გაგება ძალიან დამეხმარა. შემდეგ რეჟისორობა მოვინდომე, მაგრამ ისიც გავიაზრე, რომ სანამ რეჟისორი გამოხვალ, უამრავი რამ უნდა ისწავლო. ოონდონის სამეცნიერო თეატრის ცენტრში საგანგებო კურსებია, დიპლომი სცენის მენეჯერის მიერთ სინორედ იქ ავილე. სწავლის პროცესი სრულიად განსხვავებული იყო. სცენის მიღმა მუშაობას სწავლის პროცესშივე გვთხოვდნენ. ასე რომ, კულისებს მთელი თავისი შიდა სამზარეულოთი, ურთიერთობებითა და პრობლემებით თავიდანვე მივეჩვით. ახლა, ამ გადასახედიდან, მხოლოდ ერთ რამეზე მნიუდება გული — მუსიკა, რომელიც ბავშვობიდან მიყვრდა და ჩემი ერთ-ერთი მთავარი პოპი იყო, სამსახურად მექუცა. ამიტომ ვლკრნებობ იმ დროზე, როცა ჩემს საწყის წერტილს დაგუბრუნდები, ოცერა ისევ ჩემი პოპი გახდება, მე კი მუშაობას თეატრში განვაგრძობ — რეჟისორად. ძალების მაქსიმუმის დახარჯვა იქაც მინდა. ეს, სავარაუდოდ, მეტროპოლიტენ თეატრიდან ნასვლის შემდეგ მოხდება.



"ყოველი სამუშაო დღე აგსოლუტურალ დაცლილია იმ ეთმისისაგან, რასაც მუსიკასთან ასეთი სიახლოვის გამო, წასით, უცდა ვიღებდე. ის ჩვეულებრივი სამსახურია. შემიძლია ისიც ვთქვა, ქარხანაში ვმუშაობ და შოკოლადს ვაწარმოებ-მეტები, ნელინადში 220 ნარმოლგენის დადგმა გვიწევს. და ვალდებული ვართ, ის 4 ათასი ადამიანი, რომლებიც ჩვენი ნარმოლგებრების სანაცვად მეტრპოლიტენში ყოველ საღამოს მოდიან, მაქსიმალური ესთეტიკური სიამოვნებით უზრუნველვყოთ. ამისთვის ჩემი დეპარტამენტი, ქრონიკულად, გეგმებს წერს. შემიძლება ასეც მოხდეს: ემუშაობდე ნარმოდგენაზე, რომელიც 2 წლის შემდეგ უნდა გაიმართოს; მაშინ, როცა ჩემი ერთი ასისტენტი სამი თვის შემდგომ გეგმას წერდეს, მეორე ხელშევითი — ორი კვირისას, მესამე — ორი დღისას. თანხების მოძრების პროგრამაშიც ჩართული ვარ, რაც გამუდმებულ ურთიერთობას გულისხმობს იმ ხალხთან, რომელთაც, საფარაუდო, მეტრპოლიტენის ფინანსური დაბმარება სურთ. საგანმანათლებლო პროგრამებშიც უმონაწილეობ. მოკლედ, ეს სულ სხვა ტიპის შრომაა, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს თეატრისა და მუსიკის მიმართ ჩემს პირად ემოციურ დამოკიდებულებათან. ამიტომაც გითხარით, რომ მეტრპოლიტენიდან წასვლის შემდეგ, სწორედ ამ პირად ემოციებს უნდა მივხედო, რომელთაც, სამწუნაროდ, ყოველდღიური საქმიანობისგან ახლა ზედმიწევნით კმიჯინვადა. 72

პირველი დღე მეტრპოლიტენში. როგორი იყო ის?

ორი პირველი დღე მქონდა. პირველ მისვლაზე ხალხს, შენობას გაფეხცანი. ეს სახალისოც იყო. სამაგიეროდ, პირველი რეპეტიციის დროს, დაზაფრული ვუჟურებდი სცენას. მახსოვს აუტანელი შიში და იმის გააზრება, რომ ადამიანებისთვის, რომლებიც თავიანთ საქმეს ჩემამდეც აკეთებდნენ, მე უნდა მეტარიზა რაღაცები და აზალი იდეები მიმეოდებინა.

ერთი სამუშაო დღე, ჩვენი სმენა ტერმინს “ოპერის მენეჯერი” უფრო რომ გაუშინაურდეს.

ყოველი სამუშაო დღე აბსოლუტურად დაცლილია იმ ემოციისგან, რასაც მუსიკასთან ასეთი სიახლოვის გამო, წესით,

უნდა ვიღებდე. ეს ჩვეულებრივი სამსახურია: შემიძლია ისიც ვთქვა, ქარხანაში ვმუშაობ და შოკოლადს ვაწარმოებ-მეტები, ნელინადში 220 ნარმოლგენის დადგმა გვიწევს. და ვალდებული ვართ, ის 4 ათასი ადამიანი, რომლებიც ჩვენი ნარმოლგებრების სანაცვად მეტრპოლიტენში ყოველ საღამოს მოდიან, მაქსიმალური ესთეტიკური სიამოვნებით უზრუნველვყოთ. ამისთვის ჩემი დეპარტამენტი, ქრონიკულად, გეგმებს წერს. შემიძლება ასეც მოხდეს: ემუშაობდე ნარმოდგენაზე, რომელიც 2 წლის შემდეგ უნდა გაიმართოს; მაშინ, როცა ჩემი ერთი ასისტენტი სამი თვის შემდგომ გეგმას წერდეს, მეორე ხელშევითი — ორი კვირისას, მესამე — ორი დღისას. თანხების მოძრების პროგრამაშიც ჩართული ვარ, რაც გამუდმებულ ურთიერთობას გულისხმობს იმ ხალხთან, რომელთაც, საფარაუდო, მეტრპოლიტენის ფინანსური დაბმარება სურთ. საგანმანათლებლო პროგრამებშიც უმონაწილეობ. მოკლედ, ეს სულ სხვა ტიპის შრომაა, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს თეატრისა და მუსიკის მიმართ ჩემს პირად ემოციურ დამოკიდებულებათან. ამიტომაც გითხარით, რომ მეტრპოლიტენიდან წასვლის შემდეგ, სწორედ ამ პირად ემოციებს უნდა მივხედო, რომელთაც, სამწუნაროდ, ყოველდღიური საქმიანობისგან ახლა ზედმიწევნით კმიჯინვადა.

საოპერო ექო, რომელიც მეტრპოლიტენის კედლებში ყველაზე ხშირად გვესმით.

გულწრფელად გეტუვით, მომისმენია რამდენიმე მომღერლისთვის, რომელთა ხმასაც აკუტირებივარ და რომელ-

თაც სცენის მუშებიც აუცრემლებიათ. ერთ-ერთი მათგანი იტალიული სოპრანო რენატა სკოტო იყო. ის „მადამ ბატერფლაიში“ მაღლნას პარტიას ასრულებდა. დაუვიწყარი გახლდათ, ვუსმენდი და გარშემო სხვას აღარაფერს ჰქონდა მზიშენელობა... ვიცი, ახლა ბევრი მსგავსი მოგონება წამომიტოვილება მესამერებაში, რალფან ჩემი ასაკის ხალხს ხშირად ჩვევია თავმოწონება — ო, შენ ის უნდა გენახა; ო, შენ იმისთვის უნდა მოგესმინა. მე კი არ მინდა, ასე გამომივიდეს. პირდეთ, სრულიად გულწრფელად და მთელი არსებით მშურს იმ ახალგაზრდის, რომელსაც ხელოვნების წევლია შეუძლია და რომელიც, ვთქვათ, პირველად წავა “ტრისტა-

სრულიად სერიოზული კაცი იჯდა ეკრანთან და სიკედილი-ვით ეშინოდა ფილმის დაწყების, ნერვიულობდა — ნეტავი, პიტერ ჯექსონმა ხომ არაფერი გააფუქა; ნეტავი, პერსონაჟები ზუსტად თუ გააცოცხლა. საბედნიეროდ, ხელთ საოცრად გაკეთებული ფილმი მემრჩა. ახლაც შემიძლია, ვიყიდო DVD, დაუკადე ტელევიზორთან და ფილმი თავიდან ვნახო, თან დისკზე ბოლუსად მოყვილილი გადაღების პროცესი ვნახო, ინტერვიუებს მოვასმინო, მაგრამ ფილმით პირველად ნახვის სამოგზებას ხომ მანც ვეღარ განვიცდი? ის მღელგარება ალარასფროს განმეორდება.


ამ ჯაფოსნური წამის დაჭერას განსაკუთრებით დიდი

“მშენებელი იმ ადამიანის, რომელსაც უყვარს ხელოვნება და პირველად მოისხენს შესრულებული მოვარდის „მაზურკას“. გემით, რას ნიშნავს შოპენის პირველად მოსმენა? ამ განცდას ხომ ხელმეორედ ვეღარას-დოლს დაიბრუნდება. მერე, უბრალოდ, ცოდნას გაიღომავებ, შოპენის ნაწარმოებების საუკეთესო შემსრულებლებს გაეცნობი, მაგრამ იმ განცდას და შემოქმედებით აღგზენებას, რაც პირველად პატერუსკებიმ ანდა კისინმა შოპენის შესრულებით მოგანიჭეს, ვეღარასდროს აღიდგენ.

ასე იცას კარგმა კინომაც. „ბეჭდების მბრძანებელს“ რეანლიდან ვერითეულობ. სიტყვა-სიტყვით ზეპირად შემიძლია მთელი თავების გახსენება. ამიტომ, არასორის ამავიწყდება ის საშინელი მღელვარება, როცა ეკრანის წინ ვიჯექი და „შეფის დაბრუნების“ დაწყებას ველოდი. დიახ, 52 წლის,

მნიშვნელობა ჩვენს დროში აქვს. დროში, როცა ბავშვს გემოვნება საოცარი სისწრაფით უვითარდება; როცა მას სასურველი სიმღერის ინტერნეტიდან ჩამოტკირთვა წამები შეუძლია. სისწრაფეს მიჩვეულ თაობას კი უჭირს რაღაც ისე-თით იოლად დაინტერესდეს, რაც ასაუმელად უფრო მეტი დროს მოითხოვს. ამიტომ ჩემს გოგონას ყოველთვის ვეუბნები ხოლმე — მოიცადე, ნუ ჩქარობ, ხდავ ამ კაცს? როცა საყვარელ წარმოდგენას უყურებს, ტირის. გესმის, რატომ ტირის? დაუფირდი ამაზე.

ცხადია, ბატარა ბავშვს პიგასოს „გერნიკას“ — მეოცე საუკუნის ხელოვნების ყველაზე გრანდიოზულ ნიმუშს ძალით ვერ შეაცვარებ. მაგრამ შეგვიძლია, წაიყვანო მუზეუმში, დააყენო ტილოს წინ და „უთხრა, ეს „გერნიკა“ — ძალანი კარგი ტილო, მოდი, შევჩერდეთ ცოტა ხნით, შეხედე და დაუკირდი.





„რამდენიმე წლის შინ, ახერიკაში, დისკების
მაღაზიაში ჩასული ხოს ჩამნერი კომპანია
„გელოფიას“ მიერ გამოშვებულ ფირფიტას
თავაცყლი. საბჭოთა საოცარო ნიმუშებს
შორის „აბასალომ და ეთიორიც“ იყო. დისკი
დაუფიქრებალად შევიძინება.“

და ბარემ — უკან, ბავშვობაში და თქვენი პირველი მუსიკულური შთაპეჭდილება.

სკოლაში იყო. ზუსტად რომელიმე კონკრეტული დღის გახსენება, ცხადია, მიჟირს, მაგრამ კლასიკური მუსიკით მართლაც ბავშვობიდანვე დაკინტერესდი. პირველი, ვინც ჩემზე წარუმლელი შთაპეჭდილება მოახდინა, ვაგნერი იყო. ჩემსა და ამ კომიპოზიციონს შორის მაშინვე დამყარდა უხილავი ემოციური კავშირი და თან იმდენად ძლიერი, რომ დადემდე გრძელდება.

ასე რომ, არავითარი „ბითლზი“ და „როლინგ სოლუნზი“, პირდაპირ ვაგნერ?

პირდაპირ კლასიკური მუსიკა.

პირველი ფირფიტა.

ჩემი პირველი დისკი ჩაიკავში იყო. რატომ მანცუდამანც ის, აღარ მახსოვეს. ალბათ, მომწონდა. სხვათა შორის, ამ დღისკენ დღემდე ვინახავ.

კიდევ ერთი გამორჩეული ფირფიტა თქვენს კოლექციაში — „აბესალომ და ეთერი“. საქართველო ფალიაშვილმა აღმოგაჩენიათ?

არა, ზაქარია ფალიაშვილამდე ქართველ მედეას ვიცნობდი. ისტორიული წიგნების კითხვას ბავშვობაში მივერვი. მაშინვე დაერჩეორესდი ერთი კონკრეტული რეგიონით — ხმელთაშუა ზღვისპირეთით, ბერძნული მითებით. კავკასიაც იაზონისა და მეტეას ამბის გავლით, დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე. ცხადია, დავინტერესდი. რამდენიმე წლის წინ, ამერიკაში, დისკების მაღაზიაში რუსული წმის ჩამნერი კომპანია „მელოდიას“ მიერ გამოშვებულ ფირფიტას წავაწყდი. საბჭოთა საოცერო ნიმუშებს შორის „აბესალომ და ეთერიც“ იყო. დისკი დაუფირებელად შევიძინები და ზაქარია ფალიაშვილის ნანარმოებმა პირველივე მოსმენისას საოცარი ემოციური მუსტით ამავსა. შემდეგ, ჩემი კოლეგა ესტუმრა საქართველოს. უკან ისეთი შთაპეჭდილურებით დაბრუნდა, რომ აე ჩამოსცლის ინტერესი კიდევ უფრო გამიმათავრა.

ჯონ გილგუდი, ლოურენს ოლივი, პეგი ეშკროფტი — ეს ის ადამიანები არიან, ვისთან ერთადაც მუშაობა ხშირად გინევ-დათ. თქვენი ყველაზე ძვირფასი ურთიერთობები, რომელთაც იპრერას უმაღლით.

საინტერესო ის არის, რომ ამ დღიდ გარსკვლავებთან ურთიერთობა ყველაზე ადამიანური იყო, რამდენადაც ამის ნარმოდგენა შეიძლება. გილგუდთან ერთად რესტორანშიც ვმჯდარვარ და ზუსტად ისე უძუალოდ გვიღლაპარაკა ძალიან ჩვეულებრივ თემებზე, როგორც ახლა მე და თქვენ ვსაუბრობთ. ეს დიალოგები ჩემთვის მართლაც უძვირფასეს მოგონებად რჩება. თუმცა, ის, რაც საქართველოში განვიცავა დე, ვერაფერს შევადარებ. რეზო გაბრიაძესთან შეხვედრას ვაუდისხმობ. მას თეატრში ვესტურმე. ჯერ ვლელავდი, საქართველოსთხოვი, ლმეროო, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? მე ქართული არ ვიცი, რეზოს ინგლისური ჩემს ქართულზე უკეთესი კი არის, მაგრამ მაინც ბოლომდე გასაგები — ვერა, არადა, რეალურად არსებული ენობრივი ძარიერის მიუხედავად, ჩვენს შორის მაშინვე ისეთი კავშირი შედგა; რომ ერთმანეთის გაგებას წამიერად ვახერხებდით. ვილაპარაკეთ თეატრზე, მსახიობებზე, სერვანტესსა და „დონ კიზოტზე“... მე მართლაც უამრავ საინტერესო ადამიანთან მქონია შეხება, უამრავ დიდ მსახიობთან და რეჟისორთან, მაგრამ რეზო გაბრიაძესთან დიალოგი სულ სხვა რამ იყო. ტირილი მინდოდა. ეს შეხვედრა არის ნამდვილი განძი, რომელიც საქართველოდან მიშაქვს.

ოპერა და ქალაქი. ქალაქისთვის, სადაც, შასკულტურის სახით, „სუესი დიდ ქალაქში“ მექობს, რამდენად ორგანული ნაწილია ოპერა?

ეს ურთიერთობები მედიის ექსპანსიამ ძირიფესვიანად შეცვალა. პოპკულტურის მატიანე ხომ ყოველდღიურად იწერება — საზოგადოებებს ვიდეო და აუდიო ფირფიტები — ცეკვები, სიმღერები, საოპერო დადგმები, პერსები. ეს უსწრაფესი პროცესია და ადამიანმაც უფრო მეტი კულტურული მემკვიდრეობის ჩაწერა და დამასხვრება რომ შეძლოს, უწყვეტად იგონებს ტექნიკურ წოვაციებს. ეს პროცესი კი გარკვეული ილად, ფულისთვის გამართულ რალის მაგონებს, — ფულისთვის, რომლის მოპოვება ხელოვნების ნიმუშთა შექმნის მიზნით სურთ.

და რაც უფრო მასობრივია ეს პროცესი, დიდი ხელოვნება მით უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ხელმისაწვდომი. ამ ფონზე კი, ხელოვნება კარგავს ერთ ორგანულ თვისებას — ექსკლუზივობას. ამიტომ ის, რაც ადრე იყო ექსკლუზიური ინტელექტუალური და ესთეტური სიამოვნების წყარო — ხალი საგანგებოდ იპრანჭებოდა, მიდიოდა სპეციალის

შეინარჩუნა

გუნვალები



კალოსი



ევროპული და დასთ-ს ბაზრისთვის ადაპტირებული შევროლეს მარკის ახალი ავტომობილები:

კალოსი, ლაცეტი, ევანდა და სხვა.

განვადებით ნებისმიერი ქართული ბანკისა და სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით. ფასი 8 500\$-დან.

კეყელიძის ქ. 6 შპს „ქარპალასი“ / ტელ: 22 25 90; 53 07 14; 53 07 15 / ფაქსი: 22 25 90

ელ. ფოსტა: carpalace@access.sanet.ge

სანახავად — ახლა მასობრივი და ჩვეულებრივია. ოპერის მსმენელი ფიქრობს, რატომ უნდა წავიდე და ვნახო თბილისის ოპერატორი დაფგმული „აიდა“, როცა შემიძლია, ჩავრთო ტელევიზორი და ვუყურო ფილმად გაკეთებულ „აიდას“ ეფექტური, პირამიდების ფონზე. ასე რომ, არა მხოლოდ ნიუიორკს, არამედ, ზოგადად, ხელოვანებს და ხელოვნების მოყვარულებს უდგათ ცუდი დრო. და საკითხის ყველაზე პრბლემური ნაწილი, საბოლოო ჯამში, ფული კი არა, ხელოვნების მასკულტურად ეცევაა.

სცენა და ჟუბლიკა. განსხვავება მათ შორის ქალაქიდან ქალაქში.

ამბობენ, რომ ფილმის მთავარი პერსონაჟი, ზაზა ძალიან ჰგავს რეჟისორს. დოვერმა შეიცხადა, „რას ამბობთ?! მართლა? ეს ძალიან კარგია იმიტომ, რომ ეს მსახიობი ისრაელის სექს სიმბოლოდ არის აღიარებული. სინჯების დროს, ის ზედმეტად ლამაზი მეჩვენა. თუმცა ჩანაწერი რომ ვნახე, მასში სხვა რაღაც დავინახე. გადავწყვიტე ისე გადამეღო, რომ მაქსიმალურად დამემახინჯებინა. ალბათ ამიტომ მეგავს მე! მართალია, მის დამახინჯებას ძალიან შევეცადე, მაგრამ ის მაინც ჩემზე უკეთ გამოიყურება!“

ზაზას დედის როლს დოვერის დედა თამაშობს. ქალბატონ

**დოვარი ხუმრობს, კინოიდუსტრიაში მოსვლა ლამაზ მსახიობ ქალებთან
ყოფის სურვილის გამო გადაცევითებო. მაგრამ მის მიხლა, რომ
მსახიობების ჩვეულებრივი აღამიანები არიან და კინოში მუშაობისთვის სხვა
რამ უფრო დამაჯერებელი მიზანი უნდა გამოენახა.**

ლილის ფილმშიც ლილი ჰქვია. „უბრალოდ, ვერ მოვახერხე
ისეთი მსახიობის პოვნა, ვინც დედაქემს კარგად ითამაშებდა.
მას საშინლად არ უნდოდა ფილმში გადაღება. დავემუქრე,
თუ არ დამთანხმდები, კარიერას დამინგრევ-მეთქი. თუმცა,
ჩემი რჩევა იქნება, არასოდეს გადაილოთ დედათქვენი!“

გახმაურებული სასიყვარულო სცენის გადაღება დოვერის-
თვის ადვილი არ ყოფილა. „ყველაზე რთული ის იყო, რომ
საშინლად მრცხვენოდა. მონიტორში თითქოს ყველაფერი
კარგად იყო, მაგრამ თავი რომ ავწიე და მსახიობებს შე-
ვხედე, ავნერვიულდი. ასეთი სცენა თავისუფლად შეიძლება
პორნოგრაფია იყოს, თუ მასში რაღაც ქვეტექსტი არ არის.
ეს ქვეტექსტი კი ორი ადამიანის მარტოობაა“. კიდევ ერთი
სირთულე ის იყო, რომ ფილმში დაკავებული მსახიობების
ნაწილი პროფესიონალი მსახიობები იყვნენ, მაგრამ ქარ-
თული არ იცოდნენ. მეორე ნახევარი ქართულად კი ლაპა-
რაკობდა, მაგრამ მსახიობობის არაფერი გაეგებოდა. „ამი-
ტომ, გადაღებისას, ზოგს ქართულს ვასწავლიდით, ზოგს
მსახიობობას“.

თვითთერავია.

დოვერი ხუმრობს, კინოინდუსტრიაში მოსვლა ლამაზ
მსახიობ ქალებთან ყოფნის სურვილის გამო გადავწყვეტეო.
მაგრამ მერე მიხვდა, რომ მსახიობებიც ჩვეულებრივი ადა-
მიანები არიან და კინოში მუშაობისთვის სხვა რამ უფრო და-
მაჯერებელი მიზეზი უნდა გამოენახა.

ისრაელის კინოინდუსტრია არც ისეთი აყვავებულია, რომ
კინოფაულტეტის ყველა სტუდენტმა იცოდეს, რა ბედი ეწე-
ვა მას. უბრალოდ, დოვერმა საკუთარი თავის ირნმუნა და
თავს რეალური შანსი მისცა, რადგან ამ შანსს სხვისგან არ
ელოდა. ამაში ისიც დაქმარა, რომ მშობლები ანებივრებდ-
ნენ და მის პროფესიულ გადაწყვეტილებებში არ ერეოდნენ.
„არ მახსენდება, რომ ჩემს მშობლებს ჩემთვის ლექციები ეკი-
თხოთ სიცოცხლის საზრისა და მორალზე. არ მახსოვს, რამე
აეკრძალათ და დაეშალათ. მანებივრებდნენ, რადგან ყოველ-
თვის იმაზე მეტს მაძლევდნენ, ვიდრე შეეძლოთ. მეც ბევრს
ვითხოვდი.“

ბევრს თხოვს თავის მსახიობებსაც. მათგან ინიციატივე-
ბი არ უყვარს. დოვერი თვლის, რომ კარგი მსახიობი ყო-
ველთვის რეჟისორისგან ელის მითითებებს და პერსონაჟზე
უფრო მეტის გაგებას მისგან ცდილობს.

როცა სცენარის წერს, ძირითადად, შინ მუშაობს. ეს და-


ახლოებით ერთი წელი გრძელდება ხოლმე. მერე გადის
სახლიდან, იწყება ფულის შოვნის და გადაღებების ეტაპი და
სახლი ენატრება. საპროდიუსერო კომპანიის შოვნას სინჯები
მოჰყვება, სინჯებს – შეხვედრები, შეხვედრებს – გადაღებე-
ბისთვის მზადება, გადაღებებს – მონტაჟი, მონტაჟს – დის-
ტრიბუცია და კრიტიკოსების კომენტარები. „მოკლედ, თერა-
პიას, სულ მინიმუმ, ოთხჯერ გავდივარ. ამიტომ, ფილმი რომ
ეკრანზე გამოდის, უკვე ახალი პრობლემა მანუხებს და მის
გადასაჭრელად, ანუ ახალი სცენარის დასაწერად ვარ მზად.
ასე გადავდივარ ერთი პრობლემიდან მეორეზე, ფილმიდან –
ფილმზე. ასე ვმკურნალობ საკუთარ თაქს.“

ახალი პრობლემა

დოვერის ახალი პრობლემა „ქიშტაა“. ეს არის ფილმი კა-
ცზე, რომელსაც ქიშტა ჰქვია. ქიშტა ნიშნავს „ჯანდაბამდის
გზა გქონია“, „თავი დამანებე“, „არ მინდა შენი ნახვა“. ამ
კაცს არ უნდა სიკვდილი და ფიქრობს, რომ თუ მერკი-
დრეობას დატოვებს, არ მოკვდება და რადგან მისი ნაყოფი
გაგრძელდება. ფილმის მსვლელობისას, ქიშტა აღმოჩენს,
რომ შვილები, რომლებიც თავისი ეგონა, მისი არ ყოფილან.
ამასობაში, ბავშვების ნამდვილი მამა ცდილობს, თავისი ქა-
ლიშვილის ქორწილი ჩამალოს იმიტომ, რომ ის თავის ნახე-
ვარდმას მიჰყვება ცოლად. არადა, მათ სიგიურემდე უყვართ
ერთმანეთი და ეს ფაქტი საერთოდ არ აღელვებთ. შეყვარე-
ბულებს განშორებას სიკვდილი ურჩევნიათ. ნამდვილი მამა
კი ცდილობს ქიშტა დაარწმუნოს, რომ ქორწილი ჩამალოს.
ქიშტა წყვილის შეუღლებას ახერხებს, ბავშვების მამადაც
თვითონ რჩება და სიკვდილსაც ამარცხებს. აი, ასე!

ეს დოვერის პირველი არაქართული ფილმი იქნება, მა-
გრამ ის ამ შეფასებაში არ მეთანხმება. მიიჩნევს, რომ მის
ფილმებს საერთოდ არ აქვთ ეროვნება. დოვერი ყოველთვის
უნივერსალურის ძიებაშია. რაღა თქმა უნდა, ის ხომ ფილო-
სოფიასაც ისეთივე წარმატებით სწავლობდა, როგორც რეჟი-
სორის ხელოვნებას.

ამ სცენარის წერა დოვერმა უკვე დაამთავრა. ახლა იწყება
საპროდიუსერო კომპანიის ძიების ეტაპი, სინჯები, შეხვე-
დრები, გადაღებები, მონტაჟი, დისტრიბუცია, დიდი ეკრანი...
და თითქმის გარანტირებული წარმატება. დოვერ კოსაშვილი
ისრაელში ხომ უკვე თითქმის უპირობოდ უყვართ.



ପର୍ଯ୍ୟାନ୍ୟାମ୍ବିଦ୍ୟ

ଫର୍ମଟ ଏସ୍ୟୁ

ଆମେରିକା:

ଫର୍ମଟ ଏସ୍ୟୁ



ეთიოპელთა თემი ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი უძველესია. ეთიოპელები მონოფიზიტები არიან, ანუ ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებენ, რაც ჯერ კიდევ პიზანტიის იმპერიის დროს, მწვალებლობად იქნა გამოცხადებული. დანარჩენი ქრისტიანული სამყაროსაგან განცალკევების გამო, ეთიოპურმა ეკლესიამ უნიკალური წეს-ჩვეულებები შეინარჩუნა. მათი რწმენის თანახმად, ალთქმის კიდობანი, რომელიც იერუსალიმის ტაძარში იყო დასვენებული, სანამ მას რომაელები დაანგრევდნენ, გადარჩენილია და ერთ ეთიოპურ ეკლესიაში საიდუმლოდ ინახება – გამორიცხული არაა, რომ ამ, იერუსალიმის ეკლესიაშიც კი.




რამადანი, ისლამური მარხვის წმინდა თვე. მუსლიმები ტაძრის მთაზე აღმართულ მეჩეთში ლოცვის შემდეგ ბრუნდებიან. ეს მეჩეთი მექასა და მედინას შემდეგ, ისლამის მესამე წმინდათანმინდაა. ძველი ქალაქის ვიწრო ქუჩებში ათასობით აღზნებული ადამიანი იკვალავს გზას. ყვირილი, ხმაური – და ხმამაღლი პალესტინური მარშები. მოხუცმა უბრალოდ ვეღარ გაძლო და იქვე ჩამოჯდა.



ეგრეთ წოდებული უნგრული ეზო „მეა შეარიმში“, იერუსალიმის ყველაზე რელიგიურ უბანში. აქაური ებრაელები — აშენაზები (ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულები) ჩაკეტილ თემებად ცხოვრობენ, თავიანთი სულიერი ავტორიტეტების მიმდევრები არიან და ცდილობენ, სახელმწიფო საქმეებში არ ჩაერიონ, ისე, რომ ისიც არ ერეოდეს მათ საქმეებში. მეა შეარიმის მცხოვრებლები იდიშზე ლაპარაკობენ და ისე იცვამენ, როგორც ასი წლის წინათ ეცვათ ხოლმე პოლონურ და ლიტვურ დასახლებებში.



ზამთარში, მოსკოველ სტუმრებთან ერთად, ძველ ქალაქში ვსეირნობდით. ჩვენს ჯგუფს ოდნავ ჩამოვრჩი და ჩემს თვალწინ ჩხუბი დაიწყო – არაბი ბიჭები შეასკდნენ ერთმანეთს. იქვე ვიდექი და კადრის აგებალა დამჭირდა, ისე, რომ არც ცხვირ-პირში უთავაზებიათ და არც კამერა დამზიანებია.. რაღაცა კი გამოვიდა...



ძველი ქალაქი. არაბული ბაზრის გადახურული ქუჩები ღამ-ღამობით ცარიელდება და იქ სეირნობა ერთიორად საინტერესო ხდება, თუმცა უსაფრთხო არაა.

ძველი ქალაქის გალავანში ჩაკეტილი მთელი სივრცე მჭიდროდაა დასახლებული. აქ გვერდიგვერდ ოთხი უბანია განლაგებული: მუსულმანური, ქრისტიანული, ებრაული და სომხური. სამი რელიგიის წმინდა ადგილები ძველი იერუსალიმის კედლებშია მოქცეული. ვაჭრობის ინტერესები და სტაბილურობისკენ სწრაფვა მოქმედების ეროვნულსა და რელიგიურ ამბიციებს ეწინააღმდეგება





ისრაელში საზოგადოებრივ ტრანსპორტში მხოლოდ რუსეთიდან ჩასულები კითხულობენ – იქაური ჩვევაა, და რელიგიური მართლმორწმუნები, რომლებსაც წმინდა წერილები მუდამ თან დააქვთ.

ეს ძია მოულოდნელად კეთილგანწყობილი იყო, თუმცა მართლმორწმუნებს (ადგილობრივ სლენგზე მათ „დოსები“ ჰქვიათ), გადაღება არ უყვართ და ფოტოგრაფირების ნებასაც არავის რთავენ. ეს კაცი კი დავითის ფსალმუნებს კითხულობდა. ითვლება, რომ ეს საკითხავი განსაცდელისგან იხსნის.



ტრადიციის თანახმად, როცა მესია მოვა და მკვდრეთით აღდგომა მოხდება, პირველ რიგში, ამ სასაფლაოზე დაკრძალულნი აღდგებიან. ცხადია, ითვლება, რომ აქ თუ დაგკრძალეს, ძალიან გაგიმართლა. მიცვალებულის მოსანაზულებლად მოსულნი, სასაფლაოზე ქვას დებენ.



300 სიტყვა იერუსალიმზე

რა შეიძლება ითქვას ქალაქზე, სადაც ოცდაათი წელი გაატარება და ვერც კი აცნობიერებ, გიყვარს თუ არა ის?

ერთხელ მესიზმრა, თითქოს დამ-ღამობით ჩემი ქალაქი იერუსალიმი კი არა, სტამბული იყო. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, სტამბული, თუ როგორც წინათ ეძახდნენ – კონსტანტინოპოლი, ხომ ყოველთვის სატახტო ქალაქი იყო. იერუსალიმი კი, უხსოვარ დროს, იუდეველთა სამეფოს დედაქალაქი გახლდათ. მას შემდეგ, ის დიდხანს მიურუებულ ქალაქად რჩებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ადმინისტრაციული თვალსაზრისით. მგონი, წმ. ავგუსტინედან მომდინარეობს “ციური იერუსალიმის” ცნება. მაგრამ ამ ადგილის განსაკუთრებული სულიერი მნიშვნელობა, სინამდვილეში, გავერანებული პროვინციული ქალაქის მდგომარეობასთან როგორლაც შეუთავსებელი იყო. ამის მიუხედავად, ის სამი აღმსარებლობის ნარმომადგენელთა წმიდათაწმიდა ქალაქად ითვლებოდა. აქ სალოცავადაც მოდიოდნენ და მისთვის ომებსაც აჩალებდნენ. ვითარება ოდნავ მას შემდეგ შეიცვალა, რაც ისრაელი 1948 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. იერუსალიმით ახლა უკვე მას-მედია დაინტერესდა, მისმა სახელმა ახალი ამბების გამოშვებებშიც გაიელვა.

შეუძლებელია, ერთი ნახვისთანავე არ მოგხიბლოთ ბორცვებზე ლამაზად შეფენილმა იერუსალიმმა. ტაძრები, ძველებური ნეგებობები... მშვენიერია გალავანშემოვლებული ძველი ქალაქი, სადაც ევროპული ტიპის ნაგებობები უეცრად ქუჩების აზიურ სივიწროვეში გადადის. დადიხართ და ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვა კულტურის ნარმომადგენელს ხვდებით. და ეს ყველაფერი საკმაოდ ვიწრო სივრცეშია მოქცეული. ერთი სიტყვით, კოლორიტული ადგილია, მაგრამ აქ არასდროსაა სიმშვიდე. განასხვავებენ დასავლეთ იერუსალიმს, ანუ ებრაულ ნაწილს და აღმოსავლეთ იერუსალიმს, ანუ არაბულს, რომელიც 1967 წლამდე იორდანის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ორივე მხარე უჩვეულოდ ერწყმის ერთმანეთს. მე არმონ ა-ნაცივში ვცხოვრობ – უბანში, რომელიც სამ არაბულ სოფელს ესაზღვრება. ერთ-ერთ მათგანში იაფი პროდუქტების საყიდლად დავდივარ. რა შეედრება, როცა ღამით აივანზე წევხარ და მუედინის სიმღერას უსმენ. ეს ხომ ჩვენი ცხოვრების ისეთი სიამეთაგანია, რომლისთვისაც არავინ არაფერს გთხოვს.

სიდიდის თვალსაზრისით, იერუსალიმი თბილისს მოგვაგონებს. თუმცა აქ არც მდინარეა, არც მეტრო – ებრაული რელიგია მიცვალებულთა ძვლების შეწუხებას და მინის წიალის ხელყოფას კრძალავს. აქ თითქმის არასდროს თოვს. სამაგიეროდ, ზაფხულობით ხშირად აუტანელი სიცხეა. ზამთარში წვიმს... ქუჩებში სამენოვან წარწერებს შეხვდებით. სამი ათასი წლის მანძილზე, ბევრი რამ დაგროვდა. კიდევ უფრო მეტი მინის წიალშია ან განადგურებულია. დღესაც, ადამიანები იბრძვიან ამ ქალაქზე უფლებისათვის, მისთვის პირველობას ეცილებიან. ამბობენ, ივრითზე სახელწოდება “იერუსალიმი” “მშვიდობის ქალაქს” ნიშნავდა.

დავიდ დექტორი



სიზმარი იორუსალიმი

ფოტო ესე

ავტორი:

დავით გასძი





أبو



AYOUBI
SWEETS
&
COFFEE
SHOP



ofty



415



სიზმარი „იერუსალიმი“

გამგზავრებამდე, ძილის წინ, ხშირად ვფიქრობ-დი ამ ქალაქზე: თუ როგორ მიმიღებდა ის და რის აღმოჩენას შევძლებდი იქ... თუმცა უკვე თელ-ავი-ვში ვიყავი და ჩანერილი გვქონდა რამდენიმე ინ-ტერვიუ ახალგაზრდა ებრაელებს შორის ყველაზე პოპულარულ მწერალთან, საქართველოდან ემი-გრირებულ ცნობილ რეჟისორთან და ნობელიანტ პოლიტიკოსთან... ვაკვირდებოდი დედაქალაქის ცხოვრებას. ვხვდებოდი, რომ აქაურობა არ ჰგავდა იმას, რაც იმ ქალაქში მელოდა. მისთვის განსაკუ-თრებულად ვემზადებოდი. მასზე ვფიქრობდი და მესიზმრებოდა... „იერუსალიმი“.

ეს იყო სიზმრის გაგრძელება. ალმოვჩინდი იქ, სადაც გმირები და ბოროტმოქმედები თავიანთ ყოველ-დღიურ თავგადასავლებში ებმებან. ეს ადგილები თითქოს ნაცნობიც იყო, მაგრამ მათი არსებობის არ მჯეროდა. იერუსალიმის ქუჩებში ბავშვობაში კარ-გად ნაცნობი ლეგენდების გმირებსაც ალმოაჩენ და აქამდე არნახულ სახეებსაც, რაც დღევანდელი ქა-ლაქის იერს ქმნის.

სიძველე, ადგილები და კედლები, რომლებიც თი-თქოს სასწაულებრივად მოქმედებენ და თავად გაქ-ცევენ მისტიური რომანის მონაწილედ.

ძველი ქალაქის ალწერას და ტურისტული მეგზუ-რის ციტირებას თავს ავარიდებ. მე თვითონ არას-დროს მიცდია, რომ მათი რჩევებით მესარგებლა. იქ ორ ჩემს მეგობარს შევხვდი, რომლებმაც მეგ-ზურობა გაგვიწიეს.

საღმო ძველ ქალაქში მიღებული შთაბეჭდილე-ბებისგან განსხვავდებოდა. კაფეში ვისხედით და ჩვენთვის საინტერესო სხვადასხვა თემაზე ვსაუ-ბრობდით. უცნაური იყო სიძველის და თანამედროვეობის თანაარსებობა.

იმ დღეს დასაძინებლად მაღა დავწექი. სასიამოვნო იყო შეგრძნება სიზმრის დასაწყისისა სიზმარში – „იერუსალიმი“.










Shimon Peres



ՇՈՅՄԵՆ ԱՎԱՐԵՍՈՒ:
ՈՏՏԱԿԱԼՈՍ ԵՐԿԱԼՈՎԱՆՔՈ ԱՐԱՐՈՒԹՈՒՅՆԸ
ԱՅԻՖՈՒ: ՅՈՒԽԱՆԱ ՇԱՅԱՀԱՅԱՅՈՂՈ

თუ ალარ ბახესოვთ, შეგახსენებათ. შიმონ კარესი ისრაელის ყოფილი კრემის მინისტრი და ნობალის მშვიდობის კრემის ლაურეატია. უკვე 80 წლს გადაცილებული ყოფილი კრემის ჯერ კიდევ სამუშაო ფორმაშია, ყურადღებით ალევენის თვალს ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებებს და არასამთავრობო ორგანიზაცია „კარესის მშვიდობის ცენტრს“ ხელმძღვანელობს. ისრაელის სხვა ყოფილ თუ ამჟამინდელ კოლიზიკოსებს შორის, შიმონ კარესს ყველაზე ნაკლები აღამიანი აქაგებს. უფრო მატიც, კოლიზიკური ექსპორტი ფიქრობენ, რომ კარესის ბარები მშვიდობა ისრაელში უფრო რთული მისაღწევი იქნება.

– ახალგაზრდა მწერალმა, ეტგარ კერეტმა მითხრა, ებრაელებმა ისრაელში ებრაელობა დაკარგეს და ეს გულდასაწყვეტია. მე ზუსტად არ მესმის, რას ნიშნავს ეს. იქნებ თქვენ ამიხსნათ?

– ებრაელი ხალხი განსხვავდება სხვა ხალხებისაგან. ისინი უკომპრომისო ხალხია. ებრაელი ერთ ცვლილებების და სასწაულების ერთია. მათ ღრმად სწამთ, რომ კაცობრიობის უკეთესობისაკენ შეცვლა შესაძლებელია. მთელი ებრაული ისტორია მორალურ კოდექსს ეფუძნება. მორალური პრინციპების გარეშე, ებრაელი ებრაელი აღარ არის და ამით ის სხვა ხალხებს ემსგავსება. ხშირად ეს მორალური უკომპრომისობა ძვირად გვიჯდება. მონობის დროს, მონობას ვეწინააღმდეგებოდით. ოკუპაციის დროს – ოკუპანტებს. ჩვენ ყოველთვის კარგად გვესმოდა ცხოვრების საზრისი. როცა სხვები მაღალ შენობებს აშენებდნენ, ჩვენ მნიშვნელოვან წიგნებს ვწერდით. 10 მცნება ხომ მთელი დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტია. ამავდროულად, იუდაიზმი ეკლესია არ არის. იუდაიზმი რწმენაა. ის არ ეფუძნება წესრიგს. ის რწმენაზეა აგებული. ჩვენ არ გვყავს გმირი. ჩვენ არ გვყავს მეორე ღმერთი. ადამიანი პირდაპირ უკავშირდება ღმერთს. პირველი ადამიანები არ იყვნენ ებრაელები, მაგრამ მეორე თაობა უკვე იყო. ებრაული ენა და კულტურა წმინდად ითვლება. თუ ქრისტიანებისთვის ეს მიწა წმინდა მიწაა, ჩვენთვის ის აღთქმული ქვეყანაა.

ამ დროს ისრაელის ახალი თაობა ივიწყებს ამ ყველაფერს. მათ მატერიალური ყოფა უფრო ანალვებთ, ვიდრე იდეალისტური. მათი ცხოვრება არ არის ამ ცნებებით გამსჭალული და ეს მართლა გულდასაწყვეტია.”

არ ვიცი, ამასვე ფიქრობდა თუ არა ეტგარ კერეტი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საინტერესო ის სამშვიდობო მოლაპარაკე-კებებია, რომლისთვისაც შიმონ პერესმა ნობელის პრემია მიიღო. ამერიკული უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების ფაულტეტებზე ამ მოლაპარაკებების ისტორია განსაკუთრებულ “ქეისად” ისწავლება. მახსოვს, ჩვენს უნივერსიტეტშიც უნდა წაეკითხა შიმონ პერესს საჯარო ლე-

ბატონ ყოფილ პრემიერ მინისტრს (ასე მიმართავენ მას მისი ხელქვეითები) ბევრი უურნალისტი სტუმრობს და მათ, ძირითადად, მისი პოლიტიკური შეფასებები აინტერესებთ ხოლმე.

– “ცხელი შოკოლადი”? საინტერესოა ...რა აინტერესებს ჩემგან “ცხელ შოკოლადს”?

– თქვენი ცხოვრება, ბატონო ყოფილო პრემიერ მინისტრო.

– სულ ეს არის?

– მგონი კი.

– მაშინ მე თქვენ გაჩუქებთ ჩემს ავტობიოგრაფიულ წიგნს და დარჩენილი დრო საქართველოზე ვიღაპარაკოთ.

– კი ბატონო, მაგრამ ჩვენ ისრაელის ამბები უფრო გვაინტერესებს. გვაინტერესებს ამ გადმოსახედიდან, რით ამაყობს და რას ნანობს შიმონ პერესი.

– მე არაფერს ვნანობ, იმიტომ, რომ არაფრის შეცვლა არ შემიძლია. გული მწყდება, რომ ბევრი რამის გაკეთება შემძლო და ვერ გავაკეთე და ახლა სწორედ ამის კორექტირებას ვცდილობ. ვამაყობ იმით, რომ ყოველთვის იდეალისტი ვიყავი და ვცდილობდი, ადამიანების ცხოვრება გამეუმჯობესებინა. ვამაყობ იმითაც, რომ ჩემი შვილები გულწრფელი და შრომისმოყვარე ადამიანები არიან და წიგნებით გამოტენილ სახლებში ცხოვრობენ. ისინი არ ფიქრობენ, რომ მათ ქვეყანას მათი ვალი აქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ ისინი არიან თავისი ქვეყნის მოვალეები. ისინი არ არიან პრივილეგირებული და არ ფიქრობენ, რომ უნდა იყვნენ პრივილეგირებული. რაც მთავარია, მათ იციან, რომ მე ვიცხოვრე იმისათვის, რომ რაღაცისთვის მემსახურა.



პრემიერ მინისტრი ისrael რაბინი იყო და ის ვაჟინგზონი ანაროვაზლა მოლაპარაკებებს. მი მას ვუთხარი, რომ არაფირი გამოუვიდოდათ, იმიტომ, რომ პალესტინელებთან ყველა შეხვედრის მიზანი, პრეს-კონფერენციას მართავდნენ. არადა, მოლაპარაკებებს ინტიმი სჭირდებათ. ეს იგივეა, შეა ეუჩაში სასიყვარულო ტრფიალის გამართვა მოიცემომ.

ქცია, მაგრამ ჯანმრთელობის გამო, ეს ვერ შეძლო. ამიტომ, ძალიან ვამაყობდი, ამ ამბავს პირადად მისგან რომ ვისმენ-დი.

“თავიდან ვიფიქრე, რომ იორდანის მეფე ჰუსეინს უნდა შეეხვედროდით. გეოგრაფიულად და ლოგიკურადაც სამეუ-თხედი ვართ: იორდანია, პალესტინა და ჩვენ. მეფე ჰუსეინს ჩუმად შეეხვდით და შეთანხმებასაც მივაღწიეთ. დანარჩენზე ლონდონში, მეფის და ჩემი საერთო მეგობრის სახლში ვისაუ-ბრეთ. მახსოვს, ჩემი მეგობრის იურისტმა მეუღლემ მთელი ჩვენი “ამალა” დაითხოვა და სადილიც თვითონვე მოგვიმზა-და. სადილის ბოლოს, მეფეს ჭურჭლის გარეცხვა შევთავაზე. მან სიამოვნებით მიიღო ეს შეთავაზება, მაგრამ დისახლისმა

ეს საქმე არ დაგვანება, თქვენ უმჯობესია მშოდლობაზე იზრუ-ნოთო. მოკლედ, 8 საათი ვიჯექით და მოვილაპარაკეთ კიდეც. ეს ყველაზე საუკეთესო შეთანხმება იყო, რაც კი ოდესმე ყო-ფილა. მაგრამ, სამწუხაროდ, საპარლამენტო ხელის მხოლოდ 50 % იყო ჩვენი და ეს შეთანხმება ვერ გავიტანეთ. დღემდე მიმართია და ძალიან ვწუხვარ, რომ ამით ჩვენ მშვიდობის მი-ლწევის ყველაზე რეალური შანსი დავკარგეთ.

მერე ვიფიქრე, ღმერთო ჩემო, სხვა გზა არ გვაქვს, პალეს-ტინელებთან, არაფატთან მოგვიწევს მოლაპარაკება-მეთქი. “პალესტინელების გათავისუფლების ორგანიზაციიდან” ბე-ვრს ვიცნობდი, მაგრამ მათ ყველას ერთი საერთო თვისება ჰქონდათ: ყველა პრობლემისაგან იდეოლოგიას ქმნიდნენ, და

ოსლოს მოლაპარაკებები 1998 წლის აგვისტოში ხდებოდა. იმ დღეს
ჩამო დაბალების დღი იყო და ისელაც სოფთა ზელაზად ემოციური ვიყავი.
არაფატთან 8 საათიანი სატალეფონო საუბრის შემთხვევა, მოლაპარაკება შედგა.
მართა გადასცემას გადასცემას გადასცემას გადასცემას გადასცემას გადასცემას 6
საათზე მივალდიოთ.

ყველა არა-იდეოლოგისაგან – გამოსავალს. ამიტომ მათთან
კამათი უსასრულოდ გრძელდებოდა. სხვა გამოსავალი უნდა
მეპოვა. უნდა მეპოვა ადამიანი, რომელიც მიწაზე დაეჭვებო-
და და რეალურად ეცდებოდა მოლაპარაკებას. ორივე მხა-
რის არგუმენტები უკვე გასაგები იყო და ერთმანეთის და-
დანაშაულება უკვე დროის ფუქად კარგვის ტოლფასი იყო.
მოკლედ, შევარჩიე ადამიანი, ვისაც, გამოცდის მიზნით, ყვე-
ლაზე რთული რამ ვთხოვე. ისრაელ-პალესტინის კონფლი-
ქტის საერთაშორისო მოლაპარაკებისათვის ჩვენ ჩვენი
კანდიდატი უნდა წარგვედგინა, პალესტინელებს – თავისი. პალესტინელების რჩეული პალესტინის ეროვნული საბჭოს
წევრი იყო და მოლაპარაკებებს დიდად ვერ გამოადგებოდა.
ჩვენ კი, კანონის თანახმად, არაფატთან პირდაპირ მოლა-
პარაკებებზე ვერ გავიდოდით. ამიტომ, მე ჩემს რჩეულ აბუ
ალას ვუთხარი, თუ მოლაპარაკება გინდათ, კაცი გამოცვა-

ლე-მეთქი. იმის მაგივრად, რომ მას სხვებივით ეთქვა, ეს
შეუძლებელია, გვითხრა, ვცდიო. გამოუვიდა კიდეც. მეც
მაშინვე ვთქვი, აი, ეს არის ის კაცი-მეთქი.

პრემიერ მინისტრი იცხაკ რაბინი იყო და ის ვაშინგტონში
ანარმონგადა მოლაპარაკებებს. მე მას ვუთხარი, რომ არაფე-
რი გამოუვიდოდათ, იმიტომ, რომ პალესტინელებთან ყველა
შეხვედრის მერე, პრეს-კონფერენციას მართავდნენ. არადა,
მოლაპარაკებებს ინტიმი სჭირდება. ეს იგივეა, შუა ქუჩაში
სასიყვარულო ტრფიალის გამართვა მოინდომო. რაბინს ვუ-
თხარი აბუ ალას შესახებ. მან არ დამიჯერა, მაგრამ მითხრა,
კარგი, ჰა, სცადეო. ისე გამოვიდა, რომ ვაშინგტონის მოლა-
პარაკებები ჩაფლავდა, ოსლოს მოლაპარაკებებმა კი შედეგი
გამოილო.

მაგრამ ამისთვის, კანონის სანახევროდ დარღვევა მოგვიხ-
და, რადგან ჩვენი პარლამენტი პალესტინის გათავისუფლე-



ბის ორგანიზაციასთან მოლაპარაკებებს გვიკრძალავდა. მე პირდაპირ მინდოდა მათზე გასვლა, მაგრამ რაბინმა მითხრა, ძალიან უცნაური იქნება, თავად შენ თუ დაარღვევ კანონს. ამიტომ, მოლაპარაკებებზე ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი და ოურისტი გავაგზავნე.

აბუ ალამ და ური სავირმა ძალიან მალე გამონახეს საერთო ენა. არავინ იცის, ისინი ერთმანეთს რაზე ელაპარაკებოდნენ. რომანტიულ თავგადასავალს ჰქავდა ეს ყველაფერი. მონინააღმდეგე უნდა მოხიბლო, უნდა შეაცდინო, ცოტა უნდა ნაუყრუ კიდეც, იმიტომ, რომ თუ ყველაფერს გაშინვლებულს ნახავ, შეიძლება მადა დაგეკარგოს.

ოსლოს მოლაპარაკებები 1998 წლის აგვისტოში ხდებოდა. იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო და ისედაც ცოტა ზედმეტად ემოციური ვიყავი. არაფატთან 8 საათიანი სატელეფონო საუბრის შემდეგ, შედგა მოლაპარაკება. აბუ ალა და ური სავირი შვედეთში იყვნენ, არაფატი - ტუნისში. მედიატორი ნორვეგიდან ერთვებოდა. იმდენად კარგი სატელეფონო ხაზი იყო, რომ ყველაფერი მესმოდა: მესმოდა მათი შეძახილები, მათი ტანჯვა. ეს არასდროს დამავინყდება. მშობიარობას გავდა ეს ყველაფერი. ტკივილი, იმედი. შეთანხმებას დილის 6 საათზე მივაღწიეთ.

ორი მხარის ხელმოწერების გაფორმების დღეს, ლიბანში ჰეზბოლასთან შეტაკებას ჩვენი 9 ჯარისკაცი შეეწირა. ხელმოწერის ცერემონიალის გადადება დავპარეთ, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, რაბინმა თქვა, არა, მოვანეროთ ხელიო. ამიტომ ცერემონიალი შამპანურების და ფურშეტის გარეშე შედგა.


ამის მერე, აბუ ალამ ცალკე შეხვედრა მთხოვა. ვიდრე რამეს მეტყოდა, ცრემლები ნასკდა. იმდენი ემოცია ახლდა ამ მოლაპარაკებებს ... მაგრამ მისი რეაქცია მაინც გამიკვირდა.

ხალხი აკრიტიკებს არაფატს და სწორადაც იქცევა. ის პალესტინელების აჯანყების შეუდარებელი ლიდერი, მაგრამ პალესტინური სახელმწიფოს სრული კრახის მომტანი იყო. მაგრამ, ყოველთვის ვამბობ, რომ არ უნდა დავივიწყოთ ის გაბედული ნაბიჯები, რომელიც მან გადადგა. მაშინ, როცა იქამდე პალესტინელები მინის 55 / 45-ზე გაყოფას არ სჯერდებოდნენ, არაფატი 1967 წლის შეთანხმებას დაეთანხმა, რომელიც პალესტინელებს მინის 22 პროცენტს, ხოლო ჩვენ 78 პროცენტს გვაძლევდა. არ მეგულება სხვა პალესტინელი ლიდერი, რომელიც ამას შეძლებდა."

- მაგრამ იცით, რაშია საქმე? თუ ომი აერთიანებს ქვეყანას, მშვიდობა ანაწევრებს მას. მშვიდობის მისაღწევად, კომპრომისებია საჭირო. ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რატომ გაიღე ამხელა მსხვერპლი? რატომ წახვედი ამხელა კომპრომისზე? რატომ დათმე? ხალხი ვერ იტანს დათმობებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გარეშე მშვიდობა არ არსებობს, ისევე როგორც კომპრომისების გარეშე არ არსებობს მშვიდობა კაცებსა და ქალებს შორის. ძალიან საფრთხილოა: თუ ბევრის მოგებას შეეცდები, შეიძლება პარტიიორი დაკარგო. რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობებში უნდა მოიგო მშვიდობა, და არა ქულა. თუმცალა, ხალხი მაინც თავისას ამბობს: ზედმეტად ბევრი გაიღო!

შიმონ პერესს თავისი ავტობიოგრაფიული წიგნი “ბრძოლა მშვიდობისათვის: მემუარი” აღარ უჩიუქებია, რადგან, როგორც გაირკვა, მისი ინგლისური თარგმანი ჯერ არ არსებობს. თუმცა, მალე იქნება, მანუგება.

მეც იგივე შემიძლია გითხრათ, რაც ბატონმა ყოფილმა პრემიერ მინისტრმა მითხრა: თუ მისი ცხოვრება გაინტერესებთ, მისი წიგნი წაიკითხეთ. ახლა კი მხოლოდ იმ დანაბარებს გადმოგცემთ, რაც შიმონ პერესმა საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა: თუ ქვეყნის მომავალზე ზრუნავთ, არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის ნუ შეგეშინდებათ!





თბილისი

საერთაშორისო

კინოფესტივალი

The
6th

6

TBILISI

International

Film Festival

4-9, 10, 2005



თბილისის მე-6 საერთაშორისო კონფესიციალი წარმოგილგონი

კინოთეატრები: „ამირანი“, „რუსთაველი“, კინოს სახლი

საერთაშორისო კონკურსი

თაბილისი, თაბილისი	ლევან ზაქარევილი	საქართველო
მობუა ურაბა ყარაბალი	ლევან თუთბერიძე	საქართველო
შვილი ლევ, შვილი ლევ	ურელ კანო	კუბა, საფრანგეთი, იტალია
4	ილია ხრუანოვსკი	რუსეთი
გაესვაზე ვფიქრობდი	მურად იბრაგიმბეკოვი	რუსეთი
კუსკესი	სოერენ სენი	გერმანია, პოლანდია
კუსკე ზურაბია ფრინა	ბაჟმან გობადი	ირანი, საფრანგეთი, ერაყი
ოდისი	შოაო პედრო როდრიგესი	პორტუგალია
მაინარი ჩავშვი	იასმინ კასარი	ბელგია, მოროკო
სივ-უსლება	კარლო ნერო	ინგლისი
სამაცი	გელა ბაბლუანი	საფრანგეთი, საქართველო
კახ, რომელის ასლებს ააზღავნდა	ხორხე ფურტადო	ბრაზილია

კინოული კინოს ფორუმი

5x2	ფრანსუა ოზონი	საფრანგეთი
პილეთაგი	ერმანო ოლმი, აბას კიაროსტამი, კენ ლოუერი	ინგლისი, იტალია, ირანი
შიში და სახსახი	ალან კორნე	საფრანგეთი, იაპონია
ლიკონის არაყი	პინერ სალემი	საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, სომხეთი
არს თანახა, არს წილამოვაგი	სედრიკ კლაპიში	საფრანგეთი
კართლი სატრიულო სიახლისა	ტატიანა ბრანდუპი	გერმანია, საქართველო
მიკავა ჩამახული!	ნურაი საპინი	გერმანია
მილიონი მატარაბი	გიორგი შენგელაია	საქართველო
მას გამოდა, რას როთარი რავიდა	შული ბერტუჩი	საფრანგეთი, ბელგია

კორიზონტები

2046	ვონგ კარ ვაი	ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, პონგ კონგი
სისხლი და ძლები	იონიჩი საი	იაპონია
გაზაფხული, ზაფხული, ზომიერობა, ზამთარი... და ისევ გაზაფხული	კიმ კი-დუკი	სამხრეთ კორეა, გერმანია
ოლდამი	პარკ ჩან-ვუ	სამხრეთ კორეა
ვერავინ გაიგებს	პიროვაზუ კორეედა	იაპონია
სახა	რუბა ნადა	კანადა
სახასარო	შანგ კე ია	ჩინეთი, იაპონია, საფრანგეთი
ალისა	ამოს გიტა	ისრაელი, საფრანგეთი
ტრიაკეული დაავალება	აპიშაფტონგ ვიორსეთაკული	ტალლინი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია
კალთა საყრდენისა	მანიჯ ჰეემატი	ირანი

შველური ხელვა

სიმღერები მომღერა	როი ანდერსონი	შვეცია, ნორვეგია, დანია
ერთად	ლევან მუდისონი	შვეცია, დანია, იტალია
Lilya 4-Ever	ლევან მუდისონი	შვეცია, დანია
პარის კალივილება	რიჩარდ პობერტი	შვეცია
შადორ მლას და	პერიკ გეორგსონი	შვეცია
შაშის ფრთა	რეზა ბაგრერი	შვეცია

დოკუმენტური ფილმები


რამდენიმე სერიალი თავისი სახლის შემოხატვისა, ან იდეარის ჭობასთან	დავით გუჯაბიძე	საქართველო
კატარი თეატრი ვაშინგტონი	ლევან კოლუშვილი	საქართველო
ევას რიჩ სხმარება	ესტერ პოფენბერგი	საფრანგეთი
მომღერალობა	ბაჟმან კიაროსტამი	ირანი
რიჩ ხემი	ბაჟმან კიაროსტამი	ირანი

ნავთობსალის მზოგადა	ნინო კირთაძე	საფრანგეთი
რუსთო/ჩერებოთი: კოფლიკაზის ხევი	კარლო ნერო	ინგლისი
როგორს კარი რო ისუსტი	რუს ოლშანი	საქართველო
საიმარა თავისუფალი ადამიანი	რომან შირმანი	უკრაინა
ნიმარი კინეატოგრაფიაზიში	ალექსანდერ სტოლიმი	უკრაინა
ამორაბი	ალექსანდრე ქორიძე	საქართველო
გააზრდა	ჯონ იმანუელი	ინგლისი, ისრაელი
კათარიზი		
გაფიტრიზული თავარალის ლაში	გია ჭუპაბრია	საქართველო
დადა დოთისმოგაბალი	მერაბ გაგუა	საქართველო
გარანიული კინო		
ალსასრული	ოლივერ პირშპიგელი	გერმანია, ავსტრია, იტალია
სოფი მოლი	მარკ რომიუნდი	გერმანია
მასხრა დღე	ვოლკერ შლიონდორფი	გერმანია, ლუქსემბურგი
ამოზრებაგი	ჰანს ვაინგართნერი	გერმანია, ავსტრია
ჩახაბ ქონები	ანო საული	გერმანია
სტარტოსფერის გოგონა	მატიას ობერგი	გერმანია, იტალია, ინგლისი, შვეიცარია, საფრანგეთი, ნიდერლანდები
სტატუს იმ!	თილ პასტრაითერი	გერმანია
დაკარგული და დაოვი	მეტ ლასასი, ნადეუდა კოსევა, კრისტიან მუზიუ, ჯასმილა ზანიჩი, კორნელ მუნდრუსცო, სტეფან არსენიუსვიტი	გერმანია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ესტონეთი, სერბია, უნგრეთი
დღე, როდესაც გობა ევინგი	ლარს იესენი	გერმანია
სირქანი ვევირი	სანდრა ნეტელბეგი	გერმანია, იტალია, ინგლისი
კინოფესიციალი სესილი წარმოგილგონი		
37 გრაფის	თამარ სულამანძე	საქართველო
ფანჯარა	რუსუდან პირველი	საქართველო
ილუსიაზიანი დაკარგულებაგი	მაია კიკაბიძე	საქართველო
გარიზალა	ნატო შუშანია	საქართველო
კართული მოკლეატრაჟის ფილმები		
საშობაო საწევარი	ნანა ჯანელიძე	საქართველო
ლევი	ირაკლი მეტრეველი	საქართველო
სკამი	ლევან ბზვანელი	საქართველო
აირივილ სიზვა დაკარგული	გიორგი წიქრიშვილი	საქართველო
ვაფესისზეარსანი	თეომურაზ ჩიხლაძე	საქართველო
უსი	მერაბ კოკოჩაშვილი	საქართველო
თალო	აკაკი შანშალშვილი	საქართველო
მოხეთა	ირაკლი შავლიაშვილი	საქართველო
კავირი	გიორგი ოვაშვილი	საქართველო
კავშირი	დათო ჯანელიძე	საქართველო
კავშირი	გიორგი ბარაბაძე	საქართველო
კავშირი	დიორ ცინცაძე	საქართველო
კართული არიანისი ფილმები		
განეთალების ვაში	ბონდო შოშიტაშვილი	
მგლის ალსარაბა	რატი ნანებიშვილი	საქართველო
დაგვიანებალი დლიარაბი	გოგიტა ჭუმინა	
უნივერსალი რაბა	რევაზ გვარლიანი	
დოლი მავანი ვაში	მერაბ კოკოჩაშვილი	საქართველო

მილები

ავტორი: ეთერ კარეტი
თარგმანი: თამარ ბაბუაძე
ილუსტრაცია: გიორგი მარი





?

?

?

?

?

?

?

?

?

?


?

?

?

მეშვიდე კლასში რომ გადავედი, სკოლაში ფსიქოლოგი მოიყვანეს, მოსწავლეებისთვის ტესტები უნდა ჩაეტარებინა და ჩვენი შემგუებლობის ხარისხი განესაზღვრა.

შევვიდი. ფსიქოლოგმა წინ დამისვა და ოცი სხვადასხ-
ვანაირი ბანქო ერთმანეთის მიყოლებით სწრაფულ-სწრაფად
გადამიშალა. როცა ბოლოც მანახა, მკითხა, რა იყო ურიგო
ან უცნაური ამ სურათებში. ვუთხარი, რომ არც არაფერი.
მაგრამ ფსიქოლოგი გაჯიუტდა და პირველი ბანქო კიდევ
ერთხელ მაჩვენა - ის, რომელზეც ბავშვი იყო გამოსახუ-
ლი. „აბა, რა სჭირს ამ სურათს?“ - მკითხა თავიდან. ხმა
აშკარად დაღლილი ჰქონდა. მეც არ დავიზარე და თავიდან
გავუმეორე, რომ სურათი მშვენიერი იყო და არც არაფერი
სჭირდა. ამჯერად ჩემმა პასუხმა ისე გააცოფა, რომ გაღი-
ზიანებულმა, შემომიტია: „რა, ვერ ხედავ, რომ ბიჭს ყურები
არ აქვს?“ გულწრფელად რომ გითხრათ, ბანქო მეორედ
რომ მაჩვენა, დავინახე, ბავშვს ყურები რომ არ ჰქონდა,
მაგრამ რა ვქნა, მაინც ვფიქრობდი, რომ ურიგო ამ სურათს
არაფერი სჭირდა.





გამოვედი. ფსიქოლოგმა დასკვნაში ჩამიწერა, რომ „აღქ-
მის მწვავე მოშლილობით“ ვიყავი ავად.

მედურგლეთა სკოლაში გადამიყვანეს. იქ რომ მივედი,
გაირკვა, რომ მტვერზე მქონდა ალერგია. ამიტომ ლითო-
ნის ნაკეთობების კლასში აღმოვჩნდი. ეს საქმე მშვენივრად
გამომდიოდა, მაგრამ არ მომწონდა. გულწრფელად რომ გი-
თხრათ, დიდად გატაცებული არც არაფრით ვიყავი.

სკოლა რომ დავამთავრე, მუშაობა დაგიწყე ქარხანაში,
სადაც მილებს ამზადებდნენ. ჩემს უფროსს ინჟინრის დი-
პლომი წამყვან ტექნიკურ კოლეჯში ჰქონდა მილებული.
მაგარი ტიპი იყო. რომ გეჩვენებინა უყურებო ბავშვის სუ-
რათი, ან რამე ეგეთი, წამში გამოიცნობდა.

სამუშაო საათების შემდეგ, მაინც ქარხანაში ვრჩებოდი
და ჩემთვის ვერთობოდი - სხვადასხვა ფორმის მილებს
ვაკეთებდი. ზოგი დაკლაკნილი, გრძელი გველივით მიხ-
ვეულ-მოხვეული გამოდიოდა. როცა მილი მზად იყო, მარ-
მარილოს პატარა ბურთულებს ვაგორებდი ხვრელში. ვიცი,
სულელურად უღერს და დიდად ამის კეთება არც მსიამოვ-
ნებდა, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლიდი.






ერთ ლამეს ყველაზე რთული აგებულების მილი დავამზადე. ათასი კლაქნილით და კუთხით, და როცა მრგვალ ხვრელში მარმარილოს ბურთულა შევაგდე, დაიკარგა - მილის მეორე მხარეს აღარ გამოგორდა. თავიდან ვიფიქრე, რომელიმე დაკლაკნილ ნაწილში გაიჭედებოდა-მეთქი, მაგრამ როცა პირველის გზას ოცამდე სხვა ბურთულაც გავუყენე და არცერთი არ გამოჩნდა, მივხვდი, რომ უცდებოდი - ისინი, უბრალოდ, მილის სილრმეში ქრებოდნენ.

ვიცი, ყველაფერი, რასაც ვამბობ, სულელურად უდერს. უფრო სწორად, ყველამ იცის, რომ მარმარილოს ბურთები ასე უბრალოდ არ ორთქლდებიან, მაგრამ რა ვქნა, ერთი ნამითაც არ მომჩვენებია უწნაურად ის, რომ მილის ერთ ბოლოში შეგორებული ბურთულები მეორე მხარეს არ გამოდიოდნენ. პირიქით, ჩემთვის ეს ძალიანაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. აი, მაშინ გადავწყვიტე ზუსტად ასეთივე ფორმის, ოღონდ ისეთი დიდი მილის გაკეთება, შიგ ადამიანი რომ შეტეულიყო. ეს ადამიანი მე ვიქნებოდი. შევძრებოდი და მანამდე ვიგორებდი ხვრელში, სანამ მარმარილოს ბურთულასავით არ გავქრებოდი. ეს რომ მოვიფიქრე, ისე გამეხარდა, რომ ხმამაღალი სიცილი მოვრთე. მგონი, ეგ პირველი სიცილი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ის დღე იყო და ის დღე, სამსახურში გვიანობამდე დარჩენას მოვუხშირე. ვიჯეტი და ლითონისგან ჩემი გიგანტური მილის ხვეულები გამომყავდა. ღამით ვმუშაობდი და დილას ნაწილებს საკუჭნაოში ვმალავდი. სულ ოცი დღე დამჭირდა. ბოლო ლამეს, ხვეულების შეერთებას ხუთი საათი მოვანდომე. მიღმა ოთახის ნახევარი დაიკავა.

როცა თვალნინ ერთ დიდ კონსტრუქციად შეერთებული მილი გადამეშალა, რომელიც მარტო მე მელოდებოდა და მეტს არავის, ჩემი სოციოლოგის მასწავლებლის სიტყვები გამახსენდა. ერთხელ ასეთი რამ გვითხრა: პირველი პირველყოფილი ადამიანი, რომელმაც ჯოხი აიღო ხელში, არც ყველაზე ძლიერი იყო თავის ტომში და არც ყველაზე გამჭრიახიო. დანარჩენებს, უბრალოდ, არ სჭირდებოდათ ჯოხი, მას კი - ძალიან. მას ჯოხი სხვებზე მეტად სჭირდებოდა, რათა თავი გადაერჩინა, საკუთარ სისუსტეს გაჯიბრებოდა და დაქმარცხებინა.




არა მგონია, რომ გაქრობა მთელს დედამიწაზე ჩემზე მეტად უნდოდა ვინმეს. ამიტომაც გიგანტური მილი ზუს-ტად მე გამოვიგონე და არა რომელიმე სხვამ. მე და არა იმ ბრწყინვალე, დიპლომიანმა ინჟინერმა, რომელიც ამხელა ქარხანას მართავს.

მილში ძრომა ნელ-ნელა დავიწყე. აზრზე არ ვიყავი, მეორე მხარეს რა მელოდა. იქნებ, იქ, სილრმეში უყურებო ბავშვები დამხვედროდნენ, მარმარილოს ბურთულების ბორცვებზე მოკალათებულნი. იქნებ. ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ, არ ვიცი ზუსტად რა მოხდა ხვრელში. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ახლაც აქ ვარ.


მგონი, ახლა ანგელოზი გავხდი. იცი, ფრთებიც მაქვს და ის მრგვალი წრეც თავზე. და აქ ასობით ჩემნაირია. როცა აქ მოვედი, ისხდნენ და მარმარილოს ბურთულებით თა-მაშობდნენ; იმ ბურთულებით, რამდენიმე კვირის წინ რომ შემოვაგორე.

ყოველთვის მეგონა, რომ სამოთხე იმ ადამიანებისთვისაა შექმნილი, რომელთაც მთელი ცხოვრება წესიერად და პატიოსნად გაატარეს, მაგრამ, თურმე, ვცდებოდი. ღმერთი ძალიან სულგრძელი და მოწყალეა და ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. სამოთხე მან იმ ადამიანებისთვის შექმნა, რომელთაც გულწრფელად არ შეეძლოთ მიწიერ ცხოვრებაში ბედნიერები ყოფილიყვნენ.



|||||





აქ მითხრეს, რომ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ, ღმერთი ისევ უკან აგზავნის - თავიანთი ცხოვრებით განმეორებით რომ იცხოვრონ. რადგან ასეა: ის ფაქტი, რომ მათ პირველ ცხოვრებას ვერ გაუძლეს, სულაც არ ნიშნავს, რომ მეორედაც ვერ შეეჩვევიან რეალობას. მაგრამ ისინი, ვინც ნამდვილად ვერ ეგუბიან მიწას, თავს ბოლოს აქ ამოყოფენ ხოლმე. თითოეულ მათგანს სამოთხემდე მისვლის საკუთარი გზა აქვს.

აქ პილოტებიც ვნახე, რომლებმაც მილში თავი ბერმუდის სამკუთხედზე გაკეთებული ზუსტი ლუპის შემდეგ ამოჰყვეს.

არიან დიასახლისებიც, რომლებიც სამზარეულოს კარადაში შევიდნენ, აქამდე რომ მოსულიყვნენ. და არიან მათემატიკისებიც, რომელთაც კოსმოსში ტოპოლოგიური გამრუდებები გამოიგონეს და აქ მოსახვედრად, მასში გამოძვრნენ.

მოკლედ, იმას გეუბნებით, რომ თუ მართლა უიმედოდ უტედური ხართ მიწაზე, და თუ ყველა ცალ-ცალკე დაჟინებით გარწმუნებთ, რომ სენმა შეგიძყროთ და აღქმის მწვავე მოშლილობით იტანჯებით, აუცილებლად იპოვეთ აქამდე მოსასვლელი საკუთარი გზა. და როცა იპოვით, გთხოვთ, იქნებ ბანქო შემოგვაშველოთ, თორემ ეს მარმარილოს ბურთულები თანდათან გვბეზრდება.





DD Studio

დიზაინი
ბრენდინგი
კორპორატიული სტილი
პოლიგრაფია
ვებ-გვერდები



DEGA Design Studio

დეგა დიზაინ სტუდია

თბილისი, ვინტავაძის 8

ტელ: +995 32 922297, 923377
ფაქსი: +995 32 995681
e-mail: info@ddstudio.ge



ადამი და ევა?

„თეატრი გასახდელიდან იწყება!“ – ბრძანა სტანისლავსკიმ.

კინოთეატრი – ტუალეტიდან იწყება! 1973 წლის ივლისიდან ვამტკიცებ ამას, მაგრამ ჩემს მოსაზრებას სერიოზულად არავინ აღიქვამს.

1973 წლის ივლისში, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ხელისუფლების დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“.

თარიღი კარგად მახსოვს – იმ დღეს, კინოთეატრ „ნაკადულის“ ფეხსალაგში, დაახლოებით ნახევარ საათი გავატარე.

არა, კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებით პრობლემები არ მქონია. უბრალოდ, 1973 წლის იმ ცხელ დღეს წარმატებით განვახორციელე ოპერაცია, რომელიც მომავალში არაერთხელ გამიმეორებია კინოტუალეტებში.

ოპერაციის არსი მარტივია. ნებისმიერ კინოთეატრში, სადაც ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ფილმს უჩვენებენ, უპრობლემოდ შეიძლება მისი ჩატარება; ყიდულობ ბილეთს ერთ სეანსზე; მერე, როცა ეკრანზე ფინალური ტიტრები ჩნდება და დარბაზში ჯერ კიდევ ბნელა, შესასვლელიდან გამოდიხარ, შედისარ ფეხსალაგში და ახალი სეანსის დაწყებას ელოდები. საათი თუ არ გაქვს, არაფერია. ახალ სეანსზე მობრძანებული მაყურებელი, რომლისთვისაც კინო მართლა ტუალეტით იწყება, აუცილებლად შემოვა საპირფარეშოში. მერე გამოდიხარ მასთან ერთად ამაყი და საქმიანი, ბრუნდები დარბაზში და ახალ ფილმს უყურებ.

პირადად, რეკორდი დავამყარე 90-იანი წლების დასაწყისში, პარიზის ერთ კინოთეატრში, სადაც ყოველ სეანსზე ახალ ფილმს უჩვენებენ. 50 ფრანკად შეფასებული ბილეთით იმ დღეს 5 ფილმი ვნახე! ფრანგულ ადაბხანაში არავის შევუწუხებივარ.

მაგრამ პარიზის კინოტუალეტებში მართლა კუჭ-ნაწლავი უნდა განუხებდეს, სეანებს შორის დრო რომ გაიყვანო. სულ სხვა იყო 1973 წლის საბჭოთა საქართველო, როცა ჩვენში ტუალეტის ქალალდის ტოტალური დეფიციტი დაიწყო. ახლადდანიშნული შევარდნაძის ხელისუფლებამ უმაღვე მიაგნო გამოსავალს – საზოგადოებრივ ფეხსალაგებში გაზეთები დაჭრეს და პირდაპირ უნიტაზებთან დაყარეს. ასე გადაიქცა საპირფარეშო მშვენიერ ბიბლიოთეკად, სადაც სეანსებს შორის „კომუნისტს“, „ზარიას“, „პრავდას“, „თბილისს“ წაიკითხავდით. საბავშვო კინოთეატრის, „ნაკადულის“ ტუალეტი გაზეთებით განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ყოველ შემთხვევაში, დაინტერესებული კაცი აქ გაზეთ „თბილისის“ დეფიციტურ ბოლო გვერდსაც გადაეყრებოდა და იმას მაინც შეიტყობდა, ვინ მოკვდა და ვის როდის ასაფლავებენ.



„სამგლოვიარო განცხადებები“ სოციალური თანასწორობის ერთადერთი გამოხატულება იყო საბჭოთა საქართველოში. პრივილეგირებული კომუნისტებისთვის, ხელისუფლებასთან დაახლოებული ინტელიგენტებისა და პარიკმახერებისთვის „თბილისის“ ბოლო გვერდზე ზუსტად იმდენი იყო გამოყოფილი, რამდენიც უბრალო მოკვდავთათვის. დაინტერესებული მოქალაქე შეიტყობდა, ვინ არის, დავუშვათ, სიკინჭილაშვილის რძალი, რამდენი შვილიშვილი ჰყავდა ცხონებულ ზვიადაძეს, რომელ პოლიკლინიკაში მუშაობდა უდროოდ გარდაცვლილი თამილა, რომლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავდნენ და თანაუგრძნობდნენ განსვენებულის ოჯახს.

იმ დღეს, 1973 წლის ზაფხულში, „ნაკადულის“ ტუალეტში ორ ფილმს შორის მომიხდა დროის გაყვანა. ერთი „დედინაცვალი“ იყო – პუტიუნა და ნითელლოება ტატიანა დორონინათი მთავარ როლში (თემა – „საბჭოთა დედინაცვალი – ყველაზე კეთილი და გულისხმიერი დედინაცვალია მსოფლიოში“), მეორე, იმდროინდელი კინოგაქირავების ჰიტი – „ქვიშის კარიერის გენერლები“, უორუ ამადეს წიგნის მიხედვით გადაღებული სრულიად პრიმიტიული ფილმი, რომლის მუსიკას მთელი თბილისი თუ არა, მთელი პლეხანოვი მაინც მღეროდა. სეანსებს შორის, დაახლოებით ნახევარი საათი უნდა მეყურყუტა ტუალეტში. მაგრამ რა მომანყენდა! გაზეთ „კომუნისტში“ საქართველოს ხელისუფლება იუნიებოდა, რომ „1973 წლის 9 მაისს გაჩენილმა ხანძარმა, რომლის შედეგად ოპერის თეატრის შენობა ძლიერ დაზიანდა და დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან, დიდი გულისტკივილი... გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში“. შევარდნაძის ცეკამ მიიღო დადგენილება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის აღდგენის შესახებ, მისი გარეგანი ნაწილის შენარჩუნებით (ოპერის თეატრის დაწვას ზოგი მუავანაძის მომხრებს, ზოგიც მთლად ჭაბუკიანს აპრალებდა). ამავე გაზეთში წავიკითხე სწორედ რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების დადგენილება, რომლის შესახებ ბევრი ვიმსჯელეთ მე და ჩემმა ძველმა მეზობელმა, პლეხანოველმა ქეთინომ.

ახლა ქეთინომ სად წაიკითხა ეს დადგენილება, ალარ იკითხავთ? „კომუნისტის“ ტექსტს ისიც კინოტუალეტში გაეცნო. ოლონდ, ჩემგან განსხვავებით, არა სეანსის წინ და არა სეანსებს შორის, არამედ ტრადიციულად – შემორბენაზე!

ტუალეტში შემორბინაო, ასე ამბობდნენ ქეთინოზე მეზობლები. საქმე ისაა, რომ სახლში, უფრო სწორად, ბარაქში, რომელსაც ჩემი აივნიდან კარგად ვხედავდი, ტუალეტი არ ჰქონდა. დედამისი დამლაგებლად მუშაობდა თევზის მაღაზიაში. მამა – არ მახსოვს. თუმცა დილი-დან საღამომდე რომ მთვრალი იყო, ამას ქეთინო თვითონ აღიარებდა. თვითმხილველთა თემით, ეზოში, ჩერჩა ისეთი მოუწყობელი ჰქონდათ, რომ ზედმეტისგან განთავისუფლებას აქ გაჭირვებულიც გადაიფიქრებდა.

კაი ეშმაკი გოგო იყო ეს ქეთინო. მთელი ჩვენი სახლი ტერორში ჰყავდა. ვითომ სტუმრად მოდიოდა, ან წიგნი უნდოდა რამე, ან ფირფიტა



(ბოლოს რომ ვნახე, „სუპერსტარის“ ჩანაწერი გამომართვა. მაგნიტოფონის „ბაბინაზე“ მქონდა). გეახლებოდა, ერთ-ორ სიტყვას გეტყოდა, მერე იკითხავდა, ტუალეტში შეიძლებაო და მოხერხებულად სარგებლობდა ჩეხურ კაფელში ჩასმული ფეხსალა-გებით. სახლის გარშემო, კინოთეატრებში, მაღაზიებში, ვილაცამ მითხრა, მარჯანიშვილის თეატრშიც კი, ხალხი მოთაფლული ჰყავდა; ერთ-ორ ტკბილ სიტყვას ეტყოდა და იქაურ ფეხსალაგში შეიძარებოდა ხოლმე. ჩემი ეზოს ბიჭები შაყირობდნენ, გრაფიკი აქეს შედგენილი, ვისთან და სად უნდა მოფსასო. თუმცა „გრაფიკის“ ამბავი ცოტა გადაჭარბებული მგონია. როგორი ბოროტია ეს ხალხი!

„რუსულ სკოლაში უნდა გადავიდე!“ – გამომიცხადა ქეთინობ სწორედ იმ დღეს, „ნაკადულში“ ცეკას დადგენილება რომ წავიკითხე. ის-ის იყო, უნდა მეკითხა, პრესას „ნაკადულის“ ტუალეტში ხომ არ გაეცანი-მეთქი, თავად დამასწრო, ეგ დადგენილება „კოლხიდაში“ (ასეთი კინოთეატრიც გვქონდა კამოს ქუჩელებს) წავიკითხეო. მერე დაუინებით ამტკიცა, ქვეყანაში ახალი დრო დადგა, შევარდნაძე მოვიდა, თავადაც ჰყოლია რუსულის მასნავლებელი; რუსული თუ არ იცი, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ. მე კი არ მინდა, დედაჩემივით, მთელი ცხოვრება თევზის სუნი ამდიოდესო.



ПРАВДА

Орган Центрального Комитета КПСС



რუსული სკოლა მეზობლად, იცოცხლე, უხვად გვქონდა. სექტემბრიდან ქეთინობ მეჩნიკოვის ქუჩაზე, 37-ე სკოლაში გადავიდა. ჩვენი ბიჭები, 23-ელები, ხშირად თამაშობდნენ ფეხბურთს აქაურ რუსულ-ქართულ-სომხურ „სასტავთან“. მე ფეხბურთის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ 37-ეს ფასადს გულისყურით ვათვალიერებდი ფრანგულის მასნავლებლის სახლის ფანჯრიდან, როცა გაფრანგებული სომეხი, თავის დროზე, მულტფილმების სტუდიის მხატვარი, „ნუნა და ნრუნუნას“ ერთ-ერთი შემქმნელი, დაახლოებით 60 წლის ქალბატონი ტანტ ნანიკი რომენ როლანის „უან კრისტოფს“ მაკითხებდა ხოლმე.

23-ები ქეთინოს გადასვლა არავინ შეიმჩნია. არ ვიცი, რას ამბობდნენ მისი კლასელები (ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო), მაგრამ მე კი ძალიან დამაკლდა. და არა იმიტომ, რომ უსაშველოდ მოკლე კაბით დადიოდა სკოლაში და მაგრა გვართობდა ყველას, როცა კიბეზე ჩასაფრებულ ბიჭებს, ქვევიდან რომ უყურებდნენ მის ავლა-დიდებას, ქოქლას აყრიდა ხოლმე, – წადით აქედან, თქვე „ანანისტებონ“ ... ქეთინო დამაკლდა, როგორც მსახიობი, რომელსაც ყველანაირი როლის შესრულება შეეძლო; მათ შორის ევასი... დიახ, ბატონო, სწორედ იმ ევასი, ბიბლიაში „ყოველი ცოცხალის დედად“ რომ არის მონათლული.

თუმცა ბიბლიის კითხვა ქეთინოს წასვლამდე დავიწყე. წმინდა წიგნით დავინტერესდი მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძის

სახელობის 23-ე სკოლაში დიდი სკანდალი მოხდა – ჩემმა კლასელებმა გიორგი ცხაკაიამ, ზაზა მიქაელ და ზაზა აპაშიძემ (ეროვნული ბიბლიოთეკის დღევანდელმა შეფა) ანტისაბჭოთა პროკლამაციები გაავრცელეს. სკოლაში უშიშროება მოვიდა – „რელიგიური პროპაგანდის“ გამო, ბიჭებს შავი დღე აყარეს. მაგრამ გადარჩენ – ზაზა დოდო აპაშიძის შვილი იყო. მართალია, „ვერის უბნის მელოდიებში“, რომელსაც სწორედ იმ დროს უჩვენებდნენ ეკრანებზე, დოდოს პერსონაჟი მოგვინოდებდა: „ნუ იქნება ოლონდ ბუნტი!“, უშიშროება ასე ადვილად ვერ განირავდა პოპულარული მსახიობის ერთადერთ შვილს. ბიჭების ქმედება ახსნეს, როგორც „ბავშვური საქციული“; დარწმუნდნენ, რომ მათ უკან არავინ იდგა და საქმეც ჩაიფარცხა.

კაგებეს თანამშრომლები წავიდნენ. მათ წაცვლად კი გამოვეცხადა სახელმწიფო ტელევიზიის საბავშვო პროგრამების მთავარი რეჟისორი, შოთა ქარუხნიშვილი, რომელმაც ტელევიზიის ახალ გადაცემაში, „ცხრაკლიტულში“ მონაწილეობა შემოგვთავაზა.

„ცხრაკლიტული“ – რუსული „კავეენის“ ქართული ვერსია იყო. რესპუბლიკის 9 სკოლაში იქმნებოდა გუნდები, რომელთაც „სადრომოები“ (!) ეწოდებოდა. ყოველი სადროში 9 წევრს ითვლიდა და სათავეში „ალამდარი“ ედგა. „სადრომოები“ ერთმანეთს გამჭრიახობაში, ლიტერატურის, მუსიკის, მათემატიკის ცოდნაში ეჯიბრებოდნენ, ასრულებდნენ ეგრეთ წოდებულ „საშინაო დავალებას“, ე.ი. დგამდნენ სპექტაკლებს ამა თუ იმ თემაზე. გადაცემა, ცხადია, ინერებოდა და ეთერში ყოველი თვის 9 რიცხვში, საღამოს ცხრა წუთზე იწყებოდა. ფინალისთვის გამარჯვების დღე – 1974 წლის 9 მაისი იყო განსაზღვრული.

„ცხრაკლიტულში“ მონაწილეობაზე მაშინვე დავთანხმდი. ოქროს მედალზე ვიქაჩებოდი და გაკვეთილების გაცდენისთვის „ცხრაკლიტულ“ არაჩვეულებრივი საშუალება იყო. რეპეტიციებს მოიმიზებდი, თვეში ერთხელ გამოცხადდებოდი გაკვეთილზე, მოამზადებდი იმ დღის დავალებას, ჩაარაკრაკებდი, მიიღებდი სანუკარ ხუთიანს და მედალი გარანტირებული გქონდა. გატლებითი ბიჭი ვიყავი, პიონერთა სასახლეშიც მქონდა არტისტობის გამოცდილება, ბავშვობაში ტელევიზიასთანაც ვთანამშრომლობდი (ერთ გადაცემაში „წიგნიქექიას“ როლი შევასრულე), ამიტომ ქარუხნიშვილმა პირველად მე მომმართა, შეადგინე „სადროშო“, მოუფიქრე გუნდს სახელი და ალამდარის როლიც იკისრეო.

ალამდარობაზე უარი ვთქვი. ასეთ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვერ ავიღებდი. „მენეჯერობა“ ყოველთვის ჭირივით მძულდა. ვერასდროს ვუბრძანებ ვინმეს და „ტილი მენეჯერის“ ბრძანებას არც მე დავემორჩილები. აი, „სერი კარდინალობა“

კი, იცოცხლე, კარგად გამომდის! ყოველ შემთხვევაში, „ცხრაკლიტულში“ ხუთიანზე თუ არა, ოთხიანზე მაინც ჩავაბარე ეს გამოცდა.


„ხუთიანი“ სხვას ერგო – პირველ ექსპერიმენტულ სკოლას, რომლის სა-დროში „მზის შვილები“ ერქვა. ფინალში, 1974 წლის 9 მაისს „მზის შვილების“ ალამდარმა ჩვენს „მენეჯერს“, გიორგი ცხაკაიას კალათში ბურთების ჩაგდებაში მოუგო. ასე დაჯილდოვდნენ „ექსპერიმენტულის შვილები“ ტურისტული საგზურით უნგრეთში.

დიახ, სწორედ გიორგი ავირჩიეთ ალამდარად. მერე გუნდს სახელიც მოვუფიქრეთ – „ილია და...“, რომელიც ჟღერდა, როგორც „ილიადა“ და თანაც, ჩვენი სახელოვანი სკოლის სახელს ამართლებდა. ვიცოდით, რომ ილიას სახელით ტელევიზიას რაღაცებს შევაბარებდით. მაგალითად, ეთერში ვიტყოდით, „რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ლვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე“... ვერავინ შეგვეკამათებოდა, ილიას სიტყვებია! (კარგი იქნე-



ბა, კონტრევოლუციონერმა ქართველებმა დღესაც გაიხსენონ ხოლმე ეს სიტყვები)... ან კიდევ, „მგზავრის წერილების“ ერთ ნაწყვეტს გავიხსენებდით: „ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“... რას გვეტყოდნენ? ჩვენ კი არა, ილია წერდა ამას.

საბჭოთა ცენზურა თავდაპირველად ერთადერთ სადროშოს შეეხო – 55-ე სკოლას და მის გუნდს „სამნი ძმანი კვადრატში, ანუ როგორც გენებოთ“! მას შემდეგ, რაც პირველი „ცხრაკლიტული“ ეთერში გავიდა, შოთა ქარუხნიშვილი ცეკაში დაიბარეს და გადაცემის დახურვით დაემუქრნენ. „რას ნიშნავს სამნი ძმანი კვადრატში?“ – უკითხავთ ბატონი შოთასთვის. „ცხრა ძმას“ – დაუფიქრებლად გამოუანგარიშებია ტელევიზიის რეჟისორს. „ვერ ხვდებით, ვის გულისხმობენ ეგ ვაკელი ბავშვები? ედუარდს, იპოკრატეს და ევგრაფ შევარდნაძეებს!“. ქარუხნიშვილი ცოტა დაბნეულა და პირობა დაუდია, ამიერიდან გუნდს „სამნი ძმანი კვადრატში“, ან „სამნი ძმანი კუბში“ ერქმევა, იმ „როგორც გენებოთს“ შეველევითო. ვაჭრობა დიდხანს გაგრძელებულა. ბოლოს „კვადრატიც“ ამოაღებინეს, „კუბიც“ და „სამნი ძმანი“ დატოვეს.



ვეჭვობ, ეგ სახელი 55-ე სკოლის გუნდის გამორჩეულმა სახემ, ლევან კიტიამ მოიგონა. ლევანი, ჩემსავით, მაგარი ავანტიურისტი იყო (ჩემსავით „მარტის თევზი“) და გიუდებოდა კომუნისტების გაცურებაზე. ჩანერების დროს, პლეხანოველები – ვაკელებს დავუმეგობრდით. თუმცა მეგობრობა – მეგობრობაა, სპორტი კი – სპორტი! „ცხრაკლიტულში“ რომ გაგვემარჯვა, მროვესიონალი რეჟისორი უნდა მოგვეწვია.

„ბერნარდა ალბას სახლი“ ანშლაგით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. შეგვხედა, დაგვათვალიერა, თქვენი დრო არა მაქეს, მაგრამ ახალგაზრდა, ნიჭიერ რეჟისორს მოგიყვანთ და ის დაგეხმარებათო. დაპირება შეასრულა და რამდენიმე დღეში მიშა ბუკია გაგვაცნო. მიშაზე ცნობები შევაგროვეთ – ალმოჩნდა, რომ იგი პირველი ქართული საბავშვო ოპერის, „დაუპატიუჟებელი სტუმრების“ ავტორის, კომპოზიტორ ალექსანდრე ბუკიას შვილი იყო – იმ ოპერისა, ყვავილების გამანადგურებელი მახრებისა და უშიშარი პიონერების ბრძოლას რომ ასახავს. კარგ ხასიათზე როცა ვარ, მახრების მეფის არას დღესაც სიამოვნებით ვმდერი ხოლმე. „მზე რომ არ ამო-დიო-დეს!“ – მგონი ბარიტონი უნდა მლეროდეს. მას კი მახრების გუნდი აყვება: „მეფეთ მეფე იქნებოდი, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!“. 1950 წელს, ე.ი. სტალინის ეპოქაში დაწერილი ეს ოპერა მშვენივრად გამოხატავს ეპოქის განწყობილებას – კერძოდ, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას.

მაგრამ მამისგან განსხვავებით, მიშა ბუკია შევარდნაძის ეპოქაში ცხოვრობდა, სჯეროდა, რომ დრო შეიცვალა, რომ ახლა გადაკვრით, მაგრამ ყველაფრის თქმა შეიძლება.

სწორედ მიშას იდეა იყო „ცხრაკლიტულის“ საშინაო დავალებისთვის „ლვთაებრივი კომედიის“ ფრაგმენტის დადგმა. მოქმედი გმირები იყვნენ: 7 ანგელოზი, ადამი და ევა (ლმერთის ადგილი აღარ დარჩა)... ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი სადრო-შო. ანგელოზები ანბანის მიხედვით განვლაგდით, თუმცა მე, ბოლო ანგელოზს, რატომდაც „ანგელოზი ჭ“ მერქვა. ადამი – ცხაკაია იყო... აი, ევას პოვნა კი ძალიან გაგვიჭირდა ერთი უბრალო მიზეზით – ევას კანისფერი რეიტუზი უნდა ჩაეცვა და „სარცხვინელზე“, ფოთლის ნაცვლად, მოძრაობის ამკრძალავი ნიშანი, „კირპიჩი“ დაეკიდა. ევას ძებნაში, სწორედ ქეთინოს



ნაკლებობა ვიგრძენი. ქეთინოს ბედით დავინტერესდი და შევიტყვე ამბავი, რომელმაც მოგვიანებით ხმალამოლებული ფემინისტი გამხადა.

ერთხელ, შუა გაკვეთილის დროს, საკლასო ოთახში რამდენიმე უცნობ ქალთან ერთად, სკოლის ექიმი შემოვიდა. მათ დიდხანს ათვალიერეს ჩვენი გოგოები და ყველაზე, როგორ დავწერო, არ ვიცი... ტანძმოსულები გარეთ გაიყვანეს. ერთი საათის შემდეგ გოგოები დაპრუნდნენ. „შეგვამოწმესო“ – ნამოსცდა ჩემთან ყველაზე უფრო დაახლოებულ თინიკოს.

ყოველთვის მაინტერესებდა, რაზე ლაპარაკობენ ქალები, როცა კაცები არ უშლიან ხელს. ეცვლებათ თუ არა ლექსიკა, მიმართავენ თუ არა უარგონს, ყვებიან თუ არა იმ დეტალებზე, რომელიც თან ახლავს მათ სხეულს კრიტიკულ დღეებში. როგორ ყვებიან ამას?

აი, ამ შემთხვევაშიც, გოგოებმა დაგვიმალეს, რომ ექიმებმა „ქალწულობა“ შეუმოწმეს. უფრო სწორად, ეს ამბავი კი გასკდა, მაგრამ ტექნიკურად როგორ შესრულდა, ამის შესახებ არაფერი გვითხრეს. ბიჭებიც არ დაინტერესებულან მაინცდამაინც. ერთმა მითხრა მხოლოდ, 37-ეში გოგო დაორსულებულა და ახლა სკოლებში სანიტარული ინსპექცია გამოაგზავნესო.

დაორსულებული გოგო ქეთინო აღმოჩნდა. მამამისს ისე უცემია, რომ ნაადრევი მშობიარობა დაწყებია. ბავშვი მკვდარი დაბადებულა. ამ დროს, ჩვენ უკვე საბურთალოზე ვცხოვრობდით. ამიტომ, იმ ხალხთან, ვისთანაც ქეთინო „შემოვლაზე“ დადიოდა ხოლმე, კონტაქტი აღარ მქონდა. იმდენიც ვერ გავბედე, რომ „ბარაკებში“ მიესულიყვავი და ქეთინოს ამბავი გამერკვია. როგორი იყო ეს ბავშვი? გოგო თუ ბიჭი? ქეთინოსავით შავყვითელა, თუ ქერა? ვისგან გაუჩნდა? გააუპატიურეს? იქნებ თანაკლასელი შეუყვარდა? ან, თუნდაც, მასწავლებელი? იქნებ მორიგი „შემოვლის“ დროს დაზარალდა? მოგვიანებით გავარკვიე, რომ ამ სკანდალის შემდეგ, ქეთინო პროფექტიკურში გადაიყვნეს, მერე ვიღაც სომეხზე გაათხოვეს და რუსეთში გაუშვეს. ჩემი „სუპერსტარი“, ალბათ, დედამისს დაუტოვა, თევზის მაღაზიის დამლაგებელს.

არადა, როგორ დამჭირდა ეგ „სუპერსტარი“! „ლვთაებრივი კომედიის“ ფონი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ის ადგილი, ივონა ელიმანი როცა მღერის, „დახუჭე თვალები, დაიძინე, ყველაფერი კარგად იქნება“... სწორედ ამ დროს უნდა გამოელვიდათ იატაკზე გაშოტილ ადამია და ევას.

ბოლოს და ბოლოს, „სუპერსტარსაც“ მივაკვლიეთ და ევასაც. ეს როლი თამრიკო ბექაიას უნდა შეესრულებინა – უმშვენიერეს გოგოს, რომელიც, მგონი, სკოლის ყველა ბიჭს უყვარდა. ჩაწერა-



მდე რამდენიმე დღით ადრე, „პრაგონზე“ შოთა ქარუხნიშვილი მოვიდა. კოსტიუმებში გამოვეწვეთ. მე ფრთხი დავიმაგრე, მაგრამ ცუდად – შუა სპექტაკლის დროს ჩამომივარდა. ფინალში კი, როცა სცენაზე ვაშლების წვიმა წამოვიდა, ერთი წითელი ვაშლი ისე ძლიერ დამეცა თავზე, რომ სიმწრისგან დავიყვირე.

წარმოდგენა რომ დავასრულეთ, დიდი, დიდი პაუზა გაიჩითა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი პაუზა ჩემს ბიოგრაფიაში. მერე ქარუხნიშვილი მე, „სერი კარდინალს“ მომიტრიალდა, რაღაც სხვანაირად გამიღიმა და დაიღრიალა, „ვალერიანი, ვალერიანი!“

ეს არ იყო გაბრაზებული კაცის ყვირილი. უფრო ვერიკოს შეძახილს ჰგავდა: „ურიელ! ურიელ!“... ზუსტად ისე, 20-30-იან წლებში რომ თამაშობდნენ ხოლმე. ქარუხნიშვილის ეს შეძახილი იმდენად ყალბი და პათეტიკური იყო, რომ ვიფიქრე, სკექტაკლი მოეწონა და შაყირობს-მეთქი... მაგრამ, როგორ გეეადრებათ! გვიბრძანა, რამე სხვა მოიფიქრეთ, თორემ პორნოგრაფიის პროპაგანდისთვის კომკავშირიდან გაგრიცხავენო („პორნოგრაფიის პროპაგანდა!“ – ეტყობა იმ დღიდან დაიწყო ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში)

სპექტაკლი მთლიანად შევცვალეთ. მაგრამ „სუპერსტარი“ მაინც გავაპარეთ. მოგვიანებით სერგო ფარაჯანოვმა მიამბო, ცენზურასთვის რაღაც რომ შემეგდო, სხვა რამეზე გადავატანინებდი ხოლმე ყურადღებასო. ჩვენც ასე გამოგვივიდა. ქარუხნიშვილმა, როგორც ჩანს, არ იცოდა, ვის უმღეროდა ივონა ელიმანი. პირიქით, გვითხრა, ეს რა ლამაზი მუსიკა მოგიძებნიათო. იმხანად რობერტ სტურუამაც გამოიყენა „სუპერსტარი“ თავის „ყვარყვარები“. მიუხედავად იმისა, რომ ეს როკ-ოპერა, როგორც იმპერიალიზმის პროპაგანდისტული იარაღი, სასტიკად იყო აკრძალული საბჭოთა კავშირში (კომუნისტების აზრი აბსოლუტურად დაემთხვა ეკლესიის პროტესტს), სტურუასაც დაუტოვეს უბერის მუსიკა.

და რადგანაც ამ ჭამა-ჭამაში მადა მოგვივიდა, გადავწყვიტეთ, არც ჩვენს პირველ წინაპრებზე გვეთქვა უარი. ადამისა და ევას ამბავი ყველას გვიტრიალებდა თავში. ფინალურ „ცხრაკლიტულზე“, რომელშიც სამი გუნდი გავედით – ჩვენ, „მზის შვილები“ და ბათუმის „მაჭახელა“, გადაცემაში, რომელიც 1974 წლის 9 მაისს უნდა გასულიყო ეთერში, დავალება მოგვცეს. თემას „ხელოვნება“ ერქვა. მე კი რა მინდოდა მეტი – აკადემიაში, ხელოვნებათმცოდნების ფაკულტეტზე ჩასაბარებლად ვემზადებოდი და არც არაფერი ვიცოდი ხელოვნების გარდა.

„მიქელანჯელო!“... – ისე ხმამაღლა ვიყვირე, რომ „მზის შვილებსაც“ მოქსმათ ეს სახელი. რა თქმა უნდა, ჩემი საყვარელი მიქელანჯელო, ჩემზე მრავალი წლით და ერთნახევარი დღით ადრე, ე.ი. 6 მარტს რომად დაბადებული. ჩემსავით რომ სძულდა გართობა, დროსტარება, ხალხმრავალი შეკრებები.

გადავწყვიტე – თუ რელიგიის ეშინიათ, იყოს კულტურა! პავლე ფლორენსკი ხომ წერდა, კულტურა – კულტის ჩანაცვლებააო. თუ სულის უკვდავების არ სწამთ, იყოს სხეული მშვენიერი! პავლე მოციქულისა არ იყოს, „პირველად არა სულიერი, არამედ მშვენიერი, შემდეგ კი სულიერი“. ე.ი. პირველად – მიქელანჯელო, მერე კი სხვები.

ჩვენსას მივაღწიეთ. „ადამის შექმნა“ გავაცოცხლეთ. მე რაღაცები ვილაყბე მიქელანჯელოზე, დანარჩენები კი „ადამის შექმნის“ პოზებში განლაგდნენ. ცხაკაიამ მშვენივრად განსახიერა მფრინავი ღმერთი, გოგოებმა – ანგელოზები. აი, ადამი ვინ იყო, ნამდვილად არ მახსოვს. თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს; მთავარს მაინც მივაღწიეთ – სწრაფვას მოძრაობის გარეშე, ადამიანისა და შემოქმედის სრულ თანასწორობას; შეხებას, როგორც ურთიერთობის მთავარ პრინციპს... შეხებას და არა შექრას (მომავალში ცხოვრების კრედო რომ გავისადე), თანასწორობას და არა დამორჩილებას. ისე კარგად გამოგვივიდა ეს ყველაფერი, ისე კარგად, რომ უიურის წევრებმა ტაში შემოკრეს.

ეს დავალება, სახელწოდებით „ხელოვნება“, მიქელანჯელოს ქანდაკებებით დავასრულეთ. გოგონებს ცოტა გაუჭირდათ. არაფრით დაგვმორჩილდა „მადონა კაბესთან“. 16 წლის იყო მიქელანჯელო, ეს ცივი ნამუშევარი რომ შექმნა. ამავე



წლით თარიღდება მისი ბობოქარი „კენტავრების ბრძოლა“. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რატომაა „მდედრი“ ჩაცმული, მამრი კი შიშველი? „მადონა“ – კლასიკური, „კენტავრები“ კი ბაროკალური? ანდა რატომაა მიქელანჯელოს სონეტებში დედა-ლამე, სუსტი, ძალიან სუსტი, იმდენად სუსტი, რომ ერთ ჩირალდანს შეუძლია დაარღვიოს მისი მყუდროება და მამა-მზე – აგრესიული, ძლიერი, ადვილად რომ „ედება“ ყველა სხეულს და წვავს მას?


როგორც ჩანს, იმხანად მაგრად მანუსებდა ეს კითხვები. ამიტომაც ავირჩიე „ჩემთვის“ „ცხრაკლიტულის“ ფინალში მიქელანჯელოს იდუმალი სკულპტურა – „გამარჯვება“. გიორგი ცხაკაიამ სახეზე წვერები მიინება და ფეხებთან დამიწვა. მე კი მუხლით შევდექი და რამდენადაც მახსოვს, ზუსტად გამოვხატე მიქელანჯელოსთვის დამახასიათებელი დინამიკა – ფიგურა თითქოს თავისუფლად იწყებს მოძრაობას და მოულოდნელად ჩერდება, რაღაც აფერხებს, აყოვნებს.

ვისზე გაიმარჯვა აქ ყმანვილმა კაცმა? ვისია მოხუცის თავი? შვილმა მამა მოკლა? შვილი გამარჯვებას ზეიმობს, მამაზე უპირატესობას აღწევს და მოულოდნელად ფერხდება? იქნებ გრძნობს თავის დანაშაულს და ამიტომ აქვს ასეთი მზერა – ცივი და გაუცხოებული?



მიქელანჯელოს მამა ოცნებობდა, რომ შვილი სამოქალაქო სამსახურში ჩამდგარიყო, ბავშვმა კი „დაბალი ფენების“ სამყაროში შესვლა – ხელოსნობა, არტისტობა გადაწყვიტა, არ დაემორჩიდა. 16 წლის ასაცში, როცა „მადონა კიბესთან“ და „კენტავრების ბრძოლა“ შექმნა, მამამ სასტიკად სცემა. მიქელანჯელო სახლიდან წავიდა – ქვას „დაესხა“ თავს და აიძულა, დამორჩილებოდა.

„თეატრალური არ გამაგონო, ხურუშიანი ხომ არ ხარ!“ – გამომიცხადა მამამ, როცა ოჯახში სერიოზულად დაისვა საკითხი, სად გამეგრძელებინა სწავლა. „ვგიკში არა, ბავშვი მოსკოვში სიფილის აიკიდებს“ – ბრძანა მამის მამამ. არადა, 1974 წელს, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტი



გაიხსნა. „მამების საბჭოს“ წინააღმდეგობა რომ არა, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარებდი და აღარ ავიკიდებდი არარეალიზებული კინორეჟისორის კომპლექსს, რომლისგანაც დღემდე ვერ გავთავისუფლებულვარ.

ჩემგან მიქელანჯელო არ გამოვიდა. მე მხოლოდ მისი იმიტაცია შევძელი ტელევიზიაში.

მე კი არა, ჩემზე უფრო თავისუფალმა ქეთინომაც ვერ მოახერხა. ქეთინოც ვერ გაუმკლავდა მამის მრისხანებას. საზოგადოებრივ აზრს შეენირა ყველაზე მშვენიერი, ყველაზე უდანაშაულო არსება. როგორი იყო ნეტავ? გოგო იყო თუ ბიჭი? ქეთინოსაციო შავყვითელა? ქერა?



ფოტომოთხოვბა ჩემი განვითარებული კურსები

დათო ზურაშვილი



ყოველთვის, როცა ახლო აღმოსავლეთში რაღაც ხდება (და ეს რაღაც ძალიან ჰგავს ომს), ჩემი მეგობარი ეტგარ კერეტი მახსენდება, რომელიც ისრაელში ცხოვრობს. ის მწერალია და მისი სახელი ისრაელში ყველამ იცის (ვისაც წიგნების კი-თვა უყვარს), მაგრამ ნებისმიერ ებრაელს, ვინც სადმე მხ-ვდება, აუცილებლად ვეკითხები ეტგარის შესახებ და როცა კერეტის ხსენებისას, მათ აშკარად უბრნებინდებათ მრავალ-ტანჯული ებრაული თვალები, მეც ბავშვივით მიხარია. თუმ-ცა დანამდვილებით ვიცი, რომ მისი მოთხოვების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და შეუძლებელია ის-რაელში ყველას მოსწონდეს ებრაელი მწერალი, რომელიც ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასეთი თავისუფალია. მაგრამ ისინიც კი, ვისაც აშინებს ან აღიზიანებს ეტგარ კერეტის თა-ვისუფლება, ღიმილის გარეშე მაინც ვერ კითხულობენ ეტგა-რის მოთხოვებს და ერთადერთი, რაც არავისოთვის არ არის საკამათო, მისი ნიჭია. ნიჭიერი ებრაელი, შეიძლება საერ-თოდ არ იყოს უცნაური მოვლენა, მაგრამ პირადად მაინც გამაკვირვა ამ ადამიანის უჩვეულო უნარმა – იყოს განსხ-ვავებული იმ სივრცეში, სადაც ყველაზე დოგმატური დამო-კიდებულებები არსებობს ფასეულობების მიმართ. ამიტომაც იქნებოდა (ალბათ ასეც იყო) შოკისმომგვრელი, ეტგარ კე-რეტის პირველი წიგნის გამოცემა ისრაელში, სადაც პალეს-ტინელს მხოლოდ მტერი ჰქვია და ყოველ მესამე ებრაელს გრძელი ავტომატი ჰყიდია აგიტაციით დამძიმებულ მხრებზე. ვინც იარაღს თან არ ატარებს, შინ ინახავს და ეტგარ კერეტი რომ არ გამეცნო, რასაკვირველია პალესტინელების მხარეს ვიქენებოდი, რადგან სიმართლე იმდენია, რამდენიც ადამია-ნი ამ გაუყოფელ მიწაზე და სულაც არ მინდა ვიყო ბრძენი სხვის ომში, თუკი მგონია რომ სხვისი ომი, უბრალოდ არ არსებობს...


ეტგარ კერეტი კი 2001 წელს გავიცანი ამერიკაში, სადაც მწერლების სემინარზე დაგვიანებით ჩამოვიდა, მაგრამ მა-შინვე დავმეგობრდით, რადგან მაშინვე მივხვდი რომ ასე-თი ახლობელი იქ, ოცდაათ მწერალს შორის, არავინ მყავდა. ცოლიც თან ჩამოიყვანა (მშვენიერი შილა – როგორც თვი-თონ ეძახდა ღიმილით) და ღიმილის გარეშე ეტგარ კერეტი, არც მინახავს. მხოლოდ ერთხელ ვნახე დასერიოზულებული და ისიც 11 სექტემბერს, დილით, როცა ყველანი გაგვაღვი-ძეს (მთელი სასტუმრო) და ტელევიზორები ჩაგვირთეს, რომ საკუთარი თვალით გვენახა როგორ უტევდნენ ტერორისტე-ბი ნიუ-იორკის ტყუპებს. სემინარის მონაწილეები ერთ სარ-

Two jets, two hours – then Twin Towers are gone



Villager photos by Lawrence White

Last Tuesday morning's terrorist attack leveled the 110-story World Trade Center towers in under two hours, an hour and 45 minutes to be exact. At 8:45 a.m., Tower 1, with the antenna on top, was hit. Eighteen minutes later, Tower 2 was hit. Tower 2 collapsed first (photos 3 and 4) in a huge cloud of dust and smoke around 10. A half hour later, the antenna on Tower 1 wobbled, then Tower 1 imploded downward (photos 5 and 6), the weight of the top floors "pancaking" onto those below. The world's former tallest building was a pile of rubble. Bottom left, looking south from Borough of Manhattan Community College, smoke was all that was left where the Trade Center once stood. Bottom right, shell-shocked onlookers couldn't believe their eyes.



თულზე ვცხოვრობდით და ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ დაუყონებლივ გავიყოფოდით და ევროპელები დავარბევდით აზიელებს ან პირიქით. ამიტომაც დერეფანში, ჩვენს ოთახებს შორის, რომელიდაც ამერიკული სპეცსამსახურის ხალხი ჩააყენეს და თვალს არ გვაძორებდნენ ეს ბრეე, კუნთმაგარი ადამიანები, სანამ ორგანიზატორები არ დავარწმუნეთ რომ ერთმანეთის დახოცვას ნამდვილად არ ვაპირებდით. (ორგანიზატორებთან მოსალაპარაკებლად ებრაელი ეტგარი და პალესტინელი პოეტი ჰასან ზაქატანი ერთად გავგზავნეთ და ამ ილეთმა, როგორც ჩანს, ამერიკელებზეც კი გაჭრა). საღამოსკენ სპეცსამსახურის ხალხი ჩვენი სასტუმროს დერეფანში ალარ იყო და ამოვისუნთქეთ, მაგრამ ნიუ-იორკში მომხდარი

საშინელების გამო, ჩვენი სემინარის ენერგიაც შეიცვალა და მხიარული მწერალიც აიოვაში ძნელი სანახავი გახდა. ეტგარ კერეტმაც მოიწყინა და გაღმებული მხოლოდ ერთი კვირის თავზე ვნახე, როცა გაზიეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ მისი მოთხოვების შესახებ კრიტიკული წერილი დაიბეჭდა.

ჩვენი მსაპინძლები, გამთენისას, კარების ლრიფოში, ძირითად ამერიკულ პრესას შემოგვიცურებდნენ ხოლმე და „ნიუ-იორკ თაიმსის“ ის ნომერი უკვე დილით მქონდა ნაკითხული, მაგრამ ჩემს ებრაელ მეგობარს არაფერი ვუთხარი, არ ეწყინოს-მეთქი და გაზიეთიც მონდომებით დავკეცე. რომ გავიფიქრე, იქნებ ვერც შეამჩნიოს-მეთქი, თვითონ მომიკაკუნა და სიცილით მითხრა – ნახე ამერიკელები როგორ მლანძღვენო



და ჩემს ოთახში, გაშლილი გაზეთით ხელში, მშვენიერ შილას შემოუძლვა. მშვენიერი შილაც ისე იცინოდა, რომ აბსოლუტურად დარწმუნებული იყო ქმრის გენიალურობაში, მაგრამ გენიალური ეტგარ კერეტიც ადამიანია და ამიტომ მაინც გამაკვირვა ეტგარის რეაქციამ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ წერილზე, სადაც მას სინამდვილეში კა არ აკრიტიკებდნენ, უბრალოდ ლანდლავდნენ. ლანდლავდნენ ალბათ იმის გამო, რაც მან 11 სექტემბრის შემდეგ, სპეციალურად ამ საშინელი ტერაქტისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე თქვა. მან გულწრფელად თქვა ის, რასაც ფიქრობდა – ტერორისტების მიერ გატაცებულ არცერთ თვითმფრინავში, ამდენ ამერიკელს შორის, არ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ თავდამსხმელებს, რომლებსაც თან პატარა ჯაყვების გარდა, არაფერი ჰქონდათ. ჩვენთანო, ისრაელში, ყოველ მესამე გაჩერებაზე, კბილებამდე შეიარაღებული ტერორისტი ამოდის ავტობუსში, მაგრამ იმ ტერორისტისთვის წინააღმდეგობის განევაში, მძლლები და მგზავრები, ერთმანეთს ეცილებიანო. ალბათ გამოცდილების ბრალიაო, - ბოლოს კი დაამატა ეტგარმა, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა, რადგან კერეტის შემდეგ მილეტა პროდანოვიჩი გამოვიდა სიტყვით და ბელგრადის დაბომბვაზე ისაუბრა. ამერიკელები სერბებს სამოცდათვრამეტი დღის მანზილზე ბომბავდნენ და ახლა მაინც ხომ ეცოდინებათ საპარაზო თავდასხმა რას ნიშნავს. პროდანოვიჩის შემდეგ ვიეტნამელმა მწერალმა ითხოვა სიტყვა, მაგრამ კონფერენციის ორგანიზატორებმა

შესვენება გამოაცხადეს და შესვენების შემდეგ კი ზრდილობიანად მოგვიბოდიშეს — კონფერენცია გაურკვეველი ვადით გადაიდოო და მართლებიც იყვნენ. ვიეტნამელს რომ იმის შესახებ მოეთხოო, რასაც ამერიკელები ვიეტნამში კადრულობდნენ, კონფერენციის მიწურულს ალბათ რეზოლუციის მიღება დაგვჭირდებოდა, ბინ ლადენის მხარდასაჭერად..

პოლიტიკურ თემებზე, იმ დღის შემდეგ, კონფერენცია ალარც მოუწვევიათ და პოლიტიკის შესახებ, საერთოდ ალარც უკითხავთ რამე რომელიმე ჩვენთაგანისთვის. სემინარიც ჩვეული რიტმით გაგრძელდა, მაგრამ ამერიკელებმა ეტგარ კერეტს მაინც არ აპატიეს ის, რაც სერბ ან ვიეტნამელ მწერალს შეეძლო ეთქვა, მაგრამ არა ებრაელს, რადგან ეტგარი ისრაელს წარმოადგენდა — ქვეყანას, რომელსაც ამერიკელები დედობრივი მზრუნველობით ეხმარებოდნენ და კერეტიც ამიტომ დასაჯეს. თუმცა ისეთი მწერლისთვის, როგორიც ეტგარ კერეტია, კრიტიკოსების (და მითუმეტეს ამერიკელი კრიტიკოსების) უარყოფითი აზრი, შესაძლოა სულაც არ მოქმედებდეს მის წიგნებზე უარყოფითად (ან დადებითად), რადგან დარწმუნებული ვარ რომ ეტგარისთვის მთავარი მაინც მკითხველია და არა კრიტიკოსი. მკითხველები კი მას ძალიან ბევრი ჰყავს და მისი წიგნები, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, რეკორდული ტირაჟებით გამოდის. მისი წიგნები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და ამ წიგნებს ყველგან კითხულობენ, რადგან მისი გმირები და პერსონაჟები ყველგან ცხოვრობენ, ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერი


მკითხველიც, ეტგარ კერეტის მოთხოვებში, სწორედ იმ ადამიანებს პოულობენ, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, მაგრამ მათ არსებობას, უბრალოდ ვერ ვამჩნევთ. მნერალიც, ალბათ იმ ადამიანს ჰქვია, ვისაც უზილავის დანახვა შეუძლია და შეუძლია ისეთი სამყაროს შექმნა და აღმოჩენაც, რომელიც რეალურზე დამაჯერებელია, უფრო კეთილია და ლამაზი..

ეტგარ კერეტის საიდუმლოც, შეიძლება სწორედ სიყვარულია, რომელსაც მეოთხელი ადვილად გრძნობს, რადგან ეტგარ კერეტს იმდენად უყვარს თავისი მოთხოვების გმირები — ადამიანები, ვის შესახებაც წერს, რომ მათ რეალურ არსებობაში მკითხველსაც ეჭვი არ ეპარება და მკითხველიც იჯერებს, რომ მნერლის მიერ მოგონილი ამბავი თუ პერსონაჟი უფრო ჰგავს სინამდვილეს, ვიდრე სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ..

სალამობით, სემინარებისაგან თავისუფალ დროს, როცა სადმე ვსხდებოდით ხოლმე ჭიქებით ხელში, ეტგარ კერეტი ისეთი სიყვარულით ყვებოდა (ერთი შეხედვით დაუკერებელ ისტორიებს), რომ ძალიან, ძალიან მომინდა მისი წიგნების წაკითხვა და როცა წავიკითხე, აღმოვაჩინე რომ ეტგარ კერეტს, ბავშვობიდან ვიცნობ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში დავიბადეთ და გავიზარდეთ და ამერიკამდე ერთმანეთს არასოდეს შექვედრივართ. ისიც აღმოვაჩინე, რომ ეტგარ კერეტი სწორედ ისე წერს, როგორც მე მინდა რომ ვწერდე. მინდა, რომ ეტგარივით ნიჭიერი ვიყო და ომი ისრაელსა და პალესტინას შორის მაღლე დამთავრდეს..

თუმცა ომი, რომელსაც ომს არ ეძახიან, ისევ გრძელდება და ყოველთვის, როცა ახლო აღმოსავლეთში რაღაც ხდება (და ეს რაღაც ძალიან ჰგავს ომს), ჩემი მეგობარი მახსენდება, რომელიც ისრაელში ცხოვრობს. მას ეტგარ კერეტი ჰქვია და ასეთი კარგი ადამიანი, მართლა იშვიათად შემხვედრია.

კარგი ქვეყანა კი ის არის, სადაც კარგი მნერლები ცხოვრობენ..



დონორმოლი თანამედროვე საპილა საშუალება გადამზადების უძრავი გარება?

მილი - საცისალო მიმდინარეობა ფიზიოლოგიური მდგრადირება

ძილი ადამიანის ორ სახაზისო მფლობელობას შორის
ერთ-ერთი მნერლებია ფიზიოლოგიური ფარავა:
ადამიანი ცხოვრობის 1/3-ს ძილში ატარებს.
ძილის ფროს ნივთიერებათა ცვლის პირის პირობების
მიღებათა სასიცოცხლო ძალას 1 ლიტრისად.
ძილის ფარავას სომატურ დაზაფარებათა ფა
ფსიქიკურ აზლილობათა რიცხვითობა.

მილის დარღვევის მიზანება

- სტაციული მფლობელობა
(გამოცდაზე, მნერლების ცვლილებაზე ცხოვრობის მიზანი)



- ძილის ფროს აზლიკი მოპროცესები
(ფარავის მოვალეობის სიცდომი)
- ფარავის მნერლები (წოვაზე, ნეობიზე,
ჰიდროზე)
- სომატური დაზაფარება (ფარავის დაზაფარება,
პიროვნეული ასოს, თირაობობის დაზაფარება)
- ფარავის დარღვევის რიცხვითობა



- ფარავის აზლილობის დაზაფარება

უპილაშის აროგანება

- ადამიანის 95%-ს გააჩნია
ძილთან დაკავშირებული პირობები
- 36%-თვის უპილობა ერთობზე
ცხოვრობისას უძრავი პირობები



უპილობა პაციენტებს შორის განვითარება, თავად
შესაძლოა მისი ეფექტური გარემონტი. ხილის მიზანი
შესაძლებელი ფა შესაძლებელ გარემონტის
არადამატებულია.

დონორმოლი - თანამედროვე საპილა საშუალება

- ფორმოლიფით მარავალობის ფროს ძილი დაზაფარება
ფიზიოლოგიურ სახეს და აუცილებელ გასცევის პირობები

- არ ახასიათებს ფარავის მნერლები და აუცილებელ გასცევის უძრავი გარება

- ძილის ფარავის მნერლები მდგრადი ფროს გადამზადების უძრავი გარება
- რავობაზე არ აუცილებელი და აუცილებელი გადამზადები
- უპილობა ფროს, როგორც ცხვარი
ეფექტური ფა უძრავი გადამზადების უძრავი გარება



მილი - საცისალო მიმდინარეობა

სახელი
მოწოდები

ნარმობილებით



სირიალი

ჩინელი ანუ ინატრე რამე

ავტორი: ანა-ქორქაძე სამაღაშვილი ფოტო: ლივან ხელსეულიძე, ლავით გასხი, ნიკო ტარიელაშვილი მონაწილეობით: ლიზა
- ნისტან ნიშარძე, გაგა- ზურაბ ალავერდაშვილი, მარიშვა - ნატალია მაჯაგალაძე, მარსი - ბიორბი ლიფონავა

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია.
ურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.



ლიზა

ლიზა – სწორედ იმდენი წლისა, რამდენისასაც ჰქონდა. განათლებით ფოტო-, ხელოვნებათ- თუ რა-ლაცმცოდნე – დანამდვილებით უცნობია და, კაცმა რომ თქვას, უმნიშვნელოც. უყვარს ფული და და-რწმუნებულია, რომ ოდესმე აუცილებლად გამდი-დრდება.




გაგა

გაგა – ფრიად ახალგაზრდა, დაუდგენელი პრო-ფესიის ადამიანი. უყვარს ქალები და ქალებსაც უყვართ ხოლმე, ცოტ-ცოტა ხნით. ყოველთვის ყვე-ლაფერი ეზარება და, ყველა სიკეთესთან ერთად, საშინელი პესიმისტია.

დასაწყისი

ძალიან ლამაზია ხოლმე საყელომოფლაშუ-ლი სვიტერი, რომელზეც ქურთუების ბუბულია აკრული და ქალს საქათმეში ნახმარს ამსგავსებს; ოდესლაც თავმოსაწონი, ახლა კი აქერცლილი ფეხსაცმელი – კაცი იფიქრებს, ფეხბურთი ითა-მაშაო; გრძელი კაბით დაფარული, მცოდნე თვა-ლისთვის კი აუცილებლად ხილული თვალწასული წინდა და, რასაცირველია, გაჩერილი თმა, რომ ცოტა გიუის იერიც გქონდეს – ნონკონფორმიზმი და მსგავსი ჭკვიანური ამბები არაფერ შეუძია: იმ საღამოს „აპოლონიაში“ მჯდომი ელისაბედი, ახ-ლობლებისთვის – ლიზა, რომელსაც ერთი თვის წინ დასრულებოდა, მისი აზრით, უკანასკნელი თავდავიწყებული რომანი, და იმის გამო, რომ გა-დაწყვეტილი ჰქონდა, რომანთან ერთად ყველაფე-რი დამთავრდაო, მხოლოდ ჩვევის გამო იცვლიდა საცვალს, ჩვევის გამო იხეხავდა კბილებს და არც თავისი საცხოვრებლისა თუ აზრების დაღაგებით შეუწუხებია თავი – რაა, რო... იჯდა ლიზა კაფეში და ოდესლაც საყვარელთან, ფოტოგრაფ გაგასთან ერთად ბოლო, არცთუ სართიანი გარიგებიდან მორჩენილით, არაყს სვამდა და მწვანე ჩაის აყოლებდა, თან ზუსტად იცოდა – არც სასმელი ეყოფო-დათ და არც ფული, და თავის ექს-კომუნალკაში დაბრუნებულს, დილანდელი ყიყლიყოსა და ნიუტონის ქალების გარემოცვაში უნდა ეტირა, არა უფულობისა თუ მიუღებელი საზოგადოების, მოახლოებული სიბერისა და დიდი მარტოობის, არამედ იმის გამო, რომ სხვა რა ექნა, არ იცოდა.



VIDEO



AUDIO

კერჯერობით კი გაგა და ლიზა არაყს სვამდნენ და ჩაის აყოლებდნენ, და გაგა ოცნებობდა.

— მინდა ორი ცოლი. ერთი ქერა და ერთი შავი. წარმოიდგინე: მივდივარ სახლში და ეს ორი რაღაცას ბლატაობს. დავარტყამ მუშტს...

— არ დალენო.

— მოიცა. დავარტყამ მუშტს და: «Кто в доме хозяин!»

— ერთს ხომ მაგრად უბრახუნებ...

— რა, არა?

— მოიცა, რა.

— მოიცა, რა, არა?

— დალენავ და შენ გადაიხდი.

გაგა დასევდიანდა.

— წამოვალ, რა, შენთან?

— მოიცა, რა. — გაგალა მაკლდა, ფიქრობდა ლიზა. გაგა და მისი ისტერიჩა ცოლი. უჟ, ეს რა გაახსენდა! ჩამოასხა. — სიკვდილივით ხარ, რა. როცა გელოდი, ერთხელაც არ მოხვედი, მაინცდამაინც ახლა გამოხტი, სულ რომ არ მიხარია შენი დანახვა. ხომ ვამბობ, სიკვდილივით ხარ. კაცი-ვიპრატორი. — აკრიფა ლიზამ! — რა ხეირი შენგან, ბლიად, არყის ფულიც არ გაქვს, ორი წელი გეხვეწე, ყვავილი მაინც მაჩუქე, ბლიად, მაინცდამაინც საფლავზე უნდა მოიტანო? არა! მაცა-დე, ვთქვა!

— მიდი, დალიე!

— აბა, შენ ხომ არ დაგიტოვებ!

— ჰოდა, დალიე!

— გაგვიმარჯოს.

ცუდადაა ჩემი საქმე, ფიქრობდა ლიზა. რაღა დროს გა-გაა.

— გავიდეთ?

— მეც მოვდივარ?

— აბა, რჩები?

გაგა ამაყად გორავდა ტახტზე და ხანდახან კემაყოფილი გახედავდა ხოლმე ძველი დიდების ნაშტში, დიდ სარკეში თა-ვის ანარეკლს. თავის დროზე ლიზასთვის ისეთი სისულე-ლე ჰქონდა ნათქვამი, უარესი რომ არ შეიძლება, და ლიზა უშვილობას სულ ამას აპრალებდა: წოლისას სარკეში თუ ირეკლები, ბავშვი არ ისახებაო, ფენშუი თუ რაღაც მსგავსი უბედურება. მაგრამ სარკე იქ საიმედოდ იდგა და ტახტიც მძიმე იყო და თუმცა ლიზა ჯანს არ უჩიოდა, მათი გადაჩო-ჩებ-გადმოჩოჩება ძალიან ეზარებოდა.

გაგა იწვა და მსჯელობდა.

— კარგი გოგო ხარ, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რატომ და-ვდივარ შენთან. თმა — მოუწესრიგებელი, ფეხები — გალუნუ-ლი, ლექსიკა — საზიზლარი...

— მთავარი დაგავიწყდა: ცელულიტის სტადია „ა“.

— რაა?

— არაფერი, განაგრძე, მაგრად მსიამოვნებს. და კიდევ გა-გრითავ სამსახურს.

— გაჩერდი!

— ვაი? რატომ?

— იმიტომ, რომ მწყინს.

— რას ამბობ!

ისე, გაგას მართლა სწყინდა ხოლმე, საწყალს.

პრინციპში, გაგა კარგი ბიჭი იყო, ცოტა აუტანელი, მაგრამ

AUDIO

ყველაფერი შედარებითია. ლიზას მისი ყვავილები და არყოს ფული ათასი წელი არ სჭირდებოდა და არც გაგას გამოსვლები უკლავდა გულს – გაერთოს ბავშვი, თავისი გასჭირვებია. ახლა – განსაკუთრებით.

თურმე, გაგაკოს დიდი უბედურება იმ დილით დაიწყო, რომ მისმა ლამაზმა ცოლმა სახლში ერთი ჭრელი, პრიალა უურნალი მიიტანა – ასეთებს სულ ეზიდებოდა, კროსვორდებს ხსნიდა და ჰოროსკოპებს კითხულობდა ხოლმე.

– ძაან ინტელექტუალი გყავს.

– გველო.

ამჯერად ირინას მოყვითალო პრესით გატაცება საპრალო გაგასთვის საბედისწერო გამომდგარა. რა დასამალია და იმ ჭერქვეშ არც მანამდე ყოფილა დიდი სიამტკბილობა. ლიზა ვერაფრით ვერ ხვდებოდა, საერთოდ, რა პრინციპით შეულლდა ეს ორი ადამიანი, მაგრამ ახლა რა პრინციპით თანაცხოვრობდნენ – ეს ზუსტად იცოდა: გაგა კარგი კაცი იყო, თვინიერი. მისი ცოლი, თავისი მძალე ხასიათის გადამკიდე, უკეთესს ვერასოდეს იშოვიდა, გაგა კი ხვდებოდა, რომ სხვა ნალდად ვერავინ გაუძლებდა – მეტისმეტად უთავბოლო არსება იყო. სახლში ტრიპერის გარდა, არასოდეს არაფერი შეუტანია, ლიზას აქამდეც ასჯერ ეყოლებოდა კიბეზე დაგორებული.

იმ წყეულ უურნალში, ათასგვარ სისულელესთან ერთად, ერთი დაჭყანული ქანდაკება იყო დაბეჭდილი. ქვეშ ეწერა: „გაზეთი „საუტ ჩაინა მორნინგ პოსტი“ იუნიება, რომ ჩინური ფაიფურისთვის სარეკორდო თანხად – 5,7 მილიონ ამერიკულ დოლარად – ჰონგკონგის აუქციონზე გაიყიდა ძველებური ფიგურა, ბედნიერების ღმერთის, ხოტეის გამოსახულება. ის დამზადებული იყო მანჯურიის დინასტია ციინის (1644-1911 წ.წ.) იმპერატორ ციიანლუნის მმართველობის დროს (1739-1799 წ.წ.). ნაზი ცისფერი ფაიფურისგან დამზადებული ფიგურა ლონდონელმა კოლექციონერმა შეიძინა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა. ვარაუდობენ, რომ იგივე პიროვნება ფლობს გაყიდული ხოტეის ვარდისფერ ტყუპისალს, რომლის კვალიც 1945 წელს, დრეზდენში დაიკარგა“.

– მერე, ირინოჩასაც მოუნდა ხუთმილიონიანი ნეცკე? და დარიშხანი ვენაში?

– ჰერნდა, ბლიად, ის ნეცკე! დრეზდენელი. არ დაკარგულა. დრეზდენიდან ბაბუაჩემმა წამოილო, ომის დროს, საშამ, ძალი დააკვდა სულში!

– რაა?

– მქონდა-მეტქი! ვარდისფერი. იდგა პიანინოზე, იკრიჭებოდა. მე კიდე მარიშკას ვაჩუქე და ირას ვუთხარი, გატყდა-მეტქი და მაშინ სულ ეკიდა და ახლა სულ უოპარუკი მიძახა და წამოვედი.

ლიზა ჩამოჯდა.

– ჩვენს მარიშკა?

– ჰო.

– პატარას?

– ჰო.

– უთხარი შენს ცოლს, რომ მარიშკას აჩუქე?

– არა, გიურ ვარ?

– ვინმეს უთხარი?

– შენ.

– კიდე?

– შენ-მეტქი.

– ხუთი მილიონი!

– Yes!

VIDEO



VIDEO



მარიშკა

მარიშკა – ნორჩი, მხიარული არსება, რომელმაც ზუსტად იცის, რაც უნდა: მოგზაურობა, ბევრი ფული და დიდი სიყვარული – ეს უკანასკნელი ისე, დამატების სახით.



AUDIO

- ვაი, შე უბედურო!
- ჰო, რა ვქნა ახლა!
- აჩუქე, ხომ? შე უბედურო! მარიშკას! ლაწირაკა!
- ჰა, მორჩი!
- რა – მორჩი? ხუთი მილიონი! მარიშკას! შე ბოზო!
- ეჭვიანობ, ელო?
- განი ხელი! აქ რას მიზიხარ, ბლიად! სადაა მარიშკა?
- მგონი, რიგაში.
- მერე? იალა რიგაში! ვაი, გაგა, შე უბედურო!

ორო, მარიშკა!

– „ხოტეი, ერთ-ერთი ბედნიერების შვიდ ღმერთაგან, ურთიერთობის, მხიარულების და კეთილდღეობის ღმერთი. ის განსაზღვრავს ადამიანთა ბედ-ილბალს და ოცნებებს ას-რულებს. ამბობენ, თუ ხოტეის ფიგურას მუცელზე სამასჯერ მოუსვამ ხელს და კარგ რამეზე იყიქრებ, ჩანაფიქრი აუცილებლად შეგისრულდებაო“. მაშ, ასე, ჩემო ლამაზო, ჯერ სამას-სამასჯერ მოვუსვამთ მუცელზე ხელს და დანარჩენზე მერე ვიფიქრებთ.

- ჯერ მუცლამდე მივიდეთ.
- ეგეც მართალია.

შერიგების აღსანიშნავად, გაგამ ჯიბეზე ხელი გაიკრა, უფრო სწორად, მინიმარკეტის ლიკასთან დაიდო ვალი, რომელთანაც ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა კიდეც – ეგონა, რომ ჩუმ-ჩუმად, თორებ ის ლიკა და ლიზა ხშირად არჩევდნენ ხოლმე მისი სქესობრივი ქცევის თავისებურებებს. თავიდან ლიზა, ცოტა არ იყოს, ბრაზობდა, მერე კი ჩათვალა, რომ ლიკასთან მოგორავე კაცის გამო ლელვა არ ლირდა, გორავს და იგოროს, რა ვქნა...

ახლა გაგა სამზარეულოში ფუსფუსებდა. საწყალი, ერბოკვერცხის შეწვას და სალათის გაკეთებას ცდილობდა, საეჭვო ფერისა და წარმოშობის პომიდორს კანს აცლიდა.

– რას წუნაობ? – ლიზა, ენციკლოპედიის უზარმაზარი ტომით ხელში, სავარძელში იჯდა და გაგას ხელსაც უშლიდა და ნერვებსაც.

- ნაღვლის ბუშტს ურტყამს.
- აა. „ფშენიჩნაია“ უზდება. პამიდორი რამ გაყიდინა?
- მოდი, ეგ სავარძელი ოთახში გავიტანოთ, ჰა?
- რატომ? ხომ გემრიელად ზიხარ ხოლმე? ჩემო ლამაზო. მისმინე: „ხოტეი კონკრეტული პერსონაჟია, რომელიც ჩინეთში მეათე საუკუნეში ცხოვრობდა: პატარა, მსუქანი ბერი, სახელად ცი ცი, რომელიც დიდი ტილოს ტომრითა და კრიალოსნით სოფელ-სოფელ დადიოდა. ლეგენდის თანახმად, სადაც ის ჩნდებოდა, ადამიანებს წარმატება ეწვეოდათ ხოლმე, ჯანმრთელები იყვნენ და მდიდრები“.

- რალა ჩემთან ვერ ივარგა.
- რა გინდა, მარიშკა ხომ კარგი იყო, შე დამპალო.
- ჰო, – დაეთანხმა გაგა.
- ლიზამ რალაცა ჩაიბურდლუნა და განაგრძო:
- „თუ ვინმე ჰკითხავდა, ტომარაში რა გაქვსო, ის პასუხობდა: მთელი სამყარო“. ხუთი მილიონი. ჩემი კაი.
- მეტი.
- არა, გადასახადები?
- დაგვპეგრავენ?
- აბა, რა?

AUDIO

- საიდან გაიგებენ, რომ გვაქვს?
- ის ფული, რა, მუთაქაში უნდა შეინახო?
- ომ.

გეგმა მარტივი იყო:

1. ვიპოვოთ მარიშკა.
2. წამოვიღოთ ხოტეი.
3. ვიპოვოთ ლონდონელი კოლექციონერი.
4. გაყიდოთ ხოტეი.
5. ფული დავამლეროთ.

ეს უკანასკნელი პუნქტი ყველაზე სასიამოვნო განსახილ-ველი იყო, გაგამ სწორედ ამ თემის გავრცობა გადაწყვიტა, მაგრამ არ გაახარეს: ელისაბედი პრაქტიკული ქალი ბრძან-დებოდა და უმალვე ახსნა, რომ გრძელი გზა პირველი ნაბი-ჯით იწყება, ანუ მარიშკათი.

ქვეთავი მათ საყურადღებოდ, ვიც მარიშკას არ ისტორია:

მიუხედავად იმისა, რომ ლიზა თავის ყოფილ პადრუგას სულ შტერად და კიდევ რაღაც-რაღაცებებად იხსენიებდა – როცა საქმე ვინმექს ლანძღვას ეხებოდა, ფაშისტური გამოს-ვლებისაც აღარ ერიდებოდა და წინაპართა ეროვნებასა და ვინაობასაც კი გადაწყვიტოდა ხოლმე – ეს ჩვენი მარიშკა არანაირად არ იყო შტერი, – სულ პირიქით, და მისი გონიერი-ვი შესაძლებლობები არც იყო ლიზას სალაპარაკო, ლიზასგან განსხვავებით, საბოლოოდ მშვენივრად უშველა თავს.


მარიშკას უფროსი ძმა, ერთი შეხედვით, უაღრესად რესპე-ქტაბელური ახალგაზრდა, ჯადოქარი იყო, მჩხიბავი თუ შევი მაგით გატაცებული თუ რაღაცა მსგავსი უბედურება, ზუს-ტად ეს არავინ იცოდა და დღეს ჭეშმარიტებას, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ველარ გამოვიკვლევთ, რადგან გერას – ლიზამ ისიც არ იცოდა, სინამდვილეში რა ერქვა ამ ოქროს, გერმანი, გერონტი, პერპერტი თუ რა – თავისი გატაცება ძვირად დაუჯდა: გაგიუდა და უკანასკნელი ჭორების თანახ-მად, სადაც კრასნოდარის ფსიქო-ნევროლოგიურ კლინიკა-ში იჯდა, ცივ და ბნელ თახში.

ლიზას გაგიუებულ-გაუბედურებული გერა წამითაც არ შესცოდებია, რადგან ოდესლაც, მარიშკას მთლად ყმაწვილ-ქალობის დროს, ის დაიკოს მედიუმად იყენებდა, ჩვენი ლა-მაზი ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში არსებულ ტბასთან, საესმითვარობაზე დაათრევდა ხოლმე და თავისნაირ ბნელ ტიპებთან ერთად, რაღაცებს აკეთებინებდა, რას - არ ვი-ცით. იმ შავ ტბაზე კარგი რომ არაფერი ხდებოდა, ლიზა დარწმუნებული იყო, რადგან ყოველი ასეთი გასვლის მერე, მარიშკა ჩიოდა ხოლმე, სულ ობობის ქსელები მელანდება და რაღაც ჩრდილები დამდევენო.

ააა! ლიზას მსგავსი ჯადო-მადოებისა ძალიან, საშინლად, პათოლოგიურად ეშინოდა.

მარიშკამ თავს სრულიად შემთხვევით უშველა – ლიზას საყვარელ, ცისფერთვალა მევიოლინესთან მიხედა საქმეს, მაინცდამანც ლიზას დივანზე, და რადგან ამის შემდეგ მე-დიუმად აღარ ვარგოდა, გერამ ერთი ძალიან მაგრად ცემა და სახლიდან გააგდო, რის შედეგადაც ლიზავეტა უბედური იძულებული გახდა, სკანდალით გაძევებული საყვარლის ად-გილი, ანუ ტახტი, მარიშკასთვის დაეთმო და პატარა გოგო-ზე ეზრუნა კიდეც. მართალია, ამით ერთი გამარჯვება ნამდ-ვილად მოიპოვა – მევიოლინე გააცოფა, მაგრამ თვითონაც

VIDEO



VIDEO



მაქსი

მაქსი – დაუდგენელი ეროვნების არსება, გაურკვეველი ასაკისა, რომელსაც მხოლოდ სიხარული მოაქვს, მეტი ვერაფერი.

AUDIO

ძალიან გამწარდა: მარიშკასთან ერთად ცხოვრება ლიზას-თვის ბევრი ვერაფერი სიხარული იყო, და იმ ცისფერთვალა ბიჭთან მშვენივრად გრძნობდა ხოლმე თავს. ჯანდაბა მარიშკას.

მაგრამ არა უშავს. არც თავად ლიზა იყო ქართული ზნეობის დედა, ერთი-ორი ტალახიანი საქმე თვითონაც ჰქონდა ჩადენილი, ამიტომ მოღალატე მუსიკისი იოლად დაივიწყა და სწორედ იმხანად გადაეყარა გაგას. და თურმე ეს დამპალიც მარიშკასთან დაეთრეოდა! გაგა, შე დამპალო!

კაი, დავუბრუნდეთ მარიშკას. იმის მერე, რაც მრავალი ბინა და მრავალი ფიტნეს კლუბი მოიარა – აერობიკის მასწავლებელი იყო (მეტი მაინც არაფერში ვარგაო, სისინებდა ლიზა, რომელიც თვითონ აერობიკაშიც არ ვარგოდა, მარჯვენა მუხლში რაღაცა ჩაწყვეტილი ჰქონდა და მონმენდილ ცაზე უვარდებოდა ხოლმე), იმის მერე, რაც წმინდა ნიკოლოზის ხატზე დაიფიცა, ერთი წელი არაფერს დავლევო, და იმის მერე, რაც საქმროდ წოდებულმა მამრმა 7 კილოიანი სიამის კატა გაულახა – თვითონ მარიშკას ვერ დაეწია, ცქვიტი გოგო იყო და გაასწრო, – მარიშკამ ლიზას კარში ბარათი გაარჭო, წავედი მეო, და წავიდა. სადღაც. როგორც ახლა გაირკავა, რიგაში. ლანწირაკი უძახე და – აჲა! დამპალ მარიშკას ეს დამპლი გაგასთვის უთქვამს. გაგასთვის, ლიზასთვის – არა! ო, გაგა, შე დამპალო! ვერ გამოითხე, კონკრეტულად სად და ვისთან მიეთრეოდა? სად ვიპოვო ახლა მარიშკა?

- ვინ გვყავს, ჩემო სიცოცხლე, რიგაში?
- არავინ, – ანუგეშა გაგამ.

ცუდია, იფიქრა ლიზამ. ძალიან ცუდია. მოიცა!

- მაქსიმა სადაა?

– მინაში. – უპასუხა მშვიდად გაგამ. ამჯერად სავარძელში ის იჯდა და დანაყრებული და ჩამთბარი, ტკბილი ძილის მოლლინში, ჩინებულად გრძნობდა თავს.

გაგას არ უნდოდა მარიშკას ძებნა, გაგას უნდოდა სითბო და სინაზე, მაგრამ ლიზა ხომ უფასოდ არაფერს აღირსებდა... ახლაც სულ ტყუილ-უბრალოდ უშლიდა ნერვებს: რა ხოტეი, რა რიგა, შე საწყალო ლიზა.

მაინც რა სულელი გოგოა, ფიქრობდა გაგა.

- მოკვდა მაქსიმა.
- არ გადამრიო! რატომ?

რაღა რატომ?

თუკი მაქსს არ იცნობდით

თქვენ არ იცნობდით მაქსიმას? მაქსს, მაქსიმუმს, ოქროს ბიჭს ყველა იცნობდა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა თბილისში, გოგირდის აბანოებში დადიოდა და გაგა სულ დასცინდა, ბოროტი, აღა მაჲმად ხანსაც ეგონა, გოგირდი მიშველისო, მაგრამ მაგ საქმეს უკვე არაფერი ეშველებაო.

იმ ავადსახსენებელი წლის ზამთარში, როცა ჩერნობილი აფეთქდა, მაქსმა იმხანად ჯერ კიდევ ნორჩისა და მხიარულ ლიზას უკმბო, რომ სადღაც, ჯანდაბაში, ბალტიისპირეთის რუს მიწაზე, ერთი სახლი ეგულებოდა, ძველი, ნესტიანი და დამპალი, და რომ ამ სახლის ყიდვა უნდოდა, მოახლოებული სიბერის მშვიდად გასატარებლად – ოცდაათს გადაცილებული იყო და ძალიან დელავდა.

მაქსიმა, საბჭოთა კავშირის სექსუალური რევოლუციის პიონერი, ვერასოდეს ვერაფერს იყიდდა, თავი მძივების აც-

AUDIO

მით გაჰქონდა და სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა ქალებთან თანაცხოვრებით გადიოდა ფონს – აჭმევდნენ, ასმევდნენ და სადმე აძინებდნენ ხოლმე. თუმცა ვერ ვიტყვით, მაქსი ქალებს ჩაგრავდაო – პირიქით, იმის უმადური არავინ დარჩენილა, თბილი, ალერსიანი კაცი იყო, თან ხელმარჯვე, აგერ, ლიზასაც კი მოუხატა ჭერი – ნათურის ირგვლივ მერცხლები მაქსის ნახელავი იყო, და ლიზას მაქსი სულ აგონდებოდა: თუ კარგ გუნებაზე იყო, გაღვიძებული გულით ლოცავდა ხოლმე, შენ გაიხარე, მაქსო, თუ გაჯავრებული ახედავდა, ათასგვარ ოხრობას უსურვებდა – მოკლედ, დღე არ გასულა, გულალმა მწოლ ლიზას მაქსი არ ეხსენებინა, ხან ისე, ხან ასე...

მერე მაქსი გაქრა, რაც არავის გაკვირვებია, მაგრამ ისეთი დაბრუნდა, რომ ყველა გაოგნებული დარჩა: დაგრეხილი თითებით, უზარმაზარი სათვალით, გამხდარი-გამხდარი. მაქსმა ორი დღე რეაქტორთან იმუშავა, ჩერნობილში, ფული აიღო, სახლი იყიდა და სულ მალე აღმოაჩინა, რომ სახლი აღარ უნდოდა, აღარც ქალი უნდოდა, აღარც მძივების აცმა შეეძლო და აღარც ჩიტების ხატვა. მაქსმა სახლი გამოკეტა და კვლავ გზას გაუდგა, იმ იმედით, რომ გზაში მოკვდებოდა და არა ბალტიისპირეთის რუს მიწაზე, ძველ, ნესტიან და დამპალ სახლში.

მას მერე კიდევ დიდხანს იარა და ლიზას აზრადაც არ მოსვლია, რომ ბოლო შეხვედრის შემდეგ, მრავალი წელი გავიდა და ახლა თვითონ იყო იმ ასაკში, როცა სიბერის შიშით შეპყრობილი მაქსიმა აქ, ამ ოთახში, ამ მაგიდაზე შემოდგმულ სკამზე მდგომი, მერცხლებს ხატავდა და თავისი საოცნებო თავშესაფრის შესახებ ყვებოდა.

– ძალიან მეცოდება, – თქვა ლიზამ. – ძალიან. ნათელი დაადგეს. მე ძალიან მიყვარდა მაქსიმა.

– მეც. მოდი, კიდევ ერთ ბოთლს ამოვიტან, ჰა? ან, თუ გინდა, შენ ამოიტანე.

მაინც რა ღორი ხარ, იფიქრა ლიზამ.

– კაი. იჯექი.

... დიდძალი არყის ბრალი იყო თუ რისა, ძნელი სათქმელია, მაგრამ სალამო შედგა და გაგას ფშვენა-ხვრენის მიუხედავად, ლიზას ტკბილად, ტკბილად ჩაეძინა.

მაგრამ სულ ცოტა ხნით.

– ბებოები! – აბდავლდა გაგა. – ბაბუშკინები! აეეე!

ლიზა წამოხტა და შუქი აანთო.

– რა ბებოები? – ლიზამ გამხეცებაც ვერ შეძლო, ძალიან დაფრთხა. – სად ხედავ?

– ბებოები! ბებო, ლიზა, ბებო!

გიურა, ფიქრობდა ლიზა.


გაგიუდა.

ვაიმე.

VIDEO



[გაგრძელება შემდეგ ნომერში>>>](#)



თიონა დოლენჯაშვილი

„იანვრის მდინარე“

მოთხოვდები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

2005 წ.

ბოლოს და ბოლოს, როდის იწყება ამ ქალაქში ახალი სეზონი? წიგნების მაღაზიებს ეს ჯერ მხოლოდ მოზღვავებულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე ეტყობათ. საზაფხულო თველება ნაძეჭდ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სექტემბრის ბოლომდე გრძელდება და იძულებული ვარ, ძველ გამოცემებში დავიწყო ქექვა და გადავამოწმო, იქნებ წინა ჯერზე რამე საინტერესო გამომრჩა?

და, თქვენ ნარმოიდგინეთ, გამომრჩენია: რიო დე უანეირო - „იანვრის მდინარე“ და მისი ავტორი თეონა დოლენჯაშვილი. დებიუტი მნერლების მოზღვავების ფონზე, მისი კრებული აშკარად ყურადღების ლირსია. ვინც სარჩევს გადაშლის და მოთხოვდების სათაურებს ჩაიკითხავს, გაახსენდება, რომ რამდენიმე მათგანი სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემაში წაუკითხავს. პირადად მე, „ლიანა, ვერა, ნორიკო“ მეცნო. წიგნიც ამ მოთხოვბამ შემაძენინა და მერე უკვე დიდი ემოციით წამაკითხა პირველივე ტექსტი — „ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე“.

თუ „ლიანა, ვერა, ნორიკო“-ში აღწერილმა შემოდგომის ბაღმა ერთი კონკრეტული ბაღი გამასხვა ქარჩელის ქუჩზე, დანარჩენ მოთხოვდებში მსგავსი გეოგრაფიული ლოკალიზება ვერაფრით მოვახდინე. თეონა დოლენჯაშვილის გმირები ისეთები არიან, კრიტიკოსები რომ უეროვნებოს უწინდებენ. მათი ეროვნების დადგენა მართლაც ძნელია, მაგრამ სხვა მსგავსი გმირებისგან განსხვავებით, ეს ადამიანები მკითხველს ახალი, გლობალური სახლის არსებობას შეახსენებენ. ამ სახლში მცხოვრები ადამიანებისთვის ერთმანეთზე უფრო ახლობელი და ორგანული რამ არის: ტელევიზორი, ტერაქტი, კარნავალი და კლონი. ლოკალიზებას და გმირების ნაციონალური წარმი გამორჩევას ავტორი თქვენ განდობთ. მთავარია, „იანვრის მდინარეში“ შეცურვა შეძლოთ და ეს პროცესი მოგეწონოთ.



იუსტიან გორდერი

„სოფის სამყარო“

რომანი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა


2005 წ.

მეორე, არცთუ ისე ახალი წიგნი, რომელიც არცუ ისე ახალი გამოცემაა არა მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურაში. გორდერის „სოფის სამყაროს“ განხილვა და გაანალიზება ევროპაში 90-იანი წლებიდან დაიწყო. მას შემდეგ, ნორვეგიულად დაწერილი წიგნი 60-ზე მეტ ენაზე ითარგმნა და არა მხოლოდ ნორვეგიის ბესტსელერი გახდა, არამედ ნიუ იორკ თამისისაც“, მისი ავტორი, ოსლოელი 53 წლის მამაკაცი კი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თანამედროვე სკანდინავიულ მწერლად იქცა.

რეცენზენტები წიგნის ყოველ ახალ დამატებით გამოცემაში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ გორდერისგან ასეთ პოპულარობას წინასწარ არავინ ელოდა. რით დააინტერესა 14 წლის სოფი მსოფლიომ? ალბათ, კითხვამ - „ვინ ხარ შენ?“ და კითხვაზე პასუხის ძიების მიზნით, სხვადასხვა ფილოსოფიური მიდგომის განხილვამ. ავტორი ხომ იწყებს ანტიკური მითებით, მოდის ფრონდის დრომდე და დიდი აფეთქებით ასრულებს.

წიგნს მეორე სათაურიც აქვს: რომანი ფილოსოფიის ისტორიის შესახებ. ეს რომანი პატარა სოფის სარკეში ჩახედვით და ფილოსოფოსობის მარტივი მცდელობით იწყება - სარკეში ვისაც ვხედავ, მე ვარ? თუ ვინმე სხვა? რა ჰქვია მას? რას შეცვლიდა ის ფაქტი, მას სხვა სახელი რომ ერქვას? შემდეგ კითხვები რთულდება და სოფის სამყარო სულ უფრო საინტერესო ხდება. თუ ჩემსავით, თაროზე ახლა შენიშნეთ იუსტან გორდერის წიგნი, გირჩევთ შინ წაიღოთ.

შეგახსენებთ, რომ ნორვეგიული ტექსტის გაქართულებაზე დავით აკრიანმა და ნოდარ მანჩხაშვილმა იზრუნეს. რედაქტორი: ნოდარ ლადარია.



სახი

თანამედროვე დრამატურგია

(პიესების კრებული)

საგამომცემლო ცენტრი „ხომლი“

2005 წ.

თუ უკვე შეიძინეთ „არეტეს“ მიერ დაბეჭდილი თანამედროვე პიესების კრებული, „ხომლის“ გამოცემას მაინც ნუ აუვლით გვერდს. შემდგენელი თამარ აპრამიშვილი თანამედროვე დრამატურგის მართლაც გამორჩეულ ნიმუშებს გვთავაზობს:

ედვარდ ლობს თეატრის მოყვარულები ორი ცნობილი პიესის - „ამერიკული ოცნება“ და „ვის უშინია ვირჯინია ვულფის“ გამო სცემენ დიდ პატივს. კრებულში წარმოდგენილი „რა მოხდა ზომპარეში“ კი 1958 წელს დაიწერა და ჯერ ბერლინის, შემდეგ ნიუ იორკის სცენებზე დაიდგა.

განსაკუთრებული წარდგენა არც პაროლდ პინტერის სტირდება. ამჯერად ასამათ ლევანშვალი ცნობილი ინგლისელი დრამატურგის „წარსულს“ წარმოვიდგენს.

შემდეგ - შარლოტ კიტლი და მისი „დედამ მითხრა, არ გაძეოდ“, რომელიც ლონდონის ეროვნულ სცენაზე მეოცე საუკუნეში დადგმულ 100 საუკეთესო პიესას შორის შევიდა.

აქვეა ნორვეგიელი ჯონ ფოსე და პიესა „ჩევენ არასდროს დაშორდებით“, რომელიც ევროპული სცენების ერთ-ერთი ფავორიტი სპექტაკლია.

შემდეგ მოდის უან-ლუკ ლაგარსი და „მიუზიკ პოლი“. ლაგარსი, სიცოცხლის მანძილზე, სხვა რეჟისორებს თვევის პიესების დადგმის ნებას არ აძლევდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, ეს ტექსტები სცენიდან არც ჩამოდის.

კრებული გერმანელი მარლენ შტრეულუვიცის და ფრანგი ნატალი საროტის პიესებით სრულდება.

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი



რეცოლვერი

სად: კინოთეატრი „ამირანი“

როდის: ოქტომბერი

რეჟისორი: გაი რიჩი

„რა გითხრათ? ამ ფილმის პრემიერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ მივიღოდი, თუ ვინმე მანიაკი... მაგალითად, ხელებს და ფეხებს გადამტკრევდა.“

დედა, ცოლი და, უბრალოდ, მომძერალი მადონა. 2005 წელი. ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი.

ვერაფერს იტყვი. დედა მადონა ცდილობდა, რომ საყვარელი ქმრის, გაი რიჩის ბოლო ფილმზე ერთი-ორი კარგი სიტყვა ეთქვა ჟურნალისტებისთვის, მაგრამ ეს, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად უშედეგო აღმოჩნდა. თუმცა ეს სვეტი მადონას არ ეხება და ამიტომ, პირდაპირ გადავალ სათქმელზე და გეტყვით:

ფილმის გმირი, ჯეიკ გრინი - აუტანლად აზარტული ადამიანია. ფული მართლაც ბევრი აქვს. ერთ დღეს, ბანქოს სათამაშოდ, მას დიდ ბოსთან, მაჩასთან დაბატიუებები, ოღონდ ერთი პირობით: აუცილებლად უნდა წააგოს. დიდ ბოსთან ხომ ყველა აგებს!?

მაგრამ რიჩი რაღა რიჩი იქნებოდა, რომ თავდაყირა არ დაეყენებინა ყველაფერი. ამიტომაც... გრინი პატიონსად მიდის ბოსთან, ლას ვეგასელ მაფიოზს ბოლომდე გამოუსუფთავებს ჯიბებს და არც უცენზურო სიტყვებს დააკლებს. აი, ასე.

ასე რომ:


განგსტერები,

აზარტული თამაშები,

ტყუილი,

და

action.



მექანიკური ფორთოზეალი

სად: კინოდარბაზი „ამარკორდი“

როდის: ოქტომბერი

რეჟისორი: სტენლი კუპრიკი

ისინი ოთხი იყვნენ: ალექსი, პიტი, ჯორჯი და დამი.

შავი ქუდებით და თეთრი ტრიკოებით.

მიირთმევნდნენ რძეს, უსმენდნენ ბეთოვენს...

და ზოგჯერ...

კლავდნენ, თავს ესხმოდნენ, აუპატიურებდნენ.

„მექანიკური ფორთოზალი“ ინგლისელი მწერლის, კომპოზიტორის და კრიტიკოსის, ენთონი ბერჯესის ერთ-ერთ ყველზე ცნობილი რომანია. ინდივიდის და სახელმწიფოს ურთიერთობა, ახალგაზრდა დამნაშავის ისტორია და ძალადობა, რომელიც შობს ძალადობას, კინოს ისტორიაში ყველაზე ნათლად, სწორედ კუბრიკმა დაანახა მაყურებელს.

უენდი კარლოსის ელექტრონული მუსიკა.

ბერჯენის მე-9 სიმფონია.

კორსაკოვის „შეპერეზადა“.

როსინის „სევილიელი დალაქი“...

და კუბრიკის შეუდარებელი ფილმები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილმი ძალიან ადრე მაქს ნანახი, შთაბეჭდილება და ემოცია დღესაც მძაფრია. ეს ხომ ახალგაზრდა კანონდამორღვევის ისტორია, რომელიც ციხეში ხვდება და თანხმდება, გაიაროს სახელმწიფო ექსპერიმენტი; უფრო სწორად, „სარეაბილიტაცია“ ექსპერიმენტი, რომელიც მას ნორმალურ ადამიანად აქცევს. ძალადობიდნ ძალადობამდე, სისასტიკიდან სისასტიკემდე. 1971 წელს გადაღებული ფილმი, რომელიც არასდროს კარგავს თავის შემცირებულობას და აქტუალურობას.

ერთი კი ბოლომდე გაუგებარი რჩება - ვინ არის ნორმალური ამ სამყაროში?

თბილისის მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთი“

სად: კინოთეატრები „ამირანი“, „რუსთაველი“, კინოს სახლი.

როდის: 4-9 ოქტომბერი

4 ოქტომბერს, კინოთეატრ „ამირანში“, გიორგი შენგელაიას ფილმი „მოდიოდა მატარებელი“, საზეიმოდ გახსნის მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალს „პრომეთე“. 6 ღლის განმავლობაში, ფესტივალზე 100-მდე ნამუშევარი: დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმი იქნება წარმოდგენილი.

პროგრამა: „პორიზონტები“, „პანორამა“, „ყვრობული კინოს ფორუმი“...

კვირეული: თანამედროვე გერმანული, შვედური, თურქული ფილმის...

ნაცვენდბი იქნება: ავსტრიული, კორეული, ჩინური, რუსული არასაკონკურსო ფილმები...


12 საკონკურსო ნამუშევარი...

კანის, ბერლინის და სხვა კინოფესტივალთა გამარჯვებული ფილმები... (იხ. გვ. 138)

წლევანდელ „პრომეთე“-ს სამი შიური შეაფას. ესენია: ძირითადი; სერგო ფარაჯანოვის სახელობის და პირველად, ფესტივალის ისტორიაში, დამოუკიდებელ კრიტიკოსთა შიური „ფიბრეს“.

სიახლეა ისც, რომ წლევანდელ საკონკურსო პროგრამაში სამი ქართული ფილმი იღებს მონაზილებას; იმართება მერაბ კოკოჩაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩვენება და წიგნის პრეზენტაცია; გაიმართება არაერთი საინტერესო საღამო და შეხვედრა ფესტივალის ფარგლებში მოწვეულ სტუმრებთან.

კინოფესტივალი „პრომეთე“ 9 ოქტომბერს, კინოთეატრ „ამირანში“ შული ბერტუჩელის პირიზონტებული ფილმით „რაც ითარი წავიდა“ დაიხურება.



რაიონული უცნობების ამბავი

„კი მაგრამ, რა დაწესებულებაა ეს?!“ - გავიფიქრე, როგორც კი კარი შევაღე. უამრავი უცნობი ადამინი დამხვდა. ყველა რაღაცით იყო დაკავებული - ზოგი კომპიუტერთან იჯდა, გოგოები ფურცლებით ხელში აქეთ-იქით დარბოდნენ... და შესვლისთანავე ყველამ ისე გამომხედა, ვიფიქრე, რამე ხომ არ მჭირს-მეთქი. დავიბენი. დაჯექიო, მითხრეს. გვერდზე გახედვაც ვერ მოვასწარი, რომ სკამიც იქვე გაჩნდა. “თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში“ - მითხრა ერთ-ერთმა. მინდოდა მეთქვა, - სიამოვნებით, ოღონდ ცოტა გამიჯირდება, ჩემს სახლში ამდენი ხალხი არ ტრიალებს-მეთქი, - მაგრამ გადავიფიქრე; იმიტომ, რომ იმავე კაცმა თვალით სასიამოვნო გარეგნობის გოგონას ანიშნა, “ამას მიხედეთო“.

- | | |
|--------|------------------------------|
| გოგონა | - ყავა შაქრით თუ უშაქროდ? |
| მე | - გმადლობთ, ორი თუ შეიძლება. |
| გოგონა | - ორი ჭიქა თუ ორი კოვზ? |
| მე | - რა თქმა უნდა, კოვზი. |

მადლობის თქმას ვაპირებდი, რომ მაგიდაზე მოხატული ფინჯანი გაჩნდა...

(ისმის ხვრების ხმა)

„ეუფ“, მაგარია...

დავდივარ ასე, ოთახიდან ოთახში, ყავით ხელში, „როგორც საკუთარ სახლში“, ჩუსტები-ლა მაკლია. ერთ ოთახში ადამიანების ჯგუფი დგას და იცინის. მეც მათთან ერთად დავდექი და ვიცინი - რაზე, თვითონაც არ ვიცი. და მაშინდა გამახსენდა, რისთვის მოვედი, როცა ვიღაც „ნაუშნიკებნამოცმულმა“ კაცმა ჭიჭიკო თუ ბიჭიკო მოიკითხა. მეც მაგათ ვეძებ-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ვინ მოგისმინა?! ამიტომ ჩემი ყავის ჭიქით ხელში, ისევ ითახიდან ოთახში დავიწყე სიარული. წარმოიდგინეთ, როგორ გამეხარდა, როცა ერთ ოთახში ძველი ნაცნობები, - თანაც ორი, - ვნახე. გამოველაპარკეთ ერთმანეთს და ვკითხე, ჭიჭიკო და ბიჭიკო ხომ არ იცით სად უნდა ვნახო-მეთქი. ერთმანეთს გადახედეს, მერე ისევ მე გამომხედეს, უცნაურად გაიღიმეს და იქვე მდგომ გოგოს რაღაც ანიშნეს. გოგომ ხელი დამავლო და მიკროფონებიან ოთახში ისე აღმოვჩნდი, თვითონაც ვერ მივწვდი. მაშინვე სკამზე დამსვეს... ოთახში ისევ ის დიდი ხნის ნაცნობები შემოვიდნენ. როგორც კი ხმა ამოიღეს... ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „აი, თურმე ვინ ყოფილან ჭიჭიკო და ბიჭიკო“ - გავიფიქრე და გამეღიმა. ალბათ თქვენც გაინტერესებთ, ვინ არიან ისინი... დარწმუნებული ვარ, თქვენც იცნობთ მათ. ესენი ხომ... მაგრამ ამ დროს მიკროფონს მაჩერებენ ხელში. არც კი ვიცი, რას ვლაპარაკობ... ისმის მუსიკა, სხვათა შორის, კარგი...

და როცა თავში ისევ პირველმა კითხვამ - „რა დაწესებულებაა ეს?!“ - გამიელვა, უკვე ჩემს „ჭოჭინაში“ (ავტომობილში) ვიჯექი, დავქოქე, ჩავრთე რადიომიმღები და ნაცნობი ხმა გავიგონე: „უცნობი FM-ი ამოვიჩემეე“...

ააა!!!


P.S. ისე, კარგად დაფიქრდით, იქნებ ჭიჭიკო და ბიჭიკო, სულაც თქვენი მეგობრები აღმოჩნდნენ... ვწუხვარ, მაგრამ მათ ვინაობას ვერ გაგიმზელთ. თუ ეცდებით, იქნებ რამე გამოგივიდეთ.

ვანიკო თარხენიშვილი

გაათავისეთ უნი თმის
ბენებრივი ბზინვარება



100%-ით უარისტო თმა!



www.geocell.ge